საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა
და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი

ავთანდილ სონღულაშვილი

იდეოლოგიური ბრძოლა თანამედროვე ეტაპზე

გამომცემლობა „მეცნიერება"
თბილისი
1987

ნაშრომში სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე განხილულია ორ სისტემას შორის იდეოლოგიური ბრძოლის საკითხები. ნაჩვენებია იმპერიალისტური ქვეყნების, პირველ რიგში, ამერიკის შეერთებული შტატების იდეოლოგიური ცენტრების საქმიანობის ფორმები და მეთოდები, რომლებიც მომართულია სსრკ და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. შესწავლილია კაპიტალისტურ ქვეყნებში ახალგაზრდობის იდეოლოგიური დამუშავების სახელმწიფოებრივი ღონისძიებანი, წარმოჩენილია ორი სისტემის, ცხოვრების ორი წესის დაპირისპირებულობა.

ნაშრომში ცალკე ადგილი ეთმობა საბჭოთა საქართველოს ისტორიისა და თანამედროვეობის ბურჟუაზიული ფალსიფიკაციის მხილებას.

ნაშრომი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

რეცენზენტები: ისტ. მეცნ. კანდიდატი ე. კუპატაძე
ისტ. მეცნ. კანდიდატი ვ. საბახტარიშვილი

0601000000
М 607(06)—87 145—87

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987

■

* *

თანამედროვე მსოფლიო რთული, მრავალფეროვანი და დინამიკურია, გამსჭვალულია საპირისპირო ტენდენციებით, აღსავსეა წინააღმდეგობებით. ეს არის ურთულესი ალტერნატივების, წუხილისა და იმედების მსოფლიო. ჩვენს დედამიწისეულ საცხოვრისს წინათ არასდროს განუცდია ასეთი პოლიტიკური და ფიზიკური დაძაბულობა, არასდროს აუღია ადამიანს ბუნებისაგან ამდენი ხარკი და არასდროს ყოფილა ესოდენ უმწეო იმ ძალის წინაშე, რომელიც საკუთარი ხელით შექმნა[1].

მსოფლიო დღეს გათიშულია ორ დაპირისპირებულ ბანაკად და მათ შორის მიმდინარეობს, ისე როგორც მკვეთრი სოციალური გარდატეხის ყველა ეპოქაში, არა მარტო მწვავე პოლიტიკური და ეკონომიკური, არამედ იდეოლოგიური ბრძოლაც.

რაგორც ცნობილია, „გაბატონებული კლასის აზრები ყოველ ეპოქაში გაბატონებული აზრებია. ეს ნიშნავს, რომ ის კლასი, რომელიც საზოგადოების გაბატონებულ მ ა ტ ე რ ი ა ლ უ რ ძალას წარმოადგენს, ამასთანავე ამ საზოგადოების გაბატონებული ს უ ლ ი ე რ ი ძალაა. კლასი, რომელსაც თავის

---

[1] მ. ს. გ ო რ ბ ა ჩ ო ვ ი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 9.

განკარგულებაში აქვს მატერიალური წარმოების საშუალებანი, ამასთანავე სულიერი წარმოების საშუალებებსაც განაგებს, და ამის გამო იმათი აზრები, ვისაც სულიერი წარმოებისათვის საშუალებანი არ გააჩნია, ჩანს, საერთოდ გაბატონებულ კლასებს ემორჩილება"[2].

თანამედროვე ეტაპზე იდეოლოგიური მუშაობის ხასიათს განსაზღვრავს საერთაშორისო ვითარება. „მთელ პლანეტაზე მიმდინარეობს ბრძოლა მილიარდობით ადამიანის გონებისა და გულის დასაპყრობად. და კაცობრიობის მომავალი ბევრად არის დამოკიდებული ამ იდეოლოგიური ბრძოლის შედეგზე"[3].

მაკარტიზმისა და „ცივი ომის" დროიდან ასე მკვეთრად არ გამოკვეთილა ამერიკის შეერთებულ შტატებში ძალის კულტი, არ მიუღწევია ისეთი სიძლიერისათვის ანტისოვეტიზმს, როგორც ახლა. ამერიკელი პოლიტიკური მიმომხილველები გულახდილად წერენ, რომ „ამერიკის ადმინისტრაცია სამხედრო სიძლიერის გაზრდის მიზნით აწარმოებს გლობალურ იდეოლოგიურ და პოლიტიკურ შეტევას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ".

ამერიკელი გენერალი კერტის ლიმეი თავის დროზე მოუწოდებდა „ვიეტნამელები ბომბების საშუალებით დაებრუნებინათ ქვის საუკუნეში". ამერიკელი ქორების დღევანდელ პოზიციაზე შეგვიძლია ვიმსჯელოთ აშშ სამხედრო-საზღვაო ძალების ყოფილი მინისტრის ჯონ ლემანის ციტიკური განცხადებით: „დაუყოვნებლივ მოვაქციოთ საბჭოები იზოლირე-

---

2 კ. მარქსი და ფ. ენგელსი, ფოიერბახი, მატერიალისტური და იდეალისტური შეხედულებების დაპირისპირებულობა, თბ., 1968, გვ. 75.

3 სკკპ ცკ 1983 წლის ივნისის პლენუმის მასალები, თბ., 1983, გვ. 8.

ბულ კუნძულზე, რათა ჩვენ ვფლობდეთ დანარჩენ მსოფლიოს"[4].

ასეთ და სხვა მსგავს დანაშაულებრივ ქმედებათა შედეგად მსოფლიოში პოლიტიკური ვითარება უკიდურესად დაიძაბა, რაც საშიშროებას უქმნის არა მხოლოდ სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნებს, არამედ საერთოდ კაცობრიობას. გააჩაღა რა გამალებული შეიარაღება და სოციალიზმის, როგორც საზოგადოებრივი სისტემის, წინააღმდეგ გამოაცხადა „ჯვაროსნული ლაშქრობა", ამერიკის იმპერიალიზმი ცდილობს ასეთი გზით შეაჩეროს სოციალური პროგრესი, ჩაახშოს რევოლუციური და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მთელ მსოფლიოში, უზრუნველყოს ამერიკის შეერთებული შტატების მსოფლიო ბატონობა.

ამ გეგმების განხორციელების მთავარ რგოლად იქცა დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ტერიტორიაზე ამერიკული ახალი რაკეტების განლაგება, რომლებიც დაშიზნებულია სოციალისტურ ქვეყნებზე. ამავე დროს „თავისი მიზნის მიღწევის ერთ-ერთ მთავარ საშუალებად იმპერიალიზმს, — აღინიშნა სკკპ ცკ 1983 წლის ივნისის პლენუმზე, — ფსიქოლოგიური ომი" მიაჩნია. ამ ომს დასავლეთი ეწევა ყველაზე მაღალ, შეიძლება ითქვას, ისტერიულ, ანტისაბჭოურ, ანტიკომუნისტურ ნოტზე. მოწინააღმდეგემ ნამდვილ ყაჩაღობას მიჰყო ხელი ეთერში. ჩვენ საქმე გვაქვს ცდებთან, მოაწყონ ჩვენს წინააღმდეგ ნამდვილი ინფორმაციულ-პროპაგანდისტული ინტერვენცია, გადააქციონ რადიო და სატელევიზიო არხები სახელმწიფო საქმეებში ჩარევისა და ძირგამომთხრელი

---

[4] А. Кокорев, Проблема разоружения: Два мира—две политики, М., 1983, с. 14—15.

აქციების მოწყობის იარაღად"[5]. და მართლაც, თავისი არსებობის არც ერთ სხვა პერიოდში კაცობრიობას ალბათ არ განუცდია სიყალბისა და სიცრუის ისეთი ზეგავლენა, როგორსაც ახლა განიცდის. ბურჟუაზიული პროპაგანდა მთელ მსოფლიოში ხალხებს თავზე ახვევს დამახინჯებულ, ყალბ „ინფორმაციას", თავს ახვევს რეაქციულ აზრებსა და იდეებს, აპროგრამებს მმართველი ძალებისათვის ხელსაყრელ მოქალაქეობრივ და სოციალურ პოზიციას[6]. ამ მხრივ ნიშანდობლივია ერთ-ერთი დასავლეთგერმანული ჟურნალის „ვერკუნდეს" აღიარება: „თანამედროვე ომი წარმოებს არა მარტო ჰაერში, ხმელეთსა და წყალზე, არამედ მეოთხე სფეროშიც — ადამიანის სულიერ ცხოვრებაში, ამ სფეროში მესამე მსოფლიო ომი უკვე დაიწყო..."; ხოლო აშშ საინფორმაციო სააგენტოს დირექტორმა ჩარლზ უიკმა რამდენიმე წლის წინათ ვაშინგტონში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა: „ჩვენ ვიმყოფებით საბჭოთა კავშირთან ომის ვითარებაში". როდესაც მრავალნაცადმა ჟურნალისტებმა გაკვირვებული და შეშფოთებული რეაქცია გამოხატეს და იკითხეს, რომ ეს სიტყვები ხომ არ ნიშნავდა ომის დაწყების შესახებ ოფიციალურ განცხადებას, უიკმა დააწყნარა ჟურნალისტები: „მე მხედველობაში მაქვს იდეათა ბრძოლაო"[7].

იდეოლოგიური ბრძოლა კანონზომიერი პროცესია და ორი სისტემის სტრატეგიული ბრძოლის ავანგარდში დგას, ეს ბრძოლა ერთი წუთითაც არ წყდება. ის წარმოადგენს კლა-

---

5 სკკპ ცკ 1983 წლის ივნისის პლენუმის მასალები, თბ., 1983, გვ. 61.

6 მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 31.

7 Аргументы, М., 1983, с. 6.

სობრივი ბრძოლის ერთ-ერთ მძაფრ ფორმას. იდეოლოგიური ბრძოლა გულისხმობს მოპირისპირე სისტემის ადამიანთა შეგნებაზე ზემოქმედებას, მათ დაქვემდებარებას ერთ-ერთი მებრძოლი იდეოლოგიისადმი. ბურჟუაზიული იდეოლოგია ბრძოლის ამ ფორმებსა და მეთოდებს როდი სჯერდება. იგი ეწევა საზოგადოების დეზინფორმაციას, იგი ცილისწამების კორიანტელს აყენებს სოციალისტური და დემოკრატიული ბანაკის ქვეყნების მიმართ. „ფსიქოლოგიური ომის" გაჩაღებას ცდილობს ძირგამომთხრელი საქმიანობით, ადამიანთა დაშინებით, შანტაჟით, მუქარით და ა. შ.

„ფსიქოლოგიური ომი" კომუნიზმის წინააღმდეგ გლობალური „ჯვაროსნული ლაშქრობის" განუყოფელი ნაწილია, რომელიც გამოცხადებულია აშშ პრეზიდენტის რ. რეიგანის მიერ 1982 წლის ივნისს ლონდონში წარმოთქმულ სიტყვაში.

„ფსიქოლოგიური ომი", რა თქმა უნდა, იმპერიალიზმის არსენალში არ არის ახალი საშუალება. „ეროვნული უშიშროების უზრუნველყოფის პოლიტიკის" როგორც ელემენტი ის ლეგალიზებულ იქნა აშშ კონგრესის მიერ ჯერ კიდევ 1948 წელს.

საბჭოთა კავშირი, პოპულარიზაციას უწევს რა სოციალისტურ იდეალებს, მტკიცედ უარყოფს „ფსიქოლოგიურ ომს". იდეოლოგიური ბრძოლა, — სთვლიან საბჭოთა კომუნისტები, — არ უნდა გადაიზარდოს „ფსიქოლოგიურ ომში", არ უნდა გამოიყენებოდეს სხვა სახელმწიფოებისა და ხალხის საშინაო საქმეში ჩარევის საშუალებად, პოლიტიკური და საომარი კონფრონტაციისათვის.

საერთაშორისო ასპარეზზე გამწვავებული იდეოლოგიური ბრძოლის პირობებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მტკიცედ განაგრძობს ლენინურ ხაზს; მარქსიზმის

დაცვა განუყოფელია ახალი ისტორიული გამოცდილების საფუძველზე მისი შემდგომი განვითარების ამოცანისაგან. ბელადი გვაფრთხილებდა, რომ „...სოციალისტური იდეოლოგიის ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი დამცირება, მისგან ყ ო ვ ე ლ გ ვ ა რ ი ჩამოშორება იმავე დროს ნიშნავს ბურჟუაზიული იდეოლოგიის გაძლიერებას“[8].

ასეთი ვითარება დღეს განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს იდეოლოგიურ მუშაობას, მშრომელთა კლასობრივი აღზრდის შემდგომ გაუმჯობესებას, პოლიტიკური სიფხიზლის გაძლიერებას, სოციალიზმის მონაპოვართა მკაფიო, დამაჯერებელ პროპაგანდას, რათა პასუხი გაეცეს ანტიკომუნიზმსა და ანტისაბჭოურობას, კლასობრივი მტრის იდეოლოგიურ დივერსიებს. ამასთან ფართოდ უნდა გაიშალოს კონტრპროპაგანდა ბურჟუაზიული იდეოლოგიის წინააღმდეგ. ყოველივე ეს მოითხოვს იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის შინაარსის, მისი ფორმებისა და მეთოდების განახლებას, გამდიდრებას, აქტუალიზაციას, შემტევი პროპაგანდის გაძლიერებას, ცხოვრების მწვავე პრობლემებისაგან განზე დგომისა და ფორმალიზმის დაძლევასა და აღკვეთას. უნდა მივაღწიოთ სოციალიზმის მიღწევების დამაჯერებელ პროპაგანდას და ა. შ. აქეთკენ მოუწოდებს იდეოლოგიურ მუშაკებს ლენინური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, პარტიის XXVII ყრილობა და მისი ისტორიული გადაწყვეტილებები.

---

[8] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 5, გვ. 481.

*
* *

თანამედროვე ეტაპზე ჩვენი იდეური მტრების ბრძოლის ფორმები და მეთოდები მნიშვნელოვნად დაიხვეწა, ამიტომ მათი ნამდვილი სახის მხილება არც თუ ისე ადვილია, ცნობილი ბურჟუაზიული სოვეტოლოგი ი. ბოხენსკი თავის გახმაურებულ ნაშრომში „დღევანდელი საბჭოთა ფილოსოფიის შესავალი“ აღნიშნავს, რომ „სოვეტოლოგმა“ უნდა იცოდეს „რუსული ენა, რუსეთის ისტორია, სკკპ ისტორია, ორიგინალური საბჭოთა ფილოსოფიური თხზულებანი და სხვ.“[9]. ასეთი მომზადების მასშტაბი განსაკუთრებით გაიზარდა უკანასკნელ ათწლეულში: თუ 1950—1963 წლებში ჩვენი ქვეყნის პოლიტიკასა და ისტორიაზე ათასამდე დისერტაცია იქნა დაცული, 1970—1980 წლებში მათი რიცხვი 1500-მდე გაიზარდა. მხოლოდ 1980—1981 წლებში აშშ და კანადის 75 უნივერსიტეტში რუსეთისა და სსრკ შესახებ დაცული იქნა 168 დისერტაცია[10]. მართლაც, როგორც აღნიშნავს ამხ. მ. ს. გორბაჩოვი, ჩვენ საქმე გვაქვს გაწაფულ კლასობრივ მოწინააღმდეგესთან, რომლის პოლიტიკური გამოცდილებაც მრავალფეროვანია და საუკუნეებს ითვლის. მან შექმნა თანამედროვე ტექნიკური საშუალებებით აღჭურვილი მასირებული პროპაგანდის გიგანტური მანქანა, რომელსაც სოციალიზმის მოძულეთა უზარმაზარი აპარატი ემსახურება[11].

---

9 მ. ბაკურია, მარქსისტული დიალექტიკა და ფილოსოფიური სოვეტოლოგია, თბ., 1979, გვ. 8, 155.

10 Ю. В. Манько, Е. Г. Слуцкий, Наши идейные противники: Кто они, Лениздат, 1983, с. 62.

11 მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკუ-

ყოველივე ეს სათავეს იღებს დიდი ოქტომბრის გამარჯვების დღიდან. ჯერ კიდევ 1917—1919 წლებში გაზეთმა „ნიუ-იორკ ტაიმსმა“ ოთხმოცდაათჯერ იწინასწარმეტყველა საბჭოთა ხელისუფლების „აუცილებელი დაცემა“ და „სწრაფი განადგურება“.

როგორც კი მთელ პლანეტაზე გაისმა ლენინური დეკრეტის ხმა მშვიდობაზე, გაზეთმა „ვაშინგტონ პოსტმა“ მაშინვე თავისებური რეაგირება მოახდინა მასზე — მოუწოდა ყველას ომისაკენ პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს წინააღმდეგ. მაგრამ ახალგაზრდა რესპუბლიკის განადგურება ვერ შეძლეს. მაშინ დაიწყო ცილისწამება, დეზინფორმაცია, აგრეთვე ჩვენი ქვეყნის შესახებ სიმართლის დაფარვა[12]. იდეოლოგიური შტრეები ცდილობდნენ ზემოქმედება მოეხდინათ მასებზე, აშინებდნენ მათ გამონათქვამებით „კაზარმული სოციალიზმის“, „პირადი საკუთრების არარსებობის“, „ცოლების განსაზოგადოების“ და სხვ. ასეთი ვითარება გრძელდებოდა „ფსიქოლოგიური ომის“ ე. წ. პირველ პერიოდში.

40-იანი წლების მეორე ნახევარში დაიწყო იმპერიალიზმმა „ცივი ომი“ სსრკ და სოციალიზმის სხვა ქვეყნების წინააღმდეგ. ცნება „ცივი ომი“ პოლიტიკურ ლექსიკაში შემოვიდა როგორც საერთაშორისო ურთიერთობის ისეთი მდგომარეობა, როდესაც კაპიტალისტურმა მსოფლიომ გაწყვიტა ყოველგვარი ურთიერთობა სოციალისტურ ქვეყნებთან დიპლომატიური ურთიერთობის გარდა. ამავე დროს ცდილობდა საერთაშორისო ურთიერთობის ყველა სფეროში დაესუსტებინა სოციალიზმი.

რი მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 150.

[12] В. Николаев, Генераторы дезинформации, М., 1984, с. 5.

50-60-იანი წლების დასაწყისში ბურჟუაზიული პროპაგანდის ტექნიკური შესაძლებლობანი მნიშვნელოვნად გაიზარდა. 1963 წელს ამერიკის შეერთებულმა შტატებმა 52 რადიოგადამცემით „ალყა შემოარტყა" საბჭოთა კავშირს. ევროპის სოციალისტური ქვეყნების გარშემო რადიოგადამცემთა ქსელის განლაგება კი დამთავრდა 1968 წელს.

იმპერიალისტური ქვეყნების იდეოლოგიური მუშაობის აპარატი ცდილობს გამოიყენოს ი. ჰებელსის პრინციპი: „ინფორმაციის ამოცანა მდგომარეობს ომის წარმოებაში და არა ახალი ამბების გავრცელებაში". ფსიქოლოგიური ომის ეს ცენტრები არსებითად ხელმძღვანელობენ ფაშისტური ფორმულით: თუ გაიმეორებთ ტყუილს თანმიმდევრობით და ხშირად, ადამიანები მას დაიჯერებენ.

არ რჩება ყურადღების გარეშე აგრეთვე ფაშისტი გენერლის გელენის გამონათქვამი, რომელმაც ერთხელ განაცხადა, რომ წვეთი შხამი ჩაგდებული ჭაში მოწამლავს ათასობით ადამიანს, ხოლო პოლიტიკურ სიცრუეს, გავრცელებულს ხელსაყრელ მომენტში, შეუძლია მოწამლოს და დაღუპოს მილიონები[13]. ამ მხრივ დიდი მნიშვნელობა გააჩნია მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს და განსაკუთრებით რადიოს. 80-იანი წლების დასაწყისში მსოფლიოში ითვლებოდა 400 მილიონი ტელევიზორი და მილიარდზე მეტი რადიომიმღები[14]. ერთ-ერთ თავის გამოსვლაში აშშ ყოფილი პრეზიდენტი ჯ. კარტერი მრავალმნიშვნელოვნად აღნიშნავდა, რომ ყოველი დოლარი, დაბანდებული პროპაგანდისათვის, შეიძლება აღმოჩნდეს უფრო ეფექტური, ვიდრე ათობით დოლარი შენახული

[13] С чужого голоса, М., 1985, с. 16.

[14] А. Ф. Панфилов, Радиовойна: История и современность, М., 1984, с. 6.

შეიარაღებისათვის. ამავე დროს პრეზიდენტმა რადიოს უწოდა აშშ საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი.

იმპერიალისტური რეაქციის მესვეურებმა, იმისათვის რომ უფრო გააქტიურონ ანტისაბჭოური, ანტისოციალისტური კურსი, მოახდინეს აშშ საერთაშორისო კავშირის სამმართველოს რეორგანიზაცია, რომელიც წარმოადგენს „ფსიქოლოგიური ომის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტრუმენტს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. დღეისათვის მას გააჩნია 200 წარმომადგენლობა 126 ქვეყანაში, 12 ჟურნალს სცემს 22 ენაზე. მის შტატში ირიცხება 10 ათასი თანამშრომელი. ასევე დიდ პროპაგანდისტულ მუშაობას აწარმოებს აშშ თავდაცვის სამინისტრო — პენტაგონი. მის განკარგულებაშია 250-ზდე რადიოსადგური და 40 ტელეცენტრი. აქვს 25 გამომცემლობა. მისი გრიფით გამოდის ანტისაბჭოური წიგნები, ბროშურები, ჟურნალები და გაზეთები წელიწადში 8 მილიონი ეგზემპლარი. ყოველ წელს პენტაგონის მითითებით იღებენ 1200 კინოფილმს, 3500 ტელეფილმს და გადასცემენ ამდენივე რადიოპროგრამას[15].

აშშ რადიოსადგურმა „თავისუფლებამ“ და „თავისუფალმა ევროპამ“ 80-იანი წლების დასაწყისში წლიური ბიუჯეტი სამჯერ გაზარდეს. რეიგანის ადმინისტრაცია არაფერს იშურებს თავისი იდეოლოგიური დივერსიების ფაბრიკის გასაძლიერებლად, რომელსაც 1984 წელს ახალი „საამქროები“ შეემატა. ვაშინგტონში გამართულ საზეიმო ცერემონიალზე შე-

---

[15] Е. П. Севастьянов, Н. Е. Корсакова, Последний рубеж, М., 1984, с. 118; Актуальные проблемы современной идеологической борьбы, М., 1985, с. 34—35.

ერთებული შტატების საინფორმაციო სააგენტოს თავკაცებმა გახსნეს ძირგამომთხრელი რადიოსადგურის „ამერიკის ხმის“ ოთხი ახალი სტუდია.

უახლესი თანამედროვე მოწყობილობით აღჭურვილი სტუდიები სულ რამდენიმე თვეში ააგეს. „ამერიკის ხმის“ დირექტორმა, პირწავარდნილმა რეაქციონერმა კენეტ ტომლისონმა ამ ფაქტს „რადიოსადგურის მოდერნიზაციის მრავალეტაპიანი პროგრამის ხორცშესხმის გზახე გადადგმული დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი“ უწოდა. მას არც დაუმალავს, რომ „მოდერნიზაციის“ მიზანია სოციალისტური სახელმწიფოების წინააღმდეგ „ფსიქოლოგიური ომის“ გაფართოება. საკმარისია აღინიშნოს, რომ ოთხი ამუშავებული ახალი სტუდიიდან სამი „ევროპისათვის“, ანუ სსრ კავშირისა და კონტინენტის სხვა სოციალისტური ქვეყნებისათვის აწყობს გადაცემებს... „ამერიკის ხმა“ და ამერიკის საინფორმაციო სააგენტო ასეთ კარგ ფორმაში არასდროს ყოფილა“, — განაცხადა ამას წინათ პრეზიდენტმა რეიგანმა. მართლაც, ვაშინგტონის პროპაგანდის ამ დივერსიულ-ძირგამომთხრელი ცენტრების ასიგნებანი არასოდეს გაზრდილა ასეთი ტემპით და მათი ბინძური საქმიანობა არასოდეს ყოფილა ესოდენ აღვირახსნილი. ადმინისტრაციამ, რომელმაც უაზრო „ჯვაროსნული ლაშქრობა“ წამოიწყო სოციალიზმის სამყაროს წინააღმდეგ, „ფსიქოლოგიური ომი“ თავისი საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მთავარ' იარაღად აქცია[16].

მეტად მავნებელი და საშიშია დეზინფორმაცია, რომელიც გვხვდება ბურჟუაზიული პრესის ფურცლებზე საზოგადოების შეცდომაში შესაყვანად. ამ ცოტა ხნის წინათ აშშ მსხვილმა საინფორმაციო სააგენტოებმა გაავრცელეს ცნობა იმის

---

16 კომუნისტი, 1984, 31 მაისი.

შესახებ, რომ ამერიკის საელჩოს მონაცემებით მოსკოვში მოწამლულია სასმელი წყალი. საელჩოს ექიმმა აიღო ანალიზი და აღმოაჩინა „საშიში ბაცილები". ამის შესახებ წერდა პრაქტიკულად ამერიკის ყველა გაზეთი. მეორე დღეს გაირკვა, რომ ბაცილები იყო არა მოსკოვის წყალში, არამედ საელჩოს ექიმის სინჯარაში. ამასთან დაკავშირებით მხოლოდ რამდენიმე გაზეთმა. სადღაც ბოლო გვერდზე დაბეჭდა შესწორება[17].

დღემდე ამერიკის პრეზიდენტი, საზოგადოების შეცდომაში შეყვანის მიზნით, ყოველ წელს აწყობს „ჩაგრულ ხალხთა კვირეულს". ჩაგრულ ხალხთა შორის ჩამოთვლიან საბჭოთა რესპუბლიკებს[18], და საგულისხმოა რომ მათ შორის არ ახსენებენ პალესტინელებს, ჩილელ ხალხს, სალვადორის, გვატემალის, გრენადისა და სხვ. მოსახლეობას!

ამ რამდენიმე წლის წინათ 85 წლის ფრანგი ჟაკლინ ანდრე ბათუმში ჩამოვიდა. იგი პირველ ხანებში გემს ვერ ტოვებდა, „მეშინოდა რაიმე ხიფათს არ გადავყროდი, შესაძლოა, სავსებით უმიზეზოდაც კი დავეპატიმრებინეთ, ეს, როგორც გაზეთები წერენ, საბჭოეთში ჩვეულებრივი ამბავია", შემდეგ ფრანგი ტურისტი აღნიშნავდა: „ქალაქი მომეწონა, ლამაზია, ჭწვანე, საოცრად სუფთა და კიდევ რაც თვალში მომხვდა, ადამიანებს საუკეთესოდ აცვიათ. სახეებსაც მივაქციე ყურადღება. ვერაფრით ვერ იტყვი ეს ხალხი უბედური, ღატაკი და „უკულმართობით" დაბეჩავებულიაო, რაშიც სოციალიზმის მტრები ცდილობენ დაგვარწმუნონ..."[19].

---

17 ე. სევასტიანოვი, ნ. კორსაკოვა, დასახ. ნაშრომი, გვ. 114.

18 А. Кокорев, „Ястребы" не унимаются..., М., 1981, с. 206—207.

19 საქართველოს კომუნისტი, 1984, № 1, გვ. 48.

სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ იდეოლოგიურ ბრძოლაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ კვლევითი დაწესებულებანი და უმაღლესი სასწავლებლები. ჯერ კიდევ 1919 წელს ომის, რევოლუციისა და მშვიდობის პრობლემებზე აშშ შეიქმნა ჰუვერის ინსტიტუტი, რომლის ამოცანას შეადგენდა უშეღავათო ბრძოლა მარქსიზმ-ლენინიზმის წინააღმდეგ, „ამერიკული ცხოვრების წესის დაცვა ამ იდეოლოგიისაგან". დღეს ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის კაბინეტში კედელზე ჰკიდია სამშობლოს მოღალატის სოლჟენიცინის პორტრეტი. იგივე ინსტიტუტი წლების მანძილზე წარმოადგენდა ალექსანდრე კერენსკის თავშესაფარს, სადაც იგი გარდაიცვალა კიდეც.

1946 წელს კოლუმბიის უნივერსიტეტთან როკფელერის ფონდის სახსრებით შეიქმნა რუსეთის ინსტიტუტი, რომლის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო ამერიკელი „სოვეტოლოგი" გ. რობინსონი. 1948 წელს ჰარვარდის უნივერსიტეტთან ყალიბდება რუსეთის საკვლევი ცენტრი, რომელიც დაფინანსდა კარნეგის ფონდიდან. ამავე პერიოდს მიეკუთვნება პენტაგონის მიერ დაფინანსებული „რენდ კორპორეიშნ"-ის ჩამოყალიბება. 60-იან და 70-იან წლებში შტატებში შეიქმნა რუსეთისა და აღმოსავლეთ ევროპის საკვლევი ცენტრები მიჩიგანის უნივერსიტეტთან და სხვ.

ეგრეთ წოდებული „საქველმოქმედო" ფონდები მრავლად არის დასავლეთის ქვეყნებში, განსაკუთრებით კი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სადაც 30 ათასამდე ასეთ ფონდს ითვლიან, რომელთა აქტივების საერთო თანხა 28,5 მილიარდ დოლარს შეადგენს. გარდა ამისა, ფონდები მჭიდროდ არის დაკავშირებული სახელმწიფო აპარატთან. აშშ ყოფილი სახელმწიფო მდივანი დინ რასკი, სანამ ამ პოსტს დაიკავებდა,

1952 წლიდან 1961 წლამდე „როკფელერის ფონდის“ პრეზიდენტი იყო. ჯონ ფოსტერ დალესი, რომელიც „ცივი ომის“ ყველაზე უფრო გამწვავების პერიოდში წლების შანძილზე ედგა სათავეში აშშ სახელმწიფო დეპარტამენტს, ამავე დროს „როკფელერის ფონდის“ მზრუნველთა საბჭოს თავმჯდომარე იყო.

დღეს აშშ მოქმედებს 150 ორგანიზაცია და 200-ზე მეტი საუნივერსიტეტო კათედრა, რომელთა მუშაობის მთავარი მიზანია ინფორმაციის შეგროვება და ვითარების ანალიზი საბჭოთა საზოგადოების ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, სკკპ და საბჭოთა მთავრობის საგარეო და საშინაო პოლიტიკის შეაწავლა, სხვა სოციალისტური ქვეყნების მოვლენებზე თვალყურის დევნება. გფრ-ში ასეთი სახის ცენტრები 100-ზე მეტია[20].

დასახელებულ ორგანიზაციებში დასაქმებული „თეორეტიკოსები“ თვლიან, რომ 1941—1945 წლებში ბერლინმა ხელიდან გაუშვა პოლიტიკური ასპექტები, რომელიც ჯერ კიდევ ადრე ჩამოაყალიბა გერმანელმა სამხედრო თეორეტიკოსმა კლაუზევიცმა, სახელდობრ: „რუსეთი არ არის ისეთი ქვეყანა, რომელიც ნამდვილად შეიძლება დაიპყრო, ესე იგი ოკუპაცია გაუკეთო... ასეთი ქვეყანა შეიძლება დამარცხდეს შინაგანი სისუსტით და შინაგანი განხეთქილების მოქმედებით“. ახლა ამერიკელი „სტრატეგები“ ცდილობენ „გამოასწორონ“ რაიხის ხელმძღვანელთა შეცდომები[21]. მათ ძირითადი აქცენტი გადააქვთ დისიდენტებზე. როგორც ცნობილია, „დისიდენტი“ ინგლისური სიტყვაა და ნიშნავს „სხვაგვარად

---

[20] В. С. Комаровский, Ложь на экспорт, М., 1983, с. 27.
[21] Н. Н. Яковлев, ЦРУ против СССР, М., 1983, с. 57.

მოაზროვნეს". ყოფილი საბჭოთა დისიდენტი ვლადიმერ ბუკოვსკი, რომელიც ამჟამად ამერიკის შეერთებულ შტატებშია, რჩევას იძლევა: „ჩვენ ვცხოვრობთ იდეოლოგიური ომის ეპოქაში, არც ერთი ომის მოგება არ შეიძლება მხოლოდ დაცვითი საშუალებით". იგი ურჩევს, უპირველეს ყოვლისა, გაზარდონ ტურისტების და კადრების გაცვლა აღმოსავლეთ ევროპასთან.

საბჭოების ქვეყანაში ყოველთვის სიხარულით ხვდებიან სტუმრებს, ტურისტებს და სხვ. მით უფრო უკეთესია ჩვენთვის, რაც უფრო მეტი უცხოელი სტუმარი გვეწვევა და იხილავს ჩვენს რეალურ სინამდვილეს, გაეცნობა სოციალისტური ცხოვრების წესს. თუ 1967 წელს ჩვენში ჩამოსულ ტურისტთა რაოდენობა შეადგენდა 1,7 მილიონ ადამიანს, უკვე 1973 წელს ამ ციფრმა 2,9 მიაღწია, 1977 წელს 4,4, ხოლო 1982 წელს 5 მილიონზე მეტმა ადამიანმა ინახულა ჩვენი ქვეყანა. მაგრამ არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც ჩვენს ქვეყანაში გზავნიან იდეოლოგიურ დივერსანტებს „ჟურნალისტების", „ტურისტების" ნიღბით. აწყობენ პროვოკაციას და შპიონაჟს უცხოეთში მყოფი საბჭოთა ადამიანების მიმართ. მთელი ამ ბინძური საქმიანობის მეთოდი სხვადასხვაა, მიზანი კი ერთი — გააძლიერონ „იდეოლოგიური ომი" სოციალისტური წყობის წინააღმდეგ.

1984 წლის ივლისის დასაწყისში მოსკოვის ერთ-ერთ რაბონში კომპეტენტურმა საბჭოთა ორგანოებმა აშშ საელჩოს თანამშრომლებთან ჯ. პერნელთან და ჯ. გლასთან კონსპირაციული შეხვედრის დროს დააკავეს საბჭოთა მოქალაქე ლ. ბ. ტუმანოვა. უდავოდ დადგინდა, რომ ამ წინასწარ მომზადებული კონტაქტის დროს ამერიკის საელჩოს აღნიშნულმა თანამშრომლებმა ტუმანოვასაგან, ~~მასთან წინ~~ასწარი მორიგე-

ბით, დიდძალი მასალა მიიღეს საზღვარგარეთ საიდუმლოდ გადასაგზავნად. ეს მასალები მომზადდა და გათვალისწინებული იყო იმისათვის, რომ შესაბამის უცხოურ სამსახურებსა და ანტისაბჭოურ ცენტრებს საბჭოთა კავშირის მიმართ მტრული მიზნით გამოეყენებინათ.

ტუმანოვასთან ამერიკელი დიპლომატების შეხვედრა და აღნიშნული მასალების გადაცემა გულმოდგინედ მოამზადეს და გასაიდუმლოების განსაკუთრებული ღონისძიებანი განახორციელეს. მაგრამ მაინც არაფერი გამოუვიდათ. ამერიკელები, რომლებიც დააბნია განაზრახვის მოულოდნელმა ჩაშლამ, იძულებული გახდნენ ეღიარებინათ მასალების მიღების ფაქტი. შემდგომმა ძიებამ დაადასტურა უტყუარი მონაცემები იმის შესახებ, რომ ჯ. პერნელსა და ჯ. გლასს უკვე დიდი ხანია კავშირი ჰქონდათ ტუმანოვასთან, რომელიც, ამერიკელთა დავალებით, სისტემატურად აგროვებდა საბჭოთა კავშირის შესახებ ინფორმაციას, რომლითაც დაინტერესებული არიან ამერიკული დაზვერვა და იდეოლოგიური დივერსიის ცენტრები.

ზედმეტი არ იქნება გავიხსენოთ, რომ ამერიკის საელჩოს ეს თანამშრომლები წინათაც ეწეოდნენ საბჭოთა კავშირში მტრულ საქმიანობას, რომელსაც საერთო არა აქვს რა უცხოეთის დიპლომატიურ წარმომადგენელთა ფუნქციებთან. ისინი უშუალოდ მონაწილეობდნენ იმ პოლიტიკური პროვოკაციის ორგანიზაციაში, რომელიც დაკავშირებული იყო ეგრეთ წოდებულ „ბონერის საქმესთან“, რასაც იტყობინებოდნენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებანი[22].

1986 წლის 10 მარტს მოსკოვში ამერიკის დაზვერვის მი-

---

22 კომუნისტი, 1984, 10 ივლისი.

ერ გადაბირებულ საბჭოთა მოქალაქესთან კონსპირაციული შეხვედრის დროს დანაშაულზე წაასწრეს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მე-2 მდივანს მაიკლ სელერსს. აღიკვეცა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამერიკის შეერთებული შტატების სპეცსამსახურების კიდევ ერთი ჯაშუშური აქცია.

გამოძიების დროს შეგროვილი მტკიცებანი მთლიანად ამხილებდნენ აშშ საელჩოს ამ თანამშრომელს დაზვერვით საქმიანობაში, რომელიც შეუთავსებელი იყო მის ოფიციალურ სტატუსთან. მართლსაწინააღმდეგო ჯაშუშური საქმიანობისათვის მ. სელერსი გამოცხადდა პერსონა ნონ გრატად[23].

1974 წლის აპრილში თბილისში ჩამოვიდნენ ამერიკელი ტურისტები კოლმან რონალდი — ივრიტის (ებრაული ენის) მასწავლებელი კოლუმბიის უნივერსიტეტიდან და ფრიდმან ბეტტი — მუსიკის მასწავლებელი ნიუ-იორკიდან. გასინჯვის დროს ამერიკელებს აღმოაჩნდათ სიონისტური პროპაგანდისტული ლიტერატურა, საქართველოში მცხოვრები ებრაელების მისამართები. როგორც გამოირკვა, კოლმანი და ფრიდმანი აღმოჩნდნენ აშშ სიონისტური ორგანიზაციის ემისრები[24].

1975 წლის ოქტომბერ-ნოემბერში სამეცნიერო მივლინებით საქართველოში ჩამოვიდა ოქსფორდის ბოდლეანის ბიბლიოთეკის თანამშრომელი დევიდ ბარეტი. როგორც გაირკვა, ბარეტი მეორე მსოფლიო ომის პერიოდში მსახურობდა ინგლისის სამხედრო დაზვერვაში, შემდეგ „რუსეთის განყოფი-

---

23 კომუნისტი, 1986, 16 მარტი.

24 Щит—надёжный меч—острый, Тбилити, 1985, с. 213.

ლებაში“, სადაც პირადად მონაწილეობდა აგენტურის შემოგზავნაში სსრკ ტერიტორიაზე.

თბილისში ყოფნის პირველი დღეებიდანვე ცნობილი გახდა, რომ ბარეტი ძირითადად დაინტერესებული იყო დაზვერვითი ხასიათის საკითხებით, ვიდრე ძველქართული ხელნაწერების გაცნობით[25].

იმპერიალიზმის იდეოლოგიური მუშაობის აპარატის სამსახურში დგანან და მათ ერთგულად ემსახურებიან სამშობლოს გამყიდველები, რომელთაც უკანასკნელი ნავსაყუდელი კაპიტალისტურ ქვეყნებში უპოვიათ. როგორც ცნობილია, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, 2 მილიონამდე ადამიანი, ადრე გაბატონებული კლასების — მემამულეებისა და კაპიტალისტების რიგებიდან, ემიგრირებულ იქნა საზღვარგარეთ. იქ მათ შეინარჩუნეს თავიანთი კონტრრევოლუციური ორგანიზაციები, რომელთა მიზანს შეადგენდა საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და კაპიტალიზმის რესტავრაცია რუსეთში. დღევანდელი მათი ნაბოლარები არ ივიწყებენ წინაპართა „გამოცდილებას“. მაგალითად, რუსი სოლიდარისტების ეროვნულ-შრომითი კავშირი დისიდენტებს ურჩევს: „საჭიროა „წყნარი საბოტაჟი“. არ იაროთ კრებებზე. ხოლო თუ მიხვედით — არ გამოხვიდეთ სიტყვით, არ დაუკრათ ტაში... არ მიიღოთ მონაწილეობა ოფიციალურ მსვლელობასა და დემონსტრაციებში. არ მიიღოთ მონაწილეობა არჩევნებში“[26].

უფრო აქტიურ ბრძოლას უჭერს მხარს პარიზში, ბლომეს

---

25 იქვე, გვ. 213—214.

26 Н. Н. Яковлев, ЦРУ против СССР, М., 1983, с. 192—193.

ქუჩაზე „ბის“ — 125 ნომერში, ოთხ სართულიან სახლში განლაგებული ე. წ. „რუსების კლუბი“ — სამშობლოს გამყიდველების „შტაბ-ბინა“. შიგნით, კლუბის ერთ-ერთ კედელზე ჰკიდია შავ ჩარჩოში ჩასმული პორტრეტი. ეს არის ნ. ა. მაკოვი, იგივე თუმანოვი, ფაშისტების ყურმოჭრილი მსახური, რუსეთიდან გერმანელების უკანდახევის დროს დასავლეთში გაქცეული, ხოლო „მესამე რაიხის“ განადგურების შემდეგ ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს რომ მიექირავა. 1953 წელს თუმანოვი, ბად-ჰამბურგის (გფრ) სადაზვერვო-დივერსიული სკოლის დამთავრების შემდეგ, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოსა და ანტისაბჭოური ემიგრანტული ორგანიზაციის „სახალხო შრომითი კავშირის“ დავალებით ამერიკული სადაზვერვო თვითმფრინავიდან პარაშუტით გადმოსვეს ვინიცკის რაიონში, კიევში ან ოდესაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ძირგამომთხრელი მუშაობის მოწყობისათვის პირობების შესაქმნელად[27].

ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგეები სარგებლობენ იმით, რომ საბჭოთა მოქალაქეებს შორის აქა-იქ ჯერ კიდევ გვხვდებიან ობივატელები, რომელთაც დაუკარგავთ ობიექტური რეალობის აღქმის უნარი, რომელთაც ბრმად სჯერათ იმპერიალისტური პროპაგანდის ზღაპრები იმის შესახებ, თითქოს საბჭოთა კავშირი ვერასდროს გაუთანაბრდება დასავლეთის ბურჟუაზიულ ქვეყნებს მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის სფეროში, რომ მანქანები, სამრეწველო მოწყობილობა, რომელთაც ჩვენ ვამზადებთ, თავისი ხარისხობრივი მაჩვენებლებით ყოველთვის ჩამორჩებოდა და მომავალშიც ჩამორჩება დასავლეთის ნაწარმს და ა. შ.

---

[27] Ю. Корнилов, Б. Чехонин, Гувернантка из ЦРУ, М., 1984, с. 13—14.

ისინი, რა თქმა უნდა, ჩქმალავენ, რომ ჩვენ პირველებმა გავუშვით დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი, რომ ჩვენი საბჭოთა ადამიანი იყო პირველი კოსმონავტი. ვისი დაზგები, დანადგარები ან ელექტროხაზები უკეთესია განსაჯოს მხოლოდ სპეციალისტების ვიწრო წრემ, მაგრამ, რაც შეეხება მასობრივი მოხმარების საქონლის წარმოებას, აქ ჯერ კიდევაა ჩვენს წინაშე სიძნელეები. ეს გასაგებიცაა, ვიმყოფებოდით რა დიდი ხნის მანძილზე მტრულ გარემოცვაში, ჩვენ პრაქტიკულად არ შეგვეძლო სათანადოდ მიგვექცია ყურადღება მსუბუქი მრეწველობის განვითარებისათვის. თუ ამას დავუმატებთ ძველი რეჟიმიდან მიღებულ მძიმე მემკვიდრეობას — საერთო ეკონომიკურ ჩამორჩენილობას, სამოქალაქო ომითა და ინტერვენციით გამოწვეულ ნგრევას, მაშინ გასაგები იქნება ჩვენი მსუბუქი მრეწველობის ჩამორჩენის მიზეზები. ამასთანავე დასამალი არ არის, რომ გვაქვს მნიშვნელოვანი დარღვევები. მაგალითად, როგორ შეიძლება დიდი რაოდენობით ტყავის ფეხსაცმლის ან კოსტიუმის (შალის იქნება ის თუ ტილოს), ამა თუ იმ დაზგის დამზადებისათვის, საჭირო ნედლეულისა და მასალის შექმნისათვის, მათი წარმოების თანმიმდევრულ ეტაპზე, ვხარჯავდეთ კოლოსალურ სახსრებს და შრომას (შუალედური რგოლები), ხოლო საბოლოო შედეგი საზოგადოებრივ აღიარებას ვერ პოულობდეს? როცა ათასობით წყვილი ფეხსაცმელი არ იყიდება ან როგორც უვარგისს უკან აბრუნებენ, ეს უკვე დანაშაულია, ეს იმას ნიშნავს, რომ უქმად დავკარგეთ დრო, გავანიავეთ სახელმწიფო სახსრები. თუმცა უკანასკნელ წლებში ვითარება რადიკალურად იცვლება, და არ არის შორს ის დრო, როდესაც მასობრივი მოხმარების საბჭოთა საქონელმ პირველ ადგილს დაიჭერს მთელ მსოფლიოში.

* * *

იმპერიალისტური ქვეყნების იდეოლოგიური აპარატი, როგორც ზევით აღვნიშნეთ, ყველა ღონეს ხმარობს პროპაგანდა გაუწიოს ბურჟუაზიული ცხოვრების წესს და ფართო საზოგადოებას მიაწოდოს ყალბი ინფორმაცია სოციალიზმის ქვეყნების შესახებ. ამ მიზნით ბურჟუაზიის იდეოლოგები იყენებენ კინემატოგრაფის, ტელეხედვის ფართო შესაძლებლობას და ცდილობენ „მასობრივი კულტურის" გავლენას დაუმორჩილონ ყველა. ამასთან, დასავლეთის პროპაგანდის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია ჩაუნერგოს ადამიანებს, განსაკუთრებით ახალგაზრდობას, ველური, კაცთმოძულეობის გრძნობები და იდეები,—შოვინიზმი, რასიზმი და ზიზღი მათ მიმართ, ვინც ხელს უშლის თავზეხელაღებულ ფაშისტ მოძალადეებს „თავისუფალ ძალადობაში". თავიანთი ამ ბინძური საქმიანობის გამართლებისათვის არ ერიდებიან წარსულის დამახინჯებას, პირველ რიგში მეორე მსოფლიო ომის ისტორიის გაყალბებას, აღვივებენ და ააქტიურებენ რევანშიზმის სულისკვეთებას ახალგაზრდობაში. საუბრობენ რა იმით, რომ მათ — ახალგაზრდობას ომის საშინელება არ გამოუცდია, რომ მათ არ იციან რა იყო ფაშისტური ოკუპაცია და ა. შ.

დასავლეთის ზოგიერთი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე თვლის, რომ ნაციზმთან ბრძოლა იყო შეცდომა და რომ სამხედრო დამნაშავეები არ უნდა გავასამართლოთ ომში ჩადენილი დანაშაულისათვის. ნაციზმისადმი ასეთი მხარდაჭერის შედეგს წარმოადგენს დღეს დასავლეთ გერმანიაში გაჩაღებული კამპანია ფაშიზმის, მისი თეორიისა და პრაქტი-

კის რეაბილიტაციისათვის. როგორ პარადოქსულადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, ეს კეთდება ანტიჰიტლერული კოალიციის ქვეყნების — აშშ და დიდი ბრიტანეთის მხარდაჭერით. რეაქციული ბურჟუაზიის დღევანდელი იდეოლოგები აღნიშნავენ, რომ ფაშისტებმა წარმატებით მოამზადეს მოსახლეობა ომისათვის, ჩაუნერგეს მათ კომუნიზმისადმი ზიზღის გრძნობა და რომ ეს „გამოცდილება" ახლა უნდა გამოვიყენოთ მოსახლეობის — განსაკუთრებით ახალგაზრდობის დამუშავების საქმეში[28].

ახალგაზრდობამ, რომელმაც არ იცის ისტორიული სიმართლე, ხედავს, რომ ხელისუფლება ოფიციალურად ამართლებს ნაცისტ დამნაშავეებს, ხედავს თუ როგორ ღებულობენ პენსიებს ყოფილი ესესელები. ნაცისტთა მხეცობაზე სიმართლის მოყოლის ნაცვლად სკოლაში, ეკრანზე, მთელ რიგ წიგნებში განდიდებულია ჰიტლერი და სხვა სამხედრო დამნაშავეები. ქვეყანაში დროდადრო გადაივლის მიხაკისფერი ნოსტალგიის ტალღა, რომელიც მოიცავს ბურჟუაზიულ კინოს, ლიტერატურას, პრესას[29]. გამოდის როკ-მელოდიის უამრავი ფირფიტა, ფაშიზმის პროპაგანდით. დასავლეთის ქალაქების ქუჩებში ფართო რეკლამებია ფილმებზე, სადაც გამოსახულია ცეცხლმოდებული სახლების, მოპიკირე ბომბდამშენების და სასიკვდილოდ განწირული ხალხის ფონზე „მძლეთამძლე" ფიურერი. ასეთი მუშაობის შედეგს, ბუნებრივია, რომ წარმოადგენს ახალგაზრდობის რევანშისტული განწყობილების გაძლიერება დასავლეთ გერმანიაში. აი რას ამბობს ერთ-ერთი ნეოფა-

---

[28] И. Карпец, Преступное общество, М., 1983, с. 124—125.

[29] Л. Стржижовский, ФРГ. На правом фланге, М., 1983, с. 8.

ისტური ორგანიზაციის წევრი, 15 წლის ოლაფ შმიდტი: „ჰიტლერს არ უნდოდა ომი, ის ჩვენ თავს მოგვახვიეს, რაც შეეხება ებრაელებს, მართალია წყვილ-წყვილად ხვრეტდნენ, მაგრამ გაზის კამერებში არც ერთი არ დაღუპულა. გაზის კამერები ააშენეს ომის შემდეგ გამარჯვებულებმა, რათა ჩვენ გავეშავებინეთ". 14 წლის ფრიც ვალდმანი კი აღნიშნავს: „ჩვენი მამები ცხვირით ჩამოკიდეს, მაგრამ ჩვენ ახალგაზრდები ვიბრძოლებთ ბოლომდე... ჩვენ გავიმართებით და მაშინ მთელი მსოფლიო ვიშვიშს დაიწყებს".

არა, — ერთხმად აცხადებენ მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები, — ფაშიზმის ნაბოლარებს არ უნდა მივცეთ წამოდგომის საშუალება, ხოლო ისინი, ვინც ამზადებს ახალგაზრდობას ამისათვის, უნდა გავასამართლოთ, როგორც საშიში დამნაშავენი[30].

ამერიკელ პატარებს ბავშვობიდანვე „კვებავენ" ანტისაბჭოური პროპაგანდით. სწორედ ამის შედეგია, რომ არიან ისეთი ამერიკელი ახალგაზრდები, რომელთაც სჯერათ, თითქოს ციმბირში ადამიანები იღებენ სპეციალურ აბებს სიცივისაგან თავდასაცავად, რომ იქ კომკავშირში იღებენ ყოველ ახალდაბადებულს. მათ სჯერათ, რომ თუ პენტაგონს არ ექნება მთელ მსოფლიოში სამხედრო ბაზები, მაშინ ბერინგის სრუტით ამერიკის კონტინენტზე შეიჭრებიან საბჭოთა ტანკები[31] და ა. შ.

აშშ სკოლებში ისწავლება უცნაური საგანი „კონფრონტაციის პროექტი", რომლის ჩარჩოებში ტარდება „გაკვეთილე-

---

[30] ი. კარპეცი, დასახ. ნაშრომი, გვ. 128.

[31] А. Лауринчюкас, Ковбои истерии и торжество разума М., 1984, с. 17.

ბი“, რომელიც ორგანულად დაკავშირებულია „ფსიქოლოგიურ ომთან“ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, აი, როგორ აღწერს საბჭოთა კორესპონდენტი აშშ-ს ასეთ „გაკვეთილებს“: „კლასში შემოვარდება ორი ადამიანი საბჭოთა სამხედრო ფორმით, არ აძლევენ რა მოსწავლეებს გააზრების საშუალებას, ერთი მათგანი მუშტებშემართული ყვირის: „მე ვარ მაიორი დიმიტრი კლემინსკი. ეს არის — სერჟანტი. ჩვენ წარმოვადგენთ საბჭოთა შეიარაღებულ ძალებს. ჩვენი მთავარი ამოცანაა — მსოფლიო ბატონობის მიღწევა. ჩვენი მთავარი მოწინააღმდეგეა შეერთებული შტატები. მივაღწევთ რა ატომურ უპირატესობას ჩვენ გავიმარჯვებთ მომავალ ომში“. საბჭოთა სამხედრო ფორმაში გადაცმულები არიან კაპიტანი დევიდ კლემენსი და ტომ გლეიზერი, რომლებსაც ტეხასის საშუალო სკოლებში მიჰყავთ სასწავლო კურსი „კონფრონტაციის პროექტი“[32].

ბურჟუაზიული სამყაროს ახალგაზრდობას ასეთი „აღმზრდელობითი“ გაკვეთილების შედეგად უყალიბდება ძალის კულტისადმი თაყვანისცემა. წინა პლანზე გამოდის სუპერმანის ფიგურა. ძალის კულტით გატაცება კი მაუწყებელია ეპოქის ჩამორჩენილობისა, როდესაც არ ესმით გონის ღირებულება, ან კიდევ დეგრადაციისა, როდესაც გონის ეპოქას მოსდევს ღირებულებათა გაუფასურება და ნიჰილიზმი. გონებრივად ღატაკი ადამიანისათვის მთავარია სენსაციები. ეს პროცესი კარგად აქვს აღწერილი პროგრესულ ესპანელ მწერალს ხუან ანტონიო დე სენსუნეგის წიგნში — „სამყარო თავისი გზით მიდის“. „ჩვენი ქვეყნის პრესა, — წერს სენსუნეგი, — ფეხბურთის მატჩს უფრო მეტ ყურადღებას აქცევს, ვიდრე

---

[32] В. Корионов, Надежды планеты, М., 1984, с. 106.

მეცნიერების პრობლემებს... სპორტითა და კინოთი ხალხის გამოშტერება არის საშუალება იმისა, რომ არ იფიქრონ უფრო მნიშვნელოვანზე", ე. ი. მომავალზე, პოლიტიკაზე. ყოველივე ამის შედეგია, რომ საზოგადოებრივი აზრის შემსწავლელი ერთ-ერთი ინსტიტუტის მიერ ჩატარებული გამოკითხვიდან თემაზე — „რა იციან ამერიკელებმა საბჭოთა კავშირის შესახებ"? აღმოჩნდა, რომ ამერიკის კოლეჯების 16 პროცენტმა არ იცის ვის წინააღმდეგ და ვის მხარეზე იბრძოდა საბჭოთა კავშირი შეორე მსოფლიო ომის წლებში. სტუდენტთა 9% თვლის, რომ სსრ კავშირი გერმანიის მხარეზე იბრძოდა, სტუდენტთა 14%-მა ვერ შეძლო დაესახელებინა რომელიმე ორი საბჭოთა ქალაქი. 8%-მა არ იცის სსრ კავშირის დედაქალაქი. 34%-ს არასდროს არ წაუკითხავს საბჭოთა ავტორების არც ერთი წიგნი, 87%-ს არც ერთი საბჭოთა ფილმი არ უნახავს[33]. უფრო მეტიც, მოსწავლეთა ცოდნის შემოწმების დროს, რომელიც ჩატარდა ავსტრალიის, კანადის, ინგლისის, საფრანგეთის, იაპონიის, შვეიცარიისა და აშშ სკოლებში, გამოირკვა, რომ გეოგრაფიაში ამერიკელ მოსწავლეთა ცოდნა ყველაზე სავალალო მდგომარეობაში ყოფილა. მაგალითად, დალასის (ტეხასის შტატი) ყოველმა მეხუთე მოსწავლემ ვერ შეძლო რუკაზე მოეძებნა ამერიკის შეერთებული შტატები[34].

უკანასკნელი 40 წლის განმავლობაში, — წერს ტოკიოს უნივერსიტეტის „იაპონიზმის" ცნობილი მასწავლებელი, დოცენტი ჰიოზ მურაკამა — „ჩვენ გამოვზარდეთ გამოტვინებული და უპიროვნო პირუტყვები. ეს მორჩილი, უდრტვინელი ბავშვები არიან, რომლებიც არაფერს აკეთებენ მასწავლებ-

---

33 კომუნისტი, 1983, 26 ივნისი.

34 Новое время, 1984, № 2.

ლის მიუთითებლად... მათ ჯოგური აზროვნება მოსდგამთ, მათს მოქმედებაში გამოკვეთილია ერთადერთი ლტოლვა — შევიდნენ კარგ სკოლაში, მიიღონ კარგი ნიშნები და იშოვონ კარგი სამუშაო...".

ახალგაზრდობის თაობაზე დისკუსიაში მთავარი ადგილი სკოლის პრობლემას უჭირავს. და აქ თავს იჩენს იაპონიის ელიტარული და გასამხედროებული აღზრდის სისტემის საშიში და მოულოდნელი თავისებურებები, რომლებიც აბსოლუტურად ეწინააღმდეგება საზოგადოდ მიღებულ წარმოდგენებს. ეს არაადამიანური სისტემაა, — ამბობს პედაგოგი ტომო კუბოტი, — რომელიც ანადგურებს პიროვნებას და ქმნის სტერეოტიპული მოქმედების მოდელს. მაგრამ უფრო ახლოს მივიდეთ საქმესთან, შევიხედოთ იაპონიის სკოლებში, დავინახოთ მისი კონკრეტული სახე. არც მეტი, არც ნაკლები, ეს სისტემა სატუსაღოზე უფრო მკაცრი და სასტიკია. აი, რამდენიმე მაგალითი: იმისათვის, რომ ზარის დარეკვის შემდეგ თავისი ადგილი დაიკავოს და მოემზადოს გაკვეთილისათვის, მოსწავლეს ეძლევა მხოლოდ 59 წამი (ერთ წუთზე ნაკლები!), მოსწავლის თმის სიგრძე ზუსტად მილიმეტრს უნდა აღწევდეს (ეს უკვე ყაზარმული მოთხოვნაა!), დერეფნებში, რომელთა იატაკი დახაზულია თეთრ ზოლებად, მოსწავლეები დადიან მწყობრად დაწყობილები, ხმაამოუღებლად. თითოეული მოსწავლე ატარებს დამაგნიტებულ ბარათს, რომელზედაც აღნიშნულია სრული მონაცემები მის შესახებ. მასში შეტანილია აგრეთვე შენიშვნები და მარშრუტი, რომლითაც მან უნდა გაიაროს შინიდან სკოლამდე და პირუკუ. მოსწავლე, რომელმაც განსაზღვრული რაოდენობის შენიშვნები მიიღო, ისჯება. ყველა მოსწავლე დღეში ორჯერ მუხლებზე დაჩოქილი წმენდს იატაკს კლასებში. ქალაქ ნაგოის სკოლებში

(სადაც იმყოფება საავტომობილო მშენებლობის გიგანტი ფირმა „ტოიოტა") მოქმედებს იგივე წესი, რაც სამრეწველო საწარმოებში. მოსწავლეებსაც და მუშებსაც ევალებათ ატარონ მოკვირისტებულჯიბეებიანი და მოკლე შესაკრავიანი შარვლები, რათა ზედმეტი დრო არ დახარჯონ ტუალეტში. თუ სკოლის წესდება ემსგავსება სამონასტრო წესდებას, სასჯელებში ინკვიზიციის წესებია გაბატონებული. სილის გაწვნა და პანღურის ამოკვრა მასწავლებლის მიერ აქ სრულიად ჩვეულებრივი რამ არის, მაგრამ ისეთი შემთხვევებიც ხდება, როდესაც მასწავლებლები კლავენ მოსწავლეებს, ვის — დანით, ვის — ბეისბოლის სარტყმელით. ერთი ცამეტი წლის გოგონა მასწავლებელმა ასე მოკლა: იმისათვის, რომ ესწავლებინა და ეჩვენებინა, თუ რა შემთხვევებში უნდა გაიხადოს ფეხსაცმელი, მან ბავშვს სხეულზე გადაუარა მძიმე, უხეში ფეხსაცმლით.

მთავრობის გამოკვლევათა მასალებში ბოლო დროს აღნიშნულია, რომ მარტო ერთი წლის განმავლობაში რეგისტრირებულია მასწავლებელთა მიერ მოსწავლეთა ცემის 2433 შემთხვევა. ერთ ოსაკელ მასწავლებელს დამნაშავე მოსწავლე რამდენიმე წუთს ჩამოკიდებული ჰყავდა მეოთხე სართულის ფანჯარაზე.

ძალადობა, ან როგორც იაპონელები ამბობენ, — „იძიმა" მძვინვარებს თვით მოსწავლეთა შორისაც. სტატისტიკური მონაცემები, რომლებიც სპეციალისტების აზრითაც კი აშკარად შემცირებულია, თავად მეტყველებს ამის შესახებ. მარტო 1984 წელს რეგისტრირებული იყო დაუნდობელი ცემის

531 შემთხვევა. სასამართლოს წინაშე ყოველგვაროი დანაშაულისათვის წარსდგა 250 ათასი მოსწავლე[35].

კიდევ უფრო რთული ვითარებაა შეერთებულ შტატებში. მაგალითად, კანზასის შტატის ქალაქ გოდარდის მკვიდრმა, თოთხმეტი წლის მოსწავლემ გასროლით მოკლა სკოლის დირექტორი, მძიმედ დაჭრა ორი მასწავლებელი და მოსწავლეები. სამმა მოსწავლემ დაუნდობლად სცემა თავიანთ ამხანაგს და მრავალი ჭრილობა მიაყენა დანით. იგი საავადმყოფოში გარდაიცვალა ისე, რომ გონს ვერ მოვიდა. ბოსტონელმა მოსწავლე გოგონამ რევოლვერის ტყვიებით განგმირა თავისი მასწავლებელი...

ასეთი ცნობებით სავსეა ამერიკის გაზეთებისა და ილუსტრირებული ჟურნალების ფურცლები. მკითხველები მცირეწლოვან დამნაშავეთა სულის გამყინავი რეპორტაჟებისა და სისხლიანი სცენების ხილვისას სულ უფრო ხშირად სვამენ კითხვას: რა ხდება ჩვენს დემოკრატიულ და ცივილიზებულ ქვეყანაში როცა თვით ბავშვებმაც კი იარაღს მოჰკიდეს ხელი?

ნაკლებ შეშფოთებული არც იურისტები, ფსიქოლოგები და სოციოლოგები არიან. განათლების ეროვნული ინსტიტუტის გამოანგარიშებით, ყოველწლიურად 280 ათასზე მეტ მოსწავლეს ესხმიან თავს სასწავლებლის შენობაში, 112 ათასი შეიარაღებული გაძარცვის, 2,4 მილიონი კი — ქურდობის მსხვერპლია. ხოლო რას აკეთებენ ამ დროს მასწავლებლები, რათა ძალადობის ნაკადი შეაჩერონ? ისინი ძალაუნებურად მხოლოდ ხელებს ასავსავებენ: „ჩვენ არაფრის გაკეთება არ შეგვიძლია რომ კლასებში წესრიგი იყოს. მრავალი ჩვენგანი

---

35 სახალხო განათლება, 1986, 26 მარტი.

და მათ შორის მეც, ვცდილობ ბევრ რამეს თვალი დავუხუ-ჭოთ, კომპრომისი ვამჯობინოთ და ნაკლები მოვთხოვოთ ჩვენს მოწაფეებს, მათთან ურთიერთობა რომ არ გავამწვა-ვოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შენც შეიძლება მიგტყიპონ, ანდა უფრო უარესი, ზურგში დანა გაგირჭონ", — ნაღვლია-ნად ყვება ერთი ლოსანჟელესელი მასწავლებელი. ვაგლახ, რომ სკოლის დამრიგებლები სულ უფრო ხშირად ხდებიან თავიანთი აღსაზრდელების მსხვერპლთა თანრიგში. მიჩიგანის სკოლების ერთ-ერთმა გამოკვლევამ ცხადყო, რომ ყოველ მეხუთე მასწავლებელს თავს ესხმის მოსწავლე.

იმის კვალობაზე, რაც ძალადობის მძვინვარე ტალღები ეხეთქება სკოლას, რომელთა კედლებში ოდესღაც ტრადი-ციულად ცოდნისა და სიმშვიდის ატმოსფერო სუფევდა, მრა-ვალი მასწავლებელი ამჯობინებს გამოემშვიდობოს თავის პროფესიას. იმ მასწავლებლებს კი, რომლებსაც არ სურთ დათმონ თავიანთი პოზიციები „სასკოლო ომში", აწუხებთ გაძლიერებული ნერვიულობა, კუჭის წყლული, მაღალი წნე-ვა, ქრონიკული შაკიკი და კორონარული სტრესები.

ახალგაზრდობაში დანაშაულობათა არნახული ზრდა ამჟა-მად ერთ-ერთი უმწვავესი საერთო-ეროვნული პრობლემაა. მრავალი მოსწავლე, როგორც ბიჭები, ისე გოგონები, წიგნე-ბისა და რვეულების მაგივრად სკოლაში ატარებენ იარაღს. როგორც გაზეთი „ნიუ-იორკ ტაიმსი" იუწყებოდა, დეტროი-ტის სკოლების შემოწმებათა სერიების შედეგად მოზარდებს ჩამოართვეს 60 რევოლვერი და 70-ზე მეტი დანა. ამასთან, ამ რეიდების მონაწილეთა აღიარებით, ჩამორთმეული იარა-ღი „მხოლოდ უმნიშვნელო ნაწილია იმ არსენალისა, რომე-ლიც ამერიკელ მოსწავლეთა ხელშია". მიუკერძოებელი სო-ციოლოგები აღნიშნავენ, რომ დაახლოებით ყოველი მეხუთე

მოსწავლე კლასში სამეცადინოდ მიდის იარაღით აღჭურვილი.

რით აიხსნება ძალადობის ტალღების აზვირთება, სკოლას რომ მოაწყდა? მიზეზი, ცხადია, ბევრია, მაგრამ მათ შორის მთავარი, უწინარეს ყოვლისა, უნდა ვეძიოთ თვით ამერიკული ცხოვრების წესში, საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ სტრუქტურაში. კერძოდ, ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვები, რომელთა მშობლები დაკავებული არიან სამუშაოსა და ბინის ქანცგამწყვეტი ძიებით, პირველ რიგში ავადდებიან საზოგადოებისადმი, ირგვლივ მყოფთა მიმართ ზიზღით. ისინი ხდებიან ნერვულნი, გაღიზიანებულნი და მზად არიან ნებისმიერ წუთს აამოქმედონ მუშტები თუ დანა.

ავადმყოფი ორგანიზმი, როგორც ყოველგვარი ავადმყოფობა, თავის თავს წამლავს. მოზარდები სამყაროს უყურებენ სოციალური უსამართლობის, მახინჯი მორალის, ძალის კულტისა და სისასტიკის პრიზმიდან, რომლებიც ინერგება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.

სპეციალისტები ავტორიტეტულად ამტკიცებენ, რომ ტელევიზორი სკოლაზე მეტად მოქმედებს ბავშვთა ფსიქიკაზე. და არაფრად აქცევს ოჯახის აღმზრდელობითს ღონისძიებებს. რა უფრო მეტად გიყვარს, მამა თუ ტელევიზორი, შეეკითხნენ პატარა ბიჭს. „რა თქმა უნდა ტელევიზორი", — უყოყმანოდ უპასუხა ბიჭუნამ. და ეს, სამწუხაროდ, ანეგდოტი როდია. ამგვარი პასუხები მიიღეს პატარა ტელემაყურებელთა ერთ-ერთი გამოკითხვის დროს.

ტელევიზორის ეკრანი ბავშვებს განუწყვეტლივ აწოდებს ჩხუბის, მკვლელობათა, ძალადობის მრავალრიცხოვან სცენებს. ბრწყინვალედ მომზადებული ფერადი მულტიპლიკაცი-

ური პროგრამები განადიდებს მუშტის ძალაუფლებას, ზოგჯერ უფრო ხშირად, ვიდრე მხატვრული ფილმები უფროსებისათვის. როგორც ხაზგასმით არის აღნიშნული გამოკვლევაში — „ეროვნული კოალიცია ტელევიზიიდან ძალადობის განსადევნად", თვალსაჩინო მეცნიერების, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა დარგის ექსპერტების, ომისსაწინააღმდეგო, ქალთა და რელიგიური ორგანიზაციების ხელმძღვანელების აზრით, ამერიკის კინოთეატრებისა და ტელევიზორების ეკრანები გადაიქცა სისასტიკის ბუდეებად, მილიტარიზმისა და ომის პროპაგანდის ტრიბუნებად. სპეციალისტთა გამოანგარიშებით, ძალადობისა და საომარი სცენების დროის საერთო მოცულობა, რასაც წლეულს ამერიკელი ბავშვები ნახავენ შინ ტელეეკრანებზე, 22 სასწავლო დღეს გაუთანაბრდება და მთელი ათი წლის განმავლობაში ყმაწვილი „ელექტრონული ჯადოქრის" ეკრანზე ხედავს 13 ათასზე მეტ ძალადობით სიკვდილს.

. გასაკვირი არ არის, რომ ძალადობა ზოგჯერ ეკრანიდან ცხოვრებაში გადადის. ქალაქ სან-დიეგოში მოსწავლე გოგონამ ატეხა შაშხანიდან დამიზნებით სროლა საკუთარ სკოლაში, მოკლა დირექტორი, მასწავლებლები, დაჭრა პოლიციელი, რამდენიმე მოსწავლე. „მე მინდა მესროლა, — გულგრილად გამოუცხადა მან რეპორტიორებს, — ისე როგორც ტელეეკრანზე ხდება"[36].

ამიტომაც არის, რომ განგსტერები კოვბოებთან ერთად გახდნენ ქალაქური ვესტერნების მთავარი პერსონაჟები, რომანტიზებული გმირები.

ასეთი მდგომარეობა, ბუნებრივია, არ შეიძლება არ აღელ-

---

36 სახალხო განათლება, 1985, 23 ოქტომბერი.

ვებდეს ამერიკის საზოგადოებრიობას, მშობლებს, სკოლის დამრიგებლებს. მაგრამ მათი ყველა მოწოდება ხელისუფალთადმი — ალაგმონ სატელევიზიო კორპორაციების თვითნებობა, გულგრილობის ყრუ კედელს აწყდება. პასუხი ერთია: არ შეიძლება დაირღვეს აშშ-ის კონსტიტუციის პირველი შესწორება, რომელიც აცხადებს სიტყვის თავისუფლებას ყველასათვის. სინამდვილეში, ნუთუ შეუძლიათ მსხვილი კაპიტალის მსახურთ ხელი აღმართონ იმაზე, რაც კორპორაციებისათვის წმიდათაწმიდაა — მოგება ყველგან და ყველაფერში.

ბოლო წლებში ბიზნესის ობიექტი გახდა საბავშვო სამხედრო სათამაშოებიც, რომელთა გაყიდვა უკანასკნელ სამ წელიწადში 350 პროცენტით გაიზარდა და რეკორდულ მაჩვენებელს — 842 მილიონ დოლარს მიაღწია. სისასტიკის ასეთი „ტრენაჟორების“ ნეგატიური ზემოქმედება აშკარაა. ასე, მაგალითად, სამხრეთის უნივერსიტეტის მეცნიერი მუშაკი ჩ. ტერნერი თავის გამოსვლაში ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბავშვთა ანტისაზოგადოებრივი საქციელი პირდაპირ დაკავშირებულია იმასთან, რომ ისინი თამაშობენ ქვემეხებით, ტანკებით, ჯარისკაც-რობოტებით. იზრდება იმის რისკი, — აღნიშნავს იგი, — რომ შემდგომში, ყოველდღიურ ცხოვრებაში ისინი ასევე მიმართავენ ძალადობას. „აშშ-ის მთავრობა ხალისით უწევს დახმარებას სამხედრო სათამაშოების გამოშვებაში სპეციალიზებულ საწარმოების მეპატრონეებს, და ამავე დროს კი არც ერთ დოლარს არ იმეტებს იმისათვის, რომ დაიცვას ამერიკის ახალგაზრდა თაობა ამ პროცესის ყველგან გავრცელებული რეკლამისაგან და იმ დამღუპველი გავლენისაგან, რაც ძალადობის ზრდით გამოიხატება“, — აღნიშნავს

„ტელევიზორში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის კოალიცია“[37].

ამერიკის სკოლებში დანაშაულობათა ფართოდ გავრცელების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი დაკავშირებულია მოსწავლეთა შორის ალკოჰოლიზმსა და ნარკომანიასთან, რომლებიც ამჟამად ამერიკის სახის დამახასიათებელ ნიშნად იქცა. ასე, მაგალითად, არსებული ცნობებით, 17 წლამდე მოზარდთა შორის ალკოჰოლიკების რაოდენობა დაახლოებით 2,5 მილიონს შეადგენს, დაახლოებით 4 მილიონი ამერიკელი თვეში ერთხელ მაინც ხმარობს ნარკოტიკებს. „ჩვენი რაიონის დაწყებითი სკოლები სავსეა ნარკოტიკებით. ჩვენი ბავშვები ასწრებენ ამით გატაცებას მანამდე, ვიდრე შევნიშნავთ, თუ რა ხდება“, ჩივის ორი მოსწავლის დედა.

1985 წლის დასაწყისში აშშ-ის უმაღლესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლითაც მასწავლებლებს სანქცია მისცა გაჩხრიკონ მოსწავლეები ნარკოტიკებისა და იარაღის აღმოსაჩენად.

ამრიგად, მასწავლებლებმა მიიღეს პოლიციური უფლებამოსილება, წესრიგის დამცველები გახდნენ ამერიკის სკოლების ხშირი სტუმრები. მაგრამ იქნება კი ეფექტიანი ეს ზომები? ბევრნი, მათ შორის მასწავლებლები, ამას სკეპტიკურად უყურებენ. „პოლიციელები მერხებთან — მდგომარეობიდან გამოსავალი არ არის, — მიაჩნია ერთ-ერთ მიჩიგანელ მასწავლებელს. — იმისათვის, რომ ვიბრძოლოთ დანაშაულის წინააღმდეგ, საჭიროა საზოგადოების ძირფესვიანი სოციალური გარდაქმნა, ჯანსაღი ზნეობრივი ატმოსფეროს შექმნა, სხვანაი-

---

37 ი. ა. გ ე ე ვ ს კ ი, მაფიაᲐ, ცენტრალური სადაზვერვო სამმართველო, უოთერგეიტი, თბ., 1984, გვ. 9.

რად ჩვენი ყველა ღონისძიება არაფრად ეღირება“. ეს მართლაც ასეა, სავსებით ზუსტად არის ნათქვამი[38].

ბავშვებს დანაშაულისაკენ უბიძგებს მშობლების მკაცრი მოპყრობაც, რაც ესოდენ დამახასიათებელია კაპიტალისტური ქვეყნებისათვის. საფრანგეთში ყოველ წელს სასამართლოში ირჩევა 2500 შემთხვევა მშობლების მხეცური საქციელის შესახებ, რის შედეგად ბავშვებით ივსება საავადმყოფოები.

გაზეთ „ვესთფალიშე რუნდშაუს“ მონაცემებით, გფრ-ში ყოველ წელს 30 ათასი ბავშვი მშობლების მკაცრი მოპყრობის მსხვერპლი ხდება. მათგან ასობით იღუპება წამებისაგან. დაახლოებით 6 ათასამდე 3 წლამდე ბავშვი საავადმყოფოში ხვდება საშინელი ცემის გამო. 18 ათასი ვერ იტანს რა საშინელ მოპყრობას, ცდილობს თვითმკვლელობით დაასრულოს სიცოცხლე.

საინტერესოა რომ ინგლისელი, რომელიც დაარტყავს ძაღლს კბენისათვის, შესაძლებელია აღმოჩნდეს ციხეში, ხოლო ბავშვის დასახიჩრებისათვის მას ემუქრება მხოლოდ ჯარიმა. ამიტომაა, რომ ბავშვების მხრივ თავდასხმის მსხვერპლი ყველაზე მეტად მასწავლებლები და მშობლები ხდებიან.

ამერიკის სასამართლო ასოციაციის წევრი არასრულწლოვანთა საქმეებში კ. ვუდენი ამასთან დაკავშირებით სწერდა ჯ. კარტერს მისი პრეზიდენტობის დროს: „აშშ, მიუთითებდა ვუდენი, ე. წ. გამასწორებელ ადგილებში გასამართლების გარეშე დაკავებულია 300 ათასი ბავშვი, რომელთაც არაფერი ჩაუდენიათ სამართალსაწინააღმდეგო. ძირითადად ეს ბავშვე-

---

[38] სახალხო განათლება, 1985, 23 ოქტომბერი.

ბი გამოექცნენ მშობლების სიმკაცრეს და აღმოჩნდნენ ქუჩაში"[39].

ამიტომაც არის, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალგაზრდობა გაძლიერებით ეტანება ნარკოტიკებს. აშშ ტერიტორიაზე ყოველღამე საშუალოდ 80 თვითმფრინავი ჯდება მალულად, რომელთა ფრთებქვეშ „თეთრი პუდრის" ტვირთია გადამალული. მარიხუანა კი, როგორც წესი, გემებით შემოაქვთ. ხელისუფლების წარმომადგენლები ძლივძლივობით ახერხებენ ნარკოტიკების მეათედი ნაწილის ჩამორთმევას. და არცაა გასაკვირი, რომ დღეს სამხრეთ ფლორიდაში ნარკოტიკებთან დაკავშირებული ოპერაციების წლიური ბრუნვა 7—12 მილიარდ დოლარადაა შეფასებული[40].

ცნობილია, რომ აშშ 1974 წლიდან გამოდის სპეციალური ჟურნალი ნარკომანებისათვის — „ჰაი ტაიმზი". ჟურნალი რეკლამას უწევს ნარკოტიკულ საშუალებებს.

1980 წელს „ბითლზ"-ების ოთხეულიდან ერთ-ერთი — პოლ მაკარტნი დააკავეს ტოკიოს აეროდრომზე მარიხუანით დატვირთული. იაპონური გაზეთები იუწყებოდნენ, რომ სკოლის მოსწავლეები ყოველდღე იკრიბებოდნენ საგამომძიებლო საპატიმროსთან ლოზუნგებით: „ყველაფერი, რასაც აკეთებს მაკარტნი, შესანიშნავია! ჩვენც ასე მოვიქცევით!"[41].

ბოლო წლებში იაპონიაში გამოჩნდა დამნაშავეთა ახალი ჯგუფი „ბოსოდზოკუ" — „ველური სისწრაფის ტომი". ჯგუფის წევრებს აცვიათ ტყავის ქურთუკი, ახურავთ ჯარისკაცის სვასტიკიანი ჩაჩქანი. მოტოციკლეტებზე „ამხედრებულნი"

---

[39] Обвиняется в бесчеловечности, М., 1984, с. 182, 183, 184.

[40] ი. ა. გ ე ე ვ ს კ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

[41] В. Ц в е т о в, Мафия по японски, М., 1985, с. 33.

უდიდესი სიჩქარით დაჰქრიან ქალაქის ქუჩებში, ანგრევენ მალაზიებს, ფარდულებს. არ ინდობენ ფეხით მოსიარულეებს. ამიტომაც არის, რომ მოსახლეობა მათი მოახლოებისას ქუჩას გაურბის შეძლებისდაგვარად. 1980 წელს იაპონიის პოლიციას აღრიცხვაზე ჰყავდა 754 ჯგუფში გაერთიანებული 38952 „ბოსოდზოკუ". მათგან 80 პროცენტი არასრულწლოვანი[42].

იაპონიაში პოლიციის მონაცემებით მოქმედებს 2650 განგსტერული ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს 120 ათას წევრს. ამას გარდა 300 ათასი ახალგაზრდა არაპირდაპირ დაკავშირებულია ამ ორგანიზაციებთან. ტოკიოსა და ოსაკას რაიონებში ისინი კონტროლს უწევენ 26 ათას დაწესებულებას: რესტორნებს, ბარებს, სამშენებლო და სატრანსპორტო ორგანიზაციებს. მათი წლიური შემოსავალი შეადგენს დაახლოებით 1000 მილიარდ იენს. ერთ-ერთ მსხვილ განგსტერულ სინდიკატს — „იამაგუტი გუმი"-ს ჰყავს 11 ათასი წევრი. აღნიშნულ სინდიკატს სათავეში ედგა იაპონიის დამნაშავეთა სამყაროს „მეფე" კადზუო ტაოკა, რომელიც 1981 წლის 25 ოქტომბერს გარდაიცვალა.

იაპონელი განგსტერების შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს წარმოადგენს „ცოცხალი საქონელი". პოლიციის ეროვნული სამმართველოს მონაცემებით განგსტერებმა, მხოლოდ 1981 წელს, სხვადასხვა არხებით იაპონიაში შემოიყვანეს 16 447 ქალი და გადააქციეს მეძავებად. მათგან 12 ათასი ფილიპინიდან, 2 300 — სამხრეთ კორეადან, 1700 ტაივანიდან. პოლიციამ დააპატიმრა და იაპონიიდან დააბრუნა მხოლოდ 319 მეძავი[43].

---

[42] იქვე, გვ. 30.

[43] ვ. ცვეტოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

ისეთ ქვეყნებში, როგორიც არის ჰოლანდია, გფრ და სხვ. გამოჩნდა „მოდა“, აიყვანონ ოჯახში ბავშვები, რომლებიც შემოჰყავთ აზიიდან და ლათინური ამერიკიდან. ბავშვების მომტაცებლები კოლუმბიიდან, პერუდან, ეკვადორიდან, ტაივანიდან ან შრი ლანკადან თავის „საქონელს“ ჰყიდიან დასავლეთ ევროპაში და თითოეულ ბავშვში იღებენ 10 ათას დოლარს. ბავშვებს ყიდულობენ აგრეთვე მათი ექსპლოატაციის მიზნით. მაგალითად, კანადის პროვინცია მანიტობაში შეიქმნა სპეციალური კერძო სააგენტო, რომელიც რეზერვაციებში ღარიბი ინდიელებისაგან „მათი დახმარების მიზნით“ იაფად ყიდულობს ბავშვებს და შემდეგ სამჯერ მეტ ფასად ყიდის მსურველებზე, რომლებსაც უნდათ შეიძინონ იაფი მუშახელი.

თუ ჩვენი ქვეყნის მცხოვრებისათვის მეტრო შედარებით მოხერხებული ტრანსპორტია, კაპიტალისტური ქვეყნების მოსახლეობა მეტროში ჩადის დიდი შიშის გრძნობით. პარიზის მეტროს 350 სადგური, კიბე, 80 კმ გზა — ნამდვილად მიწისქვეშა ჯუნგლებს წარმოადგენს[44].

მიუხედავად იმისა, რომ ნიუ-იორკის მეტროში 3 ათასი პოლიციელი ათასამდე ძაღლით სისტემატურად მორიგეობს, არ შეუძლიათ შეაჩერონ ან თუნდაც შეაფერხონ დანაშაულის ზრდა. მხოლოდ 1981 წელს ნიუ-იორკის მეტროში მოხდა 6629 ძარცვა, 36-ჯერ ძალადობა, 13 მკვლელობა[45].

აშშ სისტემატურად იზრდება გაძარცული ბანკების რიცხვი. ასეთი სახის დანაშაული იმდენად შეესისხლხორცა ამერი-

---

[44] Ю. М. Климов, Антивоенное движение под прицелом спецслужб, М., 1984, с. 184—185.

[45] П. В. Комиссаров, Эскалация насилия: Мафия, М., 1984, с. 12.

კული ცხოვრების ყოველდღიურ წესს, რომ არავის უკვირს წაიკითხოს ასეთი განცხადება, მაგალითად, ნიუ-იორკის ლათინურ ამერიკული ბანკის „ბანკო დე პონსეს“ შესასვლელთან: „ცნობა ჩვენთან მოსულ მძარცველებს: ბანკის პერსონალი ლაპარაკობს მხოლოდ ესპანურ ენაზე. თუ თქვენ გაქვთ ჩვენი გაძარცვის სურვილი, გთხოვთ გამოიჩინოთ მოთმინება და გამოიძახოთ თარჯიმანი. გმადლობთ, დირექცია“[46].

რამდენიმე წლის წინათ აშშ გამოვიდა პატარა ბროშურა სათაურით „თქვენი უშიშროება. ნიუ-იორკის პოლიციის კომისრის დარიგებანი“. დარიგება იწყება ასეთი სურვილით: „ვიდრე ლიფტში შეხვიდოდეთ, ჩაიხედეთ სარკეში—ის მდებარეობს ლიფტის კუთხეში ჰერის გასწვრივ, — რომ დარწმუნდეთ კაბინის სიცარიელეში შემდეგ გადაწყვიტეთ, იმგზავრებთ თუ არა“.

ამერიკელმა გადაწყვიტა გასეირნება. ინსტრუქცია აფრთხილებს: „არ ისეირნოთ სახლის ან სამუშაო ადგილის სიახლოვეს. თუ თქვენ წარმოადგენთ სამიზნეს დაქირავებული მკვლელისათვის, თქვენი თვისება გაუადვილებს მას ამოცანის გადაწყვეტას. ფეხით სიარულის დროს იყავით ფრთხილად და სისტემატურად თვალყური ადევნეთ ირგვლივ მიმდინარე მოვლენებს...“ „როდესაც მანქანაში არიან მგზავრები, ფანჯრები უნდა დაიკეტოს შიგნიდან. დამნაშავეები ჩვეულებრივ უახლოვდებიან მანქანას მძღოლის მხრიდან, ამიტომ ეცადეთ მანქანა ატაროთ გზის შუა ნაწილში...“.

კიდევ ერთი რეკომენდაცია: „ნუ გაჩერდებით ფეხით მოსი-

---

[46] Г. В. Рыжков, Г. С. Фёдоров, Общество, парализованное страхом, М., 1984, с. 6.

არულის ან მძღოლის დასახმარებლად რა მდგომარეობაშიც უნდა იყოს ისინი...".

პოლიციის კომისრის დარიგებებმა ზოგიერთ ჩვენს მკითხველს შეიძლება ღიმილი მოჰგვაროს. მაგრამ ამერიკელებს სასაცილოდ არა აქვთ საქმე.

აშშ ერთ-ერთი დიდი დამნაშავეთა კარტელის „კოზა-ნოსტრას" წლიური შემოსავალი 50 მილიარდი დოლარია, რაც აშშ სახელმწიფო შემოსავლის ერთ მეათედ ნაწილს შეადგენს. საინტერესოა, რომ უმსხვილესი კორპორაციის „ეკსონის" წლიური შემოსავალი 2,5 მილიარდი დოლარია. „კოზა-ნოსტრას" წლიური შემოსავალი აჭარბებს აშშ ყველა ავტოსამშენებლო მონოპოლიის შემოსავალს[47].

სისხლის სამართლის დამნაშავეთა მეთაურებს ნათლად ესმით, რომ ჭეშმარიტად დემოკრატიულ საზოგადოებაში, რომელიც კვეთავს დანაშაულის თვით საფუძველს, მათ არ დაედგომებათ. ამიტომაც მაფიის ერთ-ერთი ლიდერი ალ-კაპონე აცხადებს ჟურნალ „ლიბერტი"-ს ფურცლებზე: „ბოლშევიზმი ჩვენს კარებზე აკაკუნებს. მაგრამ ჩვენ არ შეგვიძლია ის შემოვუშვათ. ჩვენ ორგანიზებულად უნდა შევმჭიდროვდეთ და წინააღმდეგობა გავუწიოთ მას. განვამტკიცოთ ჩვენი რიგები და ვიყოთ მყარად. ჩვენ უნდა შევინარჩუნოთ ამერიკა მთლიანობაში. ჩვენ უნდა გამოვტაცოთ მუშა წითელ ლიტერატურას... ჩვენ უნდა ვეცადოთ, რომ მისი ტვინი დარჩეს ჯანმრთელი".

ეს განცხადება ეკუთვნის არა რომელიმე ბურჟუაზიულ იდეოლოგს, არა „ქორს" პენტაგონის ბუდიდან, არამედ სისხლიან განგსტერს, „კოზა-ნოსტრას" ერთ-ერთ დამაარსებელს.

---

[47] Обвиняется в бесчеловечности, М., 1984, с. 221.

მასში გადმოცემულია თუ გნებავთ ამერიკული განგსტერიზმის პლატფორმა და წინადადება იმპერიალისტებისადმი სამსახურისა[48].

დამნაშავეთა სამყაროსთან ფართო კონტაქტებს ამყარებს წესრიგის დამცველთა დიდი ნაწილი. მაგალითად, ასეულათასობით ფუნტი სტერლინგით შეფასდება ის ქრთამი, რომელიც მიიღო სკოტლანდიარდის ხუთმა უმაღლესმა მოხელემ დამნაშავეთა სინდიკატისაგან თანამშრომლობისათვის. თავისი აგენტურის საშუალებით სისხლის სამართლის დამნაშავენი ღებულობენ ინფორმაციას პოლიციის შესაძლო მზადებაზე მათზე თავდასასხმელად. ან კიდევ, როდესაც ბოროტმოქმედთა ბანდამ გაძარცვა ლონდონში „ლოიდს ბენკ ლიმიტედის“ ბანკის განყოფილება, გატაცებული 9 მლნ ფუნტი სტერლინგიდან 250 ათასი ფუნტი სტერლინგი პოლიციის ჯიბეში აღმოჩნდა.

აი რას ამბობდა ერთ დროს ნიუ-იორკის განგსტერთა კლანის ვარსკვლავი ლაკი ლუჩიანო: „მე ვიხდიდი რაიონის ყოველი პოლიციელისათვის 5 დოლარს და 10 დოლარს ყოველი სერჟანტისათვის. ყოველ კვირას ბიგ სემი კონვერტით 100 დოლარს მიუტანდა პოლიციის განყოფილების უფროსს, რათა მას დაეცვა ჩვენი მოღვაწეობა სხვა რაიონის პოლიციელებისაგან.

უკანასკნელი ნახევარი საუკუნის მანძილზე აშშ ყველა მთავრობა დაკავშირებული იყო ორგანიზებულ დამნაშავეთა სამყაროსთან. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა ტრუმენისა და ნიქსონის ადმინისტრაცია. წინამორბედებს არც ახლანდელი პრეზიდენტი ჩამორჩება. მისი ამალის წევრებიდან მაფიასთან დაკავშირებული იყვნენ უ. კეისი (ცენტრალური

---

[48] პ. ვ. კ ო მ ი ს ა რ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 42.

სადაზვერვო სამმართველოს დირექტორი), რ. დონოვანი (შრომის მინისტრი), ფ. სინატრა (მომღერალი და მსახიობი), პ. ლეკსოლტი (სენატორი), უ. მაკკენი (აშშ ყოფილი ელჩი ირლანდიაში), მ. რებბი (აშშ ელჩი იტალიაში) და სხვ.[49].

თავისთავად ადასტურებს განგსტერთა კავშირს სახელმწიფო მოღვაწეებთან ის ფაქტიც რომ განგსტერის — დ'ანდრეას კუბოს მიაცილებდა ჩიკაგოს მერი, 21 მოსამართლე და რამდენიმე პროფკავშირული მოღვაწე. მეორე მსხვილი მაფიოზის, კოლოსიმოს დაკრძალვაზე ცხედარს მიაცილებდა რამდენიმე კონგრესმენი, მსხვილი სახელმწიფო ჩინოვნიკები და მოსამართლეები.

1982 წელს აშშ კომპანია „იგლ"-მა თავის მომხმარებელს მოუმზადა ტიპური ამერიკული საჩუქარი — პერანგი და მოსასხამი დამზადებული ტყვიაგაუმტარი მასალისაგან. ფირმის დევიზია: „ჩვენი მოდით დიდხანს იცოცხლებთ". ასეთ საქონელზე დიდი მოთხოვნილებაა პოლიტიკური მოღვაწეების, მთავრობის მოხელეებისა და რიგითი ამერიკელების მხრიდან, რომლებიც შეშინებულნი არიან დანაშაულის ზრდის გამო.

განსხვავებით სოციალიზმის ქვეყნებისაგან, სადაც სპორტი ადამიანის ჯანმრთელობის გაკაჟებასა და ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებას ემსახურება, ბურჟუაზიულ ქვეყნებში სპორტი წარმოადგენს ახალგაზრდობის იდეოლოგიური დამუშავების, გამოყეყეჩების ერთ-ერთ მძლავრ იარაღს.

ოლიმპიური თამაშების მოახლოებისას ძველ საბერძნეთში მეომარ სახელმწიფოთა შორის იდებოდა „წმინდა ზავი", ჯერ კიდევ გუშინ დაუძინებელი მტრები იარაღს ყრიდნენ და ერთად მიემართებოდნენ ოლიმპისაკენ. დღეს ეს ყველაფერი თით-

---

[49] Обвиняется в бесчеловечности, М., 1984, с. 223.

ქმის დაუჯერებელია, მით უმეტეს, რომ ლაპარაკია განუწყვეტელი ომების ეპოქაზე. მაგრამ ფაქტია, რომ ანტიკურ ოლიმპიადათა არსებობის თორმეტი საუკუნის მანძილზე „წმინდა ზავი მხოლოდ ერთხელ დაირღვა: 103-ე თამაშების დროს, ჩვენს წელთაღრიცხვამდე 368 წელს არკადიელებმა იარაღი არ დაყარეს. უფრო მეტიც: მათ ოლიმპია დაიპყრეს. ბერძენთა რისხვას საზღვარი არ ჰქონდა: უკლებლივ ყველა ბერძნული სახელმწიფო განუდგა არკადიელებს და მათ სამუდამოდ აეკრძალათ ოლიმპიადაში მონაწილეობა.

დღეს კაპიტალისტურ ქვეყნებში სპორტი საქმოსნებისა და პოლიტიკოსების ხელთაა. აღნიშნულ ქვეყნებს შორის წინააღმდეგობის გამწვავებამ ფიზიკური აღზრდისა და სპორტის მილიტარიზაცია გამოიწვია. გამოიკვეთა ახალი სისტემა, საშუალება და მეთოდი, რომელიც მიმართულია ახალგაზრდობის სამხედრო-ფიზიკური მომზადებისაკენ. ასე იყო გერმანიაში ფაშიზმის ბატონობის პერიოდში. როგორც ცნობილია, ჰიტლერის მითითებით 1938 წელს შეიქმნა ფიზიკური სავარჯიშოების ნაციონალ-სოციალისტური იმპერიის კავშირი, რომელსაც სათავეში ჩაუდგა იმპერიის სპორტის ფიურერი გ. ფონ ჩამმერ-ი-ოსტენი. აღნიშნული ორგანიზაციის გარდა სპორტული მუშაობის საკითხებს წარმართავდნენ სს, სდ, „ჰიტლერიუგენდი“, გერმანელ გოგონათა კავშირი და სხვა ფაშისტური ორგანიზაციები. „ჰიტლერიუგენდში“ ახალგაზრდებს, რომლებმაც ის იყო დატოვეს ბავშვობის ასაკი, ასწავლიდნენ პატარების ხოცვას. აყალიბებდნენ ისეთ პიროვნებებად, როგორც ჰიტლერი ამბობდა: „ჩვენ გვინდა ახალგაზრდა მხეცები“[50].

---

[50] А. Н. Ефремов, Жертвы жестокости—дети, М., 1985, с. 13.

ასეთი ტიპის აღზრდის შედეგს წარმოადგენდა, რომ კამპუჩიაში პოლ პოტა-იენგ სარის ჯარისკაცები კლავდნენ და შემდეგ ჭამდნენ კიდეც ბავშვებს[51]. ამავე დროს ადამიანებს ხოცავდნენ იმისათვის, ვინც სათვალეს ატარებდა, რადგან პოლ-პოტელების აზრით სათვალე წიგნიერების ნიშანი იყო[52].

„ამერიკული სპორტის ჭეშმარიტი დანიშნულებაა — ომისათვის მომზადება". ეს სიტყვები ეკუთვნის პროფესიონალ სამხედრო პირს, აშშ ყოფილ პრეზიდენტს დ. ეიზენჰაუერს. საინტერესოა აგრეთვე აღინიშნოს რომ ახლანდელი პრეზიდენტის რონალდ რეიგანის ხასიათის ფორმირებაზე გარკვეული გავლენა მოახდინა სპორტმა. რ. რეიგანს და მის ბიოგრაფებს ხშირად უყვართ გახსენება იმ დროისა, როდესაც რონი იყო კოლეჯის ფეხბურთის კაპიტანი, ხოლო ამერიკული ფეხბურთი კი, როგორც ცნობილია, მოითხოვს ულმობლობას, „ბრჭყალების გამოჩენას", დამარცხებულისადმი ტკივილის მიყენებას[53].

იმპერიალიზმთან ურთიერთობის გაფართოება-განვითარებასთან ერთად ახლებურად განეწყო სპორტისადმი კათოლიკური ეკლესია. ვატიკანში წმინდანების ფიგურათა გალერეაში დაუმატეს ფეხბურთელის, მოკრივის და სხვათა ფიგურებიც, ხოლო მაღალავტორიტეტულმა აბატებმა დაიწყეს რომის, ლონდონის, მადრიდის სტადიონების სათამაშო მოედნებზე გამოსვლა ფეხბურთის მატჩის დაწყების წინ ბურთის კურთხევისათვის[54]. ამავე დროს სპორტული შეჯიბრებები

---

51 იქვე, გვ. 38.

52 А. Лауринчюкас, Ковбои истерии и торжество разума, М., 1984, с. 127.

53 Н. Долгополов, По ту сторону спорта, М., 1984, с. 8.

54 История физической культуры и спорта, М., 1983, с. 83.

ტარდება სასულიერო აკადემიებსა და დაწესებულებებს შორის. იტალიაში მსოფლიო რანგის პირველობაზე გასაგზავნ გუნდებს თვით პაპი აკურთხებს ხოლმე[55].

ცნობილია, რომ კარატე, ჭიდაობის გარდა, მოიცავს ეთიკური, ფსიქოლოგიური და სოციალური ერთობლიობის კომპლექსს, რასაც კარგად იყენებენ იაპონიის მემარჯვენე იდეოლოგები. უკვე 1940 წლისათვის იაპონიაში არ იყო არც ერთი დიდი უნივერსიტეტი, რომ იქ კარატეს კლუბი არ ყოფილიყო. რამდენიმე წლის წინათ იაპონიის უნივერსიტეტის ტაკოსიოკუს სავარჯიშო კლუბში მოკლეს პირველკურსელი ანდზე. ანდზე უნივერსიტეტში ჩარიცხვისთანავე შევიდა კარატეს სავარჯიშო კლუბში. ახალგაზრდამ მოგვიანებით გაიგო, რომ სპორტული გაერთიანება, როგორც სხვა ბევრი კარატეს კლუბი იაპონიაში, მჭიდროდ იყო დაკავშირებული ულტრამემარჯვენეებთან, ნახევრადფაშისტურ ორგანიზაციებთან. ანდზემ გადაწყვიტა ვარჯიშისათვის თავი დაენებებინა და ყოველგვარი ეჭვის გარეშე მივიდა ბოლო მეცადინეობაზე. „გამყიდველო! შენ შეარცხვინე ჩვენი კლუბი!“ ამ სიტყვებით შემოეხვივნენ კარატისტები ანდზეს და დაიწყეს საშინელი რიტუალის შესრულება. ისინი რიგრიგობით აყენებდნენ ყველაზე მტკივნეულ დარტყმებს ანდზეს, რის შედეგადაც ეს უკანასკნელი რამდენიმე წუთში გარდაიცვალა... „სამწუხაროდ ტაკოსიოკუს უნივერსიტეტში ასეთი შემთხვევა ერთეული არ არის, — განაცხადა ცნობილმა იაპონელმა სპორტულმა მიმომხილველმა ნობუმასა კაკამოტომ, — როგორც სხვა ზოგიერთი სპორტის სახეობა, კარატე ფართოდ გამოიყენება იაპონი-

---

55 დ. თაქთაქიშვილი, მოდერნიზმი ქართულ მართლმადიდებლობაში, თბ., 1985, გვ. 16.

ის რეაქციული ძალების მიერ ახალგაზრდობაზე ზემოქმედებისათვის"[56].

და, მართლაც, შემთხვევითი არ არის, რომ ტერორისტული დრამის მოქმედი პირები ყველა ახალგაზრდაა, ასაკი 20—25 წელი. მართალია, მათთან ერთად არიან უფროსებიც, მაგრამ ისინი ერთეულები არიან. ამავე დროს ისინი მოქმედებენ კულისებს მიღმა და მხოლოდ ხელმძღვანელობენ ტერორისტებს. ტერორისტული იატაკქვეშეთის ლიდერი შეიძლება იყოს პოპულარული პროფესორი ან ექიმი, კრიმინალისტი ან ადვოკატი. ტერორისტულ ჯგუფში შეიძლება შეხვიდე, მაგრამ იქიდან გამოსვლა არ შეიძლება: ასეთი სურვილის გზა მიდის მხოლოდ სასაფლაოზე[57].

რათა ჩრდილი მიეყენებინათ 1980 წლის მოსკოვის ოლიმპიური თამაშებისათვის, კაპიტალისტურ ქვეყნებში შეიქმნა 300-ზე მეტი ექსტრემისტული და ტერორისტული ჯგუფი. მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს ჩანაფიქრი ვერ განხორციელდა სათანადო ზომების მიღების გამო[58].

ამშ იდეოლოგიური აპარატის მუშაობის ნაყოფი იყო ის ანტისაბჭოური განწყობილება, რაც ამერიკელი ახალგაზრდების ნაწილმა გამოამჟღავნა ლოს-ანჟელესის XXIII ოლიმპიური თამაშების დროს. ოლიმპიური თამაშების დაწყებამდე, თითქმის სამი თვით ადრე, გახდა ცნობილი, რომ საბჭოთა სპორტსმენები მონაწილეობას არ მიიღებდნენ აღნიშნულ თამაშებში. 1984 წლის 8 მაისს სსრკ ეროვნულმა ოლიმპიურმა

---

[56] Новое время, 1983, № 16, с. 29.

[57] С. А. Эфиров, Покушение на будущее, 1984, с. 65.

[58] С. Цвигун, О происках империалистических разведок, Коммунист, 1981, № 14, с. 96.

კომიტეტმა სპორტის ოლიმპიური სახეების ყველა 29 საკავშირო ფედერაციასთან ერთად მიიღო გადაწყვეტილება ჩვენი ათლეტების XXIII ოლიმპიურ თამაშებზე მონაწილეობის შეუძლებლობის შესახებ. ამის საკმაო საფუძველი ჰქონდათ საბჭოთა სპორტულ ორგანოებს. მათთვის ცნობილი იყო რომ ოლიმპიური თამაშების მოახლოებასთან ერთად ლოს-ანჟელესში და მთლიანად აშშ ყოველდღიურად იზრდებოდა ანტისაბჭოური კამპანია. ხელისუფლების აშკარა წაყრუებით რეაქციულმა ძალებმა ნამდვილი „ჯვაროსნული ლაშქრობა" გააჩაღეს საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ. თვითმხილველები აღნიშნავდნენ, რომ ანტისაბჭოურ კამპანიას არასდროს არ მიუღია ასეთი მასშტაბები, იგი საშიშროებას უქმნიდა სპორტსმენთა სიცოცხლესაც კი.

ოლიმპიადის პერიოდისათვის ამერიკის პოლიციის მონაცემებით ლოს-ანჟელესში მოქმედებდა 400-მდე ბანდა, რომელიც აერთიანებდა 40 ათას მომზადებულ მკვლელს. ოლიმპიადის დროს ფართოდ გავრცელდა სამკერდე ნიშნები წარწერით: „მოჰკალი რუსი", აგრეთვე პერანგები ასეთივე წარწერით[59]. აქ მანიაკები ესროდნენ ბავშვებს სკოლის ეზოში, ხოლო ორგანიზებული მაფიოზები რესტორნებში სისხლისღვრას აწყობდნენ. შემთხვევითი არ არის, რომ მკვლელობის რიცხვით ამ ქალაქმა შორს ჩამოიტოვა ნიუ-იორკი — დამნაშავეობის ეს კლასიკური ცენტრი.

ბურჟუაზიის იდეოლოგები ყველა საშუალებით ცდილობენ თავიანთი შხამიანი პროპაგანდისტული ილეთები საბჭოთა

---

[59] Новое время, 1984, № 21, с. 14; И. Безруканников, В. Кукушкин, Игры на продажу, М., 1984, с. 74.

ახალგაზრდობის მიმართ გამოიყენონ. თუ კაპიტალისტური საზოგადოების შიგნით ბურჟუაზია ცდილობს ახალგაზრდობა ჩამოაშოროს არსებული წყობილების წინააღმდეგ ბრძოლას, სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდობისადმი იმპერიალიზმის „ფსიქოლოგიური ომის“ ამოცანა დიამეტრალურად საწინააღმდეგოა.

ნატოს საბჭოს მიერ გამოცემულ დოკუმენტში, რომელიც ახალგაზრდობის საკითხებს შეეხება, ნათქვამია: „თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ახალგაზრდა თაობას, რომელსაც არ გააჩნია ცხოვრებისეული გამოცდილება, ადვილად იზიარებს ყოველივე ახალს, არაჩვეულებრივს, ლამაზს, მატერიალურ თუ ტექნიკურ ურთიერთობაში. საბჭოთა კავშირის ახალგაზრდობის ზიარება დასავლეთის იდეალებზე — ჩვენი ამოცანაა“[60]. ამ „აღმზრდელობით“ საქმიანობაში ყველაზე შეტად აქტიურობს ამერიკის შეერთებული შტატები. თეთრ სახლში რეიგანის ადმინისტრაციის მოსვლის შემდეგ აღნიშნული კურსი დაუფარავად აიყვანეს სახელმწიფო დოქტრინის რანგში.

ახალგაზრდობაში ბურჟუაზიული ცხოვრების წესის გავრცელებას ხელს უწყობს „ისეთი სახიფათო გამოვლინებები,— აღნიშნა საქართველოს კპ ცკ პირველმა მდივანმა ამხ. ჯ. პატიაშვილმა — როგორიც არის ყოველივე უცხოურის მონური თაყვანისცემა, უკანონო ჩვენება მალულად შემოტანილი ვიდეოფილმებისა, რომლებიც ხოტბას ასხამენ ძალადობას და სექსს, უცხოური მარკის ავტომობილებით გატაცება“[61].

---

[60] В. Т. Лисовский, Что значит быть современным? М., 1983, с. 184.

[61] კომუნისტი, 1985, 6 აგვისტო.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები დიდ მნიშვნელობას ანიჭებდნენ ახალგაზრდობის რევოლუციურ ტრადიციებზე აღზრდას. ისინი პროლეტარულ ახალგაზრდობას თვლიდნენ იმ ძალად, რომელსაც გარკვეული როლი უნდა შეესრულებინა მარქსისტული პარტიის საპროგრამო დებულებათა გადაწყვეტაში. ჯერ კიდევ 1905 წლის ქარიშხლიან დღეებში ვ. ი. ლენინი შვეიცარიიდან რუს ბოლშევიკებს სწერდა, რომ „ახალგაზრდობა გადაწყვეტს მთელი ბრძოლის ბედს, სტუდენტი ახალგაზრდობაც და კიდევ უფრო მეტად მუშა ახალგაზრდობაც“[62]. და მართლაც ეს მაღალი ნდობა მუშა ახალგაზრდობამ მთლიანად გაამართლა რევოლუციის საქმისადმი თავისი თავდადებითა და ერთგულებით, ხოლო საბჭოთა ხელისუფლების წლებში იგი გახდა კომუნისტური პარტიის საიმედო დასაყრდენი სოციალისტურ მშენებლობაში, რევოლუციის მონაპოვართა დაცვაში. პროგრესული ახალგაზრდობის ძალა მოქმედების ერთობაშია. ეს დაადასტურა ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მოსკოვის XII მსოფლიო ფესტივალმა.

ახალგაზრდობა იბრძვის მშვიდობისათვის, იმიტომ, რომ იბრძვის სიცოცხლისათვის, იმიტომ, რომ ომის წინააღმდეგ ბრძოლა მუდამ სიცოცხლისათვის ბრძოლაა. სამართლიანად შენიშნა სკკპ ცკ გენერალურმა მდივანმა ამხანაგმა მიხეილ გორბაჩოვმა, რომ ხვალის სამყარო, მომავლის სამყარო ახალგაზრდების სამყაროა. ამ სამყაროში უნდა იცხოვრონ მათ და ეს სამყარო თავად უნდა ააშენონ.

---

[62] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 8, გვ. 160.

*
* *

ნებისმიერი ექსპლოატატორული სახელმწიფო ყოველთვის დაკავშირებულია ეკლესიასთან, რომელიც აკურთხებს ექსპლოატატორული წყობილების „სიწმინდეს“, ცდილობს მოადუნოს მშრომელი მასების რევოლუციური აქტივობა. რეაქციული ბურჟუაზიის იდეოლოგებისა და პოლიტიკოსების მიერ შემუშავებული გეგმები ითვალისწინებს რელიგიის ფართოდ გამოყენებას პოლიტიკური მიზნებისათვის. თავის დროზე ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირის ლიდერი, გფრ პირველი კანცლერი კონრად ადენაუერი გულახდილად აცხადებდა რომ „პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ რელიგიის დახმარებითო“. დასავლეთ გერმანიის კლერიკალური ბურჟუაზიის პარტიებმა თავისი არსებობის პირველ წლებშივე წამოაყენეს ლოზუნგი „ქრისტე მარქსის წინააღმდეგ!“[63].

აშშ ყოფილი პრეზიდენტი დუაიტ ეიზენჰაუერი თანამედროვეობის მნიშვნელოვან ფაქტორად აცხადებდა „რელიგიის ბრძოლას ათეიზმის წინააღმდეგ“. ამავე დროს მიუთითებდა, რომ „ღმერთის რწმენის გარეშე არსებობას ვერ შეძლებს ამერიკული მმართველობის ფორმა, ამერიკული ცხოვრების წესი“. ჯონ კენედს მიაჩნდა, რომ ძირითად აზრთა სხვაობას აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის წარმოადგენს რელიგია. ამ თეზისს მხარს უჭერდნენ დასავლეთელი პოლიტიკოსები[64].

---

[63] Л. Н. Великович, Современный капитализм и религия, М., 1984, с. 15.

[64] В. А. Куроедов, Религия и церковь в советском обществе, М., 1984, с. 17, 21.

კლერიკალური ანტიკომუნიზმის იდეოლოგებს მსოფლიოში ყველა ბოროტების, ომის, ეკონომიკური გაჭირვების მიზეზად, რომელსაც განიცდის კაპიტალისტური სამყარო, მიაჩნიათ კომუნიზმის იდეების გავრცელება. აქედან გამოაქვთ დასკვნები კომუნისტების ფიზიკური განადგურებისა და კომუნიზმთან ბრძოლის აუცილებლობის შესახებ. მექას ერთ-ერთი გაზეთის ინტერვიუში შეიხმა ახმად სალახმა განაცხადა: „თუ მსოფლიოს ყველა ქვეყანა ისე იბრძოლებს კომუნიზმის წინააღმდეგ, როგორც ჩვენ ჩვენს ქვეყანაში (საუდის არაბეთში — ა. ს.), მაშინ დედამიწაზე აყვავდება მშვიდობა და მთელი კაცობრიობა იცხოვრებს კარგად"[65].

ამჟამად აშშ პრეზიდენტი რ. რეიგანი მეუღლესთან ერთად ყოველ კვირას დადის სამლოცველო სახლში. ამ მხრივ კიდევ უფრო გამოირჩეოდა რ. ნიქსონი. თეთრ სახლში მისი ყოფნის დროს ყოველ კვირას იმართებოდა ღვთისმსახურება, რომელსაც ატარებდნენ პროტესტანტი პასტორები, კათოლიკე ღვთისმსახურები, რაბინები[66]. აშშ რელიგიურ ორგანიზაციებს ეკუთვნის კერძო სკოლების 80%. მხოლოდ კათოლიკური ეკლესია ფლობს 8149 დაწყებით, 1592 საშუალო სკოლას, 236 კოლეჯსა და უნივერსიტეტს[67].

„ამ ომში ჩვენი სამხედრო მოსამსახურეების მიერ ყველა ბრძანების შესრულება იმის უმაღლესი გამოვლინებაა, რომ მათ ღმერთი სწამთ", — წერდა ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების მთავარი კაპელანი გენერალ-

---

65 А. Ахмедов, Под флагом ислама—Аргументы, М., 1981, с. 33.

66 ლ. ნ. ველიკოვიჩი, დასახ. ნაშრომი, გვ. 17.

67 იქვე, გვ. 135.

მაიორი სემპსონი ინდოჩინეთში ამერიკის იმპერიალიზმის სამარცხვინო აგრესიის პერიოდში. არცთუ შორეული წარსულის ეს მაგალითი მოწმობს, რომ პენტაგონელი ფარისევლები ღვთის სახელით გზას ულოცავენ ამერიკის მხედრიონის დანაშაულობებს, გულუხვად კაზმავენ ბიბლიურ-ევანგელიკური ფრაზეოლოგიის ამერიკის მმართველი წრეების პრეტენზიებს მსოფლიო ბატონობაზე.

იმპერიალისტური სახელმწიფოების, მათ შორის აშშ შეიარაღებულ ძალებში რელიგიას ყოველთვის იყენებდნენ ომის, მილიტარიზმის, პროგრესული იდეებისადმი პათოლოგიური სიძულვილის სულისკვეთებით პირადი შემადგენლობის გასაბრუებლად.

ამჟამად ამერიკის ქვეით ჯარებში, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ძალებში 4 ათასზე მეტი კულტის მსახური — კაპელანია. ისინი არიან ყველა შენაერთსა და ნაწილში, ცალკეულ ბატალიონებსა და საბრძოლო ხომალდებზე. გარდა ამისა, ჯარისკაცებისა და მეზღვაურთა რელიგიურ დამუშავებას ეწევიან ამისათვის სპეციალურად გამოყოფილი ოფიცრები და შტატგარეშე მღვდლები. ისინი ამზადებენ სამხედრო მუნდირიან თანამედროვე „ჯვაროსნებს“, რომლებსაც შთააგონებენ მშვიდობისა და პროგრესისადმი სიძულვილს, ექსპლოატატორული წყობილებისადმი ერთგულებას. სამხედრო მღვდლები არწმუნებენ სამხედრო მოსამსახურეებს, რომ ამერიკის არმიაში ყოფნა, იმპერიალისტურ თარეშსა და ძალმომრეობაში მონაწილეობა ღვთის ნებაა, რომ ომები მუდამ იქნება, რამეთუ მტრობა და აგრესიულობა ადამიანის თვისებაა...

სამხედრო მღვდლები თვალყურს ადევნებენ ეგრეთ წოდებულ „ძირგამომთხრელ ელემენტებს“ არმიაში და მათთვის შემოღებული აქვთ სპეციალური კართოტეკები.

ყოველი სამხედრო მღვდელი, ამერიკელ სპეციალისტთა გამოანგარიშებით, წელიწადში საშუალოდ სამი ათასამდე რელიგიურ ღონისძიებას აწყობს. ეს არის ყოველდღიური ლოცვა, აღსარება, ქადაგება, დამოძღვრა, ნათლობა, დაკრძალვა, შელოცვა, დისპუტი, გალობა, რელიგიური შინაარსის რადიო და ტელეგადაცემები, დაჭრილთა და ავადმყოფთა მონახულება, სალოცავად სიარული „წმინდა ადგილებში“, საკულტო წეს-ჩვეულებების მოწყობისას ისინი ფართოდ იყენებენ ე. წ. ესთეტიკურ ფონს: სამხედრო ეკლესიებში სავალდებულოდ ითვლება ეროვნული დროშის გამოფენა. ნაწილებისა და შენაერთების რელიკვიების, მათი ემბლემების, სხვადასხვა საეკლესიო ზიზილ-პიპილოების გამოტანა, რომლებიც ზეიმურობისა და იდუმალების ვითარებას ქმნიან.

კაპელანების დასახმარებლად გამოდის სპეციალური გაზეთები, ჟურნალები, მეთოდური ბუკლეტები, ინსტრუქციები. ასე მაგალითად, ჟურნალ „მილიტერი ჩეპლეინზ რევიუს“ ფურცლებზე გამოაქვთ სამხედრო მოსამსახურეთა რელიგიური დამუშავების გამოცდილება, მსჯელობენ თეოლოგიის საკითხებზე, თანამედროვე პირობებში კაპელანთა მუშაობის მეთოდებზე. შეიარაღებული ძალებისათვის რადიო და სატელევიზიო ქსელით რეგულარულად გადასცემენ რელიგიურ პროგრამებს: „კაპელანის საათი“, „მორალური სახელმძღვანელო“, „ადამიანის თვითსრულყოფა და სხვ.

სამხედრო მღვდლებს, მათს მომზადებას, კვალიფიკაციას მკაცრ მოთხოვნებს უყენებენ. კაპელანს უნდა ჰქონდეს სამწლიანი სპეციალური განათლება, ღვთისმეტყველების მეცნიე-

რებათა ბაკალავრის წოდება, ეკლესიის სათანადო რეკომენდაცია, იყოს პოლიტიკურად საიმედო, ჰქონდეს ადამიანებზე ზემოქმედების უნარი.

აშშ სამხედრო-რელიგიური სამსახური მნიშვნელოვან გავლენას ახდენს აგრეთვე ნატოს სხვა ქვეყნების შეიარაღებულ ძალთა რელიგიურ სამსახურზე. 80-იანი წლების დამდეგიდან ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში მიღებულია ერთიანი რელიგიური პროგრამა. მისი მიზანია პირად შემადგენლობას გამოუმუშაოს „ატლანტიკური სოლიდარობის", „კომუნისტური მტრის" წინააღმდეგ ბრძოლისათვის მზადყოფნის გრძნობა[68].

ბურჟუაზიული საზოგადოება ამავე დროს ყოველნაირად ცდილობს ახალგაზრდობას რელიგიური მსოფლმხედველობა ჩამოუყალიბოს, ილუზორულ სამყაროში ამყოფოს და ამით შეცვალოს მათი სოციალური ორიენტაცია. მართლაც, ბურჟუაზიული საზოგადოებისაგან იმედგაცრუებულმა ახალგაზრდობამ, რომლებიც პირველ ხანებში პასიურ პროტესტს უცხადებდნენ არსებულ საზოგადოებას, ვერ ნახა საზოგადოების გარდაქმნის რეალური გზა და რელიგიისაკენ იბრუნა პირი. ქრისტესკენ შემობრუნდნენ ჰიპებიც და იესო ქრისტე პირველ ჰიპად გამოაცხადეს[69].

ახალგაზრდობის პროტესტმა ოფიციალური რელიგიის წინააღმდეგ დაბადა რელიგიურობის ახალი ფორმები, სექტები, რომლებიც დიდ როლს თამაშობენ იდეოლოგიურ ბრძოლაში. მხოლოდ აშშ ითვლება 2 ათასამდე სხვადასხვა სექტა, 200-მდე ჰოლანდიაში, ხოლო 100-ზე მეტი ინგლისში[70].

---

68 კომუნისტი, 1985, 22 ოქტომბერი.

69 დ. თაქთაქიშვილი, მოდერნიზმი ქართულ მართლმადიდებლობაში, თბ., 1985, გვ. 13, 14.

70 А. Белов, Не делай себе кумира, М., 1984, с. 141.

აშშ ერთ-ერთ მათგანს სათავეში უდგას მუნ სონ მენი, შემოკლებით მუნი. კორეაში ომის დამთავრების შემდეგ, სადაც მუნმა აქტიური მონაწილეობა მიიღო ამერიკელების მხარეზე, სეულში დააარსა „ეკლესიათა გაერთიანება". თავის მთავარ თანაშემწედ მუნ სონ მენმა დანიშნა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს ერთ-ერთი აგენტი სამხრეთ კორეაში პაკ ბო ი, რომელთან ერთად მან მოაწყო ეკლესიასთან სემინარი „ფსიქოლოგიური ომის" წარმოებისათვის სოციალიზმის ქვეყნების წინააღმდეგ. ამის შემდეგ მუნმა თავისი მოღვაწეობა გადაიტანა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც.

მუნმა საზეიმოდ წარმოადგინა თავის ევანგელიეში „საღმრთო პრინციპები", რომ ის მეთაურობს „აბელის შვილებს" (სიკეთის მომხრეებს) „კაენის შვილების" (ბოროტების მატარებელთა) წინააღმდეგ. მის „პრინციპებს" თუ ჩამოვაცილებთ ალეგორიებს მუნი აბელის შვილებში გულისხმობს ანტიკომუნისტებს, ხოლო კაენის შვილებში კომუნისტებს. მუნისტების ერთადერთი და უმაღლესი მიზანია კომუნიზმთან ბრძოლა. ეს პროგრამა მუნ სონ მენმა კიდევ ერთხელ დაადასტურა 1976 წელს სეულის მოედანზე, სადაც შეიკრიბა მილიონზე მეტი მისი თაყვანისმცემელი. მუნმა განაცხადა რომ „ყველა რელიგია აუცილებლად უნდა გაერთიანდეს ღმერთისა და მთელი კაცობრიობის უბოროტესი მტრის — კომუნიზმის წინააღმდეგ".

მუნისტები მხოლოდ ერთმანეთთან ქორწინდებიან. ქორწინების თანხმობისათვის აუცილებელია გადაიხადონ 400 დოლარი მუნის სასარგებლოდ. შემთხვევითი არ არის, რომ მუნი გახდა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ადამიანი, ის ფლობს სამხედრო ქარხნებს, უმსხვილეს მაღაზიებს, ატელიებს და სხვ. თავად ცხოვრობს მდიდრულ სასახლეში ნიუ-

იორკთან ახლოს ბარიტაუნში მრავალრიცხოვანი მცველებით. მუნის წლიური შემოსავალი სხვადასხვა არხებით შეადგენს 200 მილიონ დოლარს.

მუნ სონ მენმა 1980 წელს აშშ დააფუძნა „ანტიკომუნისტური ინტერნაციონალი", რომლის პირველი მსოფლიო კონგრესი ჩატარდა მონტევიდეოში 1984 წლის თებერვალში[71]. მუნს ყურადღებით ეპყრობიან ბურჟუაზიული ქვეყნების პოლიტიკური მოღვაწეები. აუდენციას უმართავს აშშ თვით პრეზიდენტი და მასთან ერთად პოზიორობს კინოკამერების წინ[72].

ბოლო დროს კაპიტალისტურ ქვეყნებში გამოჩნდნენ ახალგაზრდა „წინასწარმეტყველები", ზებუნებრივ ძალებთან „დამაკავშირებელი" ორგანიზაციები. საინტერესოა, რომ 1981 წელს ლოს-ანჟელესში ფუნქციონირება დაიწყო „ზეციური თანამეგობრობის" ფირმამ, რომელსაც თავი მოაქვს მიცვალებულთა სამყაროსთან „კავშირის დამყარებით". ფირმის კლიენტურა სისტემატურად იზრდება. ფირმა პირდება ყველა მსურველს კავშირი დაამყარებინოს გარდაცვლილ ნათესავებთან. 45-დან 125 დოლარამდე გადახდის შემდეგ კლიენტს შეუძლია ფირმის მეშვეობით „გაუგზავნოს" წერილი საიქიოში თავის ნათესავს. ფირმის დამფუძნებელი ვინმე გაბე გაბორი კლიენტებს თხოვს, რომ მოკლე წერილები შეადგინონ. ტექსტის მიღების შემდეგ ფირმის თანამშრომლები კალიფორნიის შტატის საავადმყოფოებში ეძებენ უკანასკნელ წუთებში მყოფ ავადმყოფებს, რომელთაც ატანენ წერილს 10 დოლარად[73].

---

71 Э. Розентал, Парадоксы протеста. М., 1985, с. 112, 117, 121.

72 ა. ბელოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 144.

73 ლ. ველიკოვიჩი, დასახ. ნაშრომი, გვ. 58—59.

სამართლიანად ამბობენ, რომ რელიგია — სუსტების ხვედრია, ძლიერ ადამიანს ღმერთის რწმენა არ სჭირდება. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ „რელიგია ადამიანს აძლევს იდეალს. ადამიანისათვის საჭიროა იდეალი, მაგრამ ადამიანური, ბუნების შესაბამისი და არა ზებუნებრივი“[74].

ორ სოციალურ სისტემას შორის მწვავე იდეოლოგიური ბრძოლის თანამედროვე პირობებში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მხილება რეაქციული კლერიკალიზმისა, რომელსაც ფართოდ იყენებს იმპერიალისტური ბურჟუაზია ანტიკომუნიზმისა და ანტისოვეტიზმის საქადაგებლად, ასევე მხილება უკანასკნელ წლებში სხვადასხვა ჯურის ბურჟუაზიულ-კლერიკალური „სოვეტოლოგიის“ მოძალებული ცდებისა — დაამახინჯონ სკკპ პოლიტიკა რელიგიურ საკითხში, რათა ცილისწამებითა და ფალსიფიცირებით დაამცირონ და სახელი გაუტეხონ კაპიტალისტური ქვეყნების მშრომელთა თვალში.

მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიას გააჩნია საკმაო შესაძლებლობები მიესადაგოს ცვალებად სოციალურ-ეკონომიკურ პირობებს და ამით გავლენა იქონიოს მოსახლეობის ჩამორჩენილ ფენებზე, იგი მაინც შეუთავსებელია სოციალისტურ იდეოლოგიასთან. ისტორიის გამოცდილება გვასწავლის, რომ მხოლოდ სოციალიზმს, მხოლოდ ხალხის მასების ბრძოლას საკუთარი უფლებებისათვის, შეუძლია მოუტანოს ადამიანებს ნამდვილი, ჭეშმარიტი თავისუფლება. ხოლო რელიგიურ-ილუზორული იდეალები, აბსტრაქტული, განუხორციელებელი ქადაგებებით მხოლოდ ხელს უშლიან ადამიანებს მოიპოვონ რეალური, ჭეშმარიტი თავისუფლება[75].

---

74 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 38, გვ. 67.

75 თ. ფ ა ნ ჯ ი კ ი ძ ე, რელიგიის არსი და ათეიზმი, თბ., 1983, გვ. 151.

*
* *

ჯერ კიდევ XVIII საუკუნის ამერიკელი მოაზროვნე ჯონ ადამსი აღნიშნავდა: „ნებისმიერ საზოგადოებაში, სადაც არსებობს საკუთრება, გარდუვალია ბრძოლა მდიდრებსა და ღარიბებს შორის... ასეთ საზოგადოებაში შეუძლებელია ელოდო ყველასათვის სამართლიანი კანონის არსებობას"[76].

კაპიტალისტური ქვეყნების ყველაზე დიდ სოციალურ უბედურებას წარმოადგენს უმუშევრობა. ის შეიძლება იყოს ხანგრძლივი — ეკონომიკური კრიზისის წლებში, ან ხანმოკლე — ბუმის პერიოდში. მაგრამ ის არასდროს არ ქრება. მისი მსხვერპლი მილიონობით ადამიანია.

თანამედროვე ეტაპზე სრულიად უმუშევართა რიცხვი შეადგენს: განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში 30 მილიონ კაცს, განვითარებად ქვეყნებში 45 მილიონს. ნაწილობრივ უმუშევართა რიცხვი: განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში 16 მილიონ კაცს, განვითარებად ქვეყნებში 410 მილიონს. ამრიგად, კაპიტალისტურ სამყაროში ამჟამად სამუშაოს მთლიანად მოკლებულია 75 მილიონი კაცი; ნაწილობრივ 426 მილიონი. ეს მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 1/3-ია. ყოველი მესამე, ვისაც შრომის უნარი და მუშაობის სურვილი აქვს, კაპიტალის სამყაროში მოკლებულია სამუშაოს[77]. ბურჟუაზიული ეკონომისტები და პოლიტიკური მოღვაწენიც იძულებული არიან აღიარონ უმუშევართა არმიის მნიშვნელო-

---

[76] К. Лайтфут, Права челоьека по-Американски, М., 1983, с. 37.

[77] ნ. თ. რიდვანოვი, მილიონთა მწარე ხვედრი, თბ., 1985, გვ. 12.

ვანი ზრდა. ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით 24 მაღალგანვითარებულ ინდუსტრიულ ქვეყანაში, რომელთაც ის აერთიანებს, უმუშევართა რიცხვი 1990 წლისათვის მიაღწევს 48 -მილიონ ადამიანს. ამ ქვეყნების მოსახლეობას მოუწევს დიდხანს იცხოვროს უმუშევრობის პირობებში[78]. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ოფიციალური სტატისტიკა არ აღრიცხავს უმუშევართა ფარულ რეზერვებს, რომლებიც ცალკეულ ქვეყნებში შეადგენენ „ზედმეტი" ადამიანების 50—75 პროცენტს[79].

1981 წელს — რ. რეიგანის პრეზიდენტობის პირველ წელს აშშ შავკანიანი მოსახლეობის 14,7 პროცენტი უმუშევარი იყო. ერთი წლის შემდეგ მათი რიცხვი გაიზარდა 18,5 პროცენტამდე, ხოლო 1983 წელს 20 პროცენტი შეადგინა[80]. 1981 წელს ქვეყანაში უმუშევრობის საერთო დონე უდრიდა 7,4 პროცენტს. მხოლოდ 17 თვის შემდეგ ამ რიცხვს დაემატა 4,1 მილიონი ადამიანი. 4,1 მილიონი კი ეს არის სან-ფრანცისკოს, ჩიკაგოსა და პიტსბურგის მოსახლეობა ერთად აღებული[81].

გფრ-ში უმუშევართა ნახევარზე მეტს ქალები შეადგენენ, თუმცა წარმოებაში დასაქმებულია მხოლოდ ქალების 38 პროცენტი. მათ ნაკლებს უხდიან და საჭიროების შემთხვევაში პირველებს ათავისუფლებენ[82].

ქალთა, განსაკუთრებით ქალიშვილთა, უმუშევრობას სე-

---

[78] Отверженные, М., 1983, с. 4.

[79] Ю. Краснов, Откуда исходит угроза миру, М., 1984, с. 5.

[80] Р. Цивилев, Право на социальную необеспеченность, М., 1984, с. 22.

[81] Г. В. Рыжков, Г. С. Фёдоров, Общество, парализованное страхом, М., 1984, с. 8—9.

[82] რ. ცივილევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 25.

რიოზული საზოგადოებრივი, პოლიტიკური და მორალური შედეგები მოსდევს. უმუშევრობა აძლიერებს ალკოჰოლის, ნარკოტიკების ხმარებას, ზრდის პროსტიტუციას.

ბელგიის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მიერ ჩატარებული გამოკვლევის შედეგად გამოირკვა, რომ საძილე საშუალებების მასობრივი გამოყენების 79,5 პროცენტი უმუშევარი ქალების წილად მოდის.

გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქალაქ ბრემენში, 27 წლის ქალი, რომელსაც ქმარი წარმოებაში უბედური შემთხვევით დაეღუპა, საარსებო სახსრებს მოკლებული აღმოჩნდა, მას ხელზე ჰყავდა ოთხი მცირეწლოვანი ბავშვი. იგი გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდა და სასოწარკვეთილმა ჯერ ბავშვები დახოცა, შემდეგ კი თავი მოიკლა[83].

უმუშევრობით ყველაზე მეტად გატანჯული არიან ახალგაზრდები. შრომისუნარიანი ამერიკელი ახალგაზრდობის დაახლოებით 17 პროცენტი უმუშევარია. იტალიაში 1,5 მილიონი ახალგაზრდა საშუშაოს ძებნაში ატარებს დროს. ინგლისში უმუშევართა თითქმის ნახევარს ქალიშვილები და ჭაბუკები შეადგენენ. „საერთო ბაზრის“ ქვეყნების ახალგაზრდების რიცხვი, რომლებიც სამუშაოს ეძებენ, ბოლო წლებში ერთიორად გაიზარდა[84].

კაპიტალისტური ქვეყნების მთელ რიგ ლიცეუმებსა და კოლეჯებში შემოღებულ იქნა სპეციალური კურსები, სადაც ახალგაზრდებს ასწავლიან იმას თუ, როგორ იცხოვრონ მომავალში უმუშევრობის შემთხვევაში[85]. მაგრამ ასეთი „მომზადება“ არავითარ შეღავათს არ აძლევს ცხოვრების ასპარეზ-

---

83 ნ. რიდვანოვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 126.

84 კომუნისტი, 1985, 13 ოქტომბერი.

85 Э. Розентал, Парадоксы протеста, М., 1985, с. 23.

ზე გამოსულ ახალგაზრდებს. კაპიტალისტური ქვეყნების არა მარტო პროგრესულ, არამედ თვით ბურჟუაზიულ პრესასაც კი განგაში აქვს ატეხილი უმუშევარ ახალგაზრდებს შორის დამნაშავეობის, ნარკომანიის, ალკოჰოლიზმის, პოლიტიკური ინფანტილიზმის ზრდის გამო. გაზეთების ფურცლები სავსეა მსჯელობებით იმ ტრაგიკულ შედეგებზე, ცხოვრების მოუწყობლობა რომ იწვევს ახალგაზრდებში — მათ არა აქვთ შესაძლებლობა თავიანთი ნიჭი და უნარი საწარმოო შრომაში გამოავლინონ.

29 წლის არგენტინელმა როდრიგესმა გაზეთში გამოაქვეყნა განცხადება: „მზად ვარ გავყიდო ცალი ან ორივე თვალი, რათა ოჯახის სარჩენი სახსარი მოვიპოვო". მან ჟურნალისტებს აუხსნა, რომ სამი თვის განმავლობაში არავითარი სამუშაო და საარსებო სახსარი არ გააჩნია, ცოლი და სამი ბავშვი კი სარჩენი ჰყავს[86].

1981 წლის აგვისტოში ორმა ახალგაზრდა უმუშევარმა, 19 წლის გრემა რეტბოუნმა და შონი გრანტმა პატარა ქალაქ ვიდნესიდან (დიდი ბრიტანეთი) მოიტაცეს ავტომობილი. რეზინის შლანგის ერთი ბოლო შეუერთეს გამოსაბოლქვ მილს, მეორე კი მანქანის შიგნით შეიტანეს და ჩართეს ძრავა. თავიანთ მშობლებს ასეთი ბარათი დაუტოვეს: „რისთვის უნდა ვიცხოვროთ, თუ არ არის სამუშაოს შოვნის არავითარი იმედი?... თუ ასე გაგრძელდა, მაშინ მალე ჩვენს ქვეყანაში ვერავინ იპოვის სამუშაოს... ჩვენ გვებრალებით მხოლოდ თქვენ, ცოცხლად დარჩენილნი"[87].

ბელგიის ქალაქ ანტვერპენში 27 წლის უმუშევარმა ცეცხ-

---

[86] ნ. თ. რ ი დ ვ ა ნ ო ვ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

[87] В. С и м о н о в, Британия без туманов, М., 1985, с. 36.

ლი წაუკიდა მაღაზიას. დაკითხვაზე განაცხადა რომ სურვილი ჰქონდა ციხეში მოხვედრისა, რადგან საარსებო საშუალებებს მოკლებულს ციხეში ყოფნა ურჩევნია[88].

როგორ გამოუსწორებელ უბედურებას უმზადებს ამერიკელებს სამუშაოს დაკარგვა, დასტურდება ფსიქიატრების მონაცემებით, რომელთა მოსაზრებები გამოქვეყნდა ჟურნალ „იუნაიტედ სტეიტს ნიუს ენდ უორლდ რიპორტ“-ის ფურცლებზე: აი, მაგალითად, რა განაცხადა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ინსტიტუტის ცენტრის ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა ელიოტ ლაიბოუმ: „არსებობს პირდაპირი და განუხრელი კავშირი უმუშევრობასა და ფსიქიკურ ჯანმრთელობას შორის. ადამიანები სხვადასხვანაირად რეაგირებენ სტრესის შიმართ. ზოგიერთებს ეწყებათ კუჭის ტკივილი ან ემართებათ ჰიპერტონია. მეორენი იტანჯებიან დეპრესიისაგან, ძალიან ბევრს სვამენ ან ხდებიან საგრძნობლად აღგზნებული და აგრესიული“. მიჩიგანის უნივერსიტეტთან არსებული შრომისა და მრეწველობის ურთიერთობის ინსტიტუტის გამოთვლის თანახმად, სამსახურიდან განთავისუფლებული ყოველი პროცენტი — ეს არის ფსიქიატრიული საავადმყოფოს 4673 ახალი პაციენტი, 33 836 ახალი სასაფლაო და 5 832 ციხის ბინადარი[89].

საბჭოების რესპუბლიკა იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც 50 წელზე მეტი ხნის წინათ დახურა უკანასკნელი შრომის ბირჟა და საშუდამოდ ამოიღო თავისი ლექსიკონიდან სიტყვა „უმუშევრობა“.

საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის მეორმოცე მუხლის

---

[88] Новое время, 1986, № 9, с. 13—14.

[89] П. В. Комисаров, Эскалация насилия: Мафия, М., 1994, с. 32.

თანახმად „სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ შრომის უფლება, — ანუ მიიღონ გარანტირებული სამუშაო მისი რაოდენობისა და ხარისხის შესაბამისი შრომის ანაზღაურებით...“.

სოციალისტურ საზოგადოებას საფუძვლად უდევს საყოველთაო შრომა. უნდა იშრომოს ყველამ. იშრომოს და იცხოვროს შრომითი შემოსავლით. ხოლო ყოველ არაშრომისუნარიანს უნდა გაეწიოს მატერიალური დახმარება. ამით გამოიხატება სოციალური სამართლიანობა და უზრუნველყოფილია ადამიანისათვის ღირსეული არსებობის პირობები. პროფესორი კ. მიკულსკი სამართლიანად აღნიშნავს, რომ კაპიტალისტურ ქვეყნებში მეტად საეჭვოა თეზისი, თითქოს უმუშევრობა მასტიმულირებელ და მადისციპლინირებელ ზემოქმედებას ახდენს მუშაკზე. მასობრივი დათხოვნების პერიოდში მან მშვენივრად იცის, რომ სამუშაოს დაკარგვა ნიშნავს არა დასჯას უხეირო მუშაობისათვის, არამედ იმას, რომ იგი კონიუნქტურის, კაპიტალისტური ეკონომიკის არასტაბილურობის მსხვერპლი ხდება.

დასვენების უფლება მნიშვნელოვანი მაჩვენებელია ყოველი ქვეყნის მშრომელების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა. კაპიტალისტურ ქვეყნებში შვებულების უფლება მშრომელების ნაწილმა მოიპოვა მეორე მსოფლიო ომის წინ და ომის შემდგომ პერიოდში. თუმცა არის სახელმწიფოები, სადაც ჯერ კიდევ არ არსებობს კანონმდებლობა შვებულების შესახებ. ხოლო ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში შვებულების დრო ძალიან მცირეა. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში შვებულების ძირითადი დრო დადგენილია 5 სამუშაო დღე, იაპონიაში — 6, იტალიაში — 10 დღე, ავსტრიაში—12 დღე, გფრ—15 დღე, მშრომელთა ცალკეული კატეგორიები საერთოდ არ სარგებლობენ შვებულების უფლებით.

დასვენების უფლება — სოციალისტური საზოგადოების მოქალაქის სოციალური სტატუსის განუხრელი ელემენტია. სსრკ მშრომელების სამუშაოდან თავისუფალი დრო შეადგენს 1/3 წელზე მეტს. გამოსასვლელი და სადღესასწაულო დღეების საერთო რიცხვი აღწევს 112 დღეს. გარდა ამისა, ყოველი მშრომელი სარგებლობს ყოველწლიური ფასიანი შვებულებით. შვებულების საშუალო ხანგრძლივობა 24 დღეა.

კაცობრიობის ისტორიაში საბჭოთა კავშირმა პირველად გადაწყვიტა პრინციპული საკითხი, რომელიც ყველა მშრომელის სასიცოცხლო ინტერესს შეადგენდა — დააკანონა 8 საათიანი სამუშაო დღე. ეს გაკეთდა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის მეხუთე დღეს.

საბჭოთა სახელმწიფომ თავისი არსებობის მანძილზე სამუშაო კვირა შეამცირა 18 საათით[90].

კაპიტალისტური სახელმწიფოების მმართველი კლასები არცთუ დიდი ხალისით ანიჭებენ საარჩევნო უფლებას ქალებს. ყველაზე განვითარებულ სახელმწიფოებშიც კი ძვრა ეხდა მხოლოდ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ზეგავლენით. საარჩევნო უფლება ქალებს შვეიცარიაში მიენიჭათ 1921 წელს, ესპანეთში — 1931 წელს, იტალიაში — 1945 წელს, ხოლო შვეიცარიაში — მხოლოდ 1971 წელს.

ამერიკის შეერთებულ შტატებში ქალები დაქირავებული მუშების ნახევარზე მეტს შეადგენენ, მაგრამ მათი საშუალო ხელფასი მამაკაცის საშუალო ხელფასის 60 პროცენტს არ აღემატება (ზანგი ქალებისა — 54 პროცენტს, ხოლო ლათინურამერიკული წარმოშობის ქალებისა — 49 პროცენტს). კვლევითი ფირმის — „ეროვნულ საქმეთა ბიუროს“ მონაცე-

---

[90] რ. ციცილევი, დასახ. ნაშრომი, გვ. 80—81.

მებით, ამერიკის ბიზნესი მამაკაცისა და ქალის შრომის არათანაბარი ანაზღაურებით წელიწადში დაახლოებით 320 მილიარდ დოლარს „ზოგავს“[91].

ირლანდიაში 300000 მეტი მომუშავე ქალიდან 80 პროცენტზე მეტი გაუთხოვარია ირლანდიაში არსებული წესის გამო, რომლის ძალითაც სახელმწიფო დაწესებულებებსა და მრეწველობაში დასაქმებულ ქალებს, როგორც წესი, გათხოვებისას ათავისუფლებენ. ასეთი კანონის გარდა არის სხვა ობიექტური მიზეზებიც: ირლანდიაში არ არის ბავშვთა ბაგა-ბაღები, კერძო პანსიონატების გამოკლებით, სადაც ბავშვის შენახვისათვის მაღალ გადასახადებს ითხოვენ.

მართალია, 1957 წელს მიღებული იქნა კანონი, რომელიც რამდენადმე სცვლიდა გაუთხოვარი ქალების მდგომარეობას. მათ მიენიჭათ უფლება ჰქონოდათ საკუთრება და აღეძრათ საქმე სასამართლოში, მაგრამ ასეა თუ ისე, ირლანდიელი ქალი დღემდე რჩება ქმრის საკუთრებად.

ირლანდიის კონსტიტუციით აკრძალულია განქორწინება. უმუშევრობის დროს ათობით ათასი ირლანდიელი მამაკაცი სამუშაოს საძებნელად მიემგზავრება საზღვარგარეთ, სადაც მრავალი მათგანი ახალ ოჯახს ქმნის, მაგრამ მიტოვებულ მეუღლეებს, რომლებიც ირლანდიაში დარჩნენ, უფლება არა აქვთ ხელმეორედ დაქორწინდნენ[92].

საბჭოთა ხელისუფლებამ მსოფლიოში პირველად ქალს მისცა პოლიტიკურად თანაბარი უფლებები მამაკაცთან. ის განთავისუფლდა საეკლესიო ქორწინების ბორკილებისაგან.

---

91 კომუნისტი, 1986, 8 მარტი.

92 Ю. Устименко, Познакомтесь: Ирландия, М., 1978, с. 51, 55.

კანონიერად იქნა ცნობილი მხოლოდ სამოქალაქო ქორწინება, გაადვილდა განქორწინება, შეიცვალა ქალისათვის შეურაცხმყოფელი განქორწინების პროცესის ხასიათი. ამავე დროს გაუქმდა ველური ტერმინი „უკანონოდ დაბადებული ბავშვი“ და ა. შ.

საბჭოთა კავშირში ქალები, მათ შორის აღმოსავლეთ რაიონებში, სადაც რევოლუციამდე დასაქმებული იყვნენ მხოლოდ საოჯახო საქმით, დღეს წარმოდგენილი არიან თითქმის ყველა პროფესიაში. მათ შორის ჩვენ ვხედავთ მასწავლებლებს, ექიმებს, ინჟინრებს, აგრონომებს, მფრინავებს, მეცნიერებს, მწერლებს, ხელოვნების მუშაკებს და ა. შ. უფრო მეტად ეუფლებიან ქალები ისეთ პროფესიებს, რომელიც წარსულში მხოლოდ მამაკაცების საქმედ ითვლებოდა, ასეთია მაგალითად, ტრაქტორისტის, მშენებლის, მექანიზატორის და სხვ. პროფესია.

სკკპ XXVII ყრილობაზე 5000 დელეგატიდან 1352 (27 პროცენტი) ქალი იყო. მათ შორის იყვნენ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეები, პარტიული მუშაკები, კულტურისა და ხელოვნების წარმომადგენლები, მეცნიერები, მოწინავე მუშები და კოლმეურნეები. 1984 წელს ქვეყნის უმაღლეს საბჭოში არჩეულ იქნა 492 ქალი — ფაქტიურად დეპუტატთა მესამედი[93].

ჩვენს ქვეყანაში ყოველი მეოთხე მეცნიერ მუშაკი ქალია. ექიმთა შორის მათი წილი შეადგენს 68 პროცენტს, მასწავლებელთა შორის — 72 პროცენტს. დღეს ყოველი 1000 მომუშავე ქალიდან 869 უმაღლესი და საშუალო განათლებითაა.

---

[93] А. Бирюкова, Женщины родины Октября, Новое время, 1986, № 10, с. 18, 19.

ამ რამდენიმე წლის წინათ თბილისში ჩამოვიდა გფრ-ის საარის მხარის ქალთა კომიტეტის ჯგუფის ხელმძღვანელი ილზე რაიტერი, რომელიც აღნიშნავდა: „ჩვენ დავრწმუნდით: თქვენს ქვეყანაში ქალები დიდ როლს ასრულებენ საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრებაში. თბილისში, ჩვენი მხარის დედაქალაქის — საარბრიუკენის დაძმობილებულ ქალაქში, ცხრა დღე დავყავით, დაწვრილებით გავეცანით ქართველი ქალების ცხოვრებას. საბჭოთა სახელმწიფო დიდად ზრუნავს ქალებისათვის, განსაკუთრებით დედებისათვის. მათ უნაზღაურებენ დეკრეტულ შვებულებას, ენახებათ სამუშაო ადგილი. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალებისათვის ეს ჯერჯერობით განუხორციელებელი ოცნებაა. თბილისში ჩვენი ჩამოსვლა ძალზე სასარგებლო იყო“[94].

კომუნისტური პარტიის მიერ დასახულია უფრო ფართოდ გამოვიყენოთ ქალებისათვის არასრული სამუშაო დღე ან შემცირებული სამუშაო კვირა, შინ მუშაობა. ხელმოკლე ოჯახები, რომლებსაც ჰყავთ 12 წლამდე ასაკის ბავშვები, ღებულობენ დახმარებას. უახლოეს წლებში მთლიანად დაკმაყოფილდება სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებებზე მოსახლეობის მოთხოვნილება[95].

კაპიტალისტურ ქვეყნებში საშუალო ხარისხის საცხოვრებლისათვის მუშა იძულებულია ხელფასის მესამედი გადაიხადოს. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში ამ ოდენობის თანხას იხდის 12 მილიონზე მეტი მოქირავე. ერთი

---

94 საქართველო უცხოელთა თვალით, თბ., 1981, გვ. 23.

95 ვ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 87—88.

ოჯახისათვის განკუთვნილი სახლის საშუალო ღირებულებამ უკვე კარგა ხანია 50 ათას დოლარს გადაამეტა. ამდენის გადახდას მხოლოდ ძალიან მდიდარი კაცი თუ შეძლებს.

10 მილიონამდე ამერიკელი ოჯახი ცხოვრობს ისეთ შენობებში, რომლებიც თანამედროვე ადამიანისათვის საცხოვრებლად პრაქტიკულად უვარგისია.

ამერიკელი ეკონომისტი ფ. ლინბერგი წერს: ძალიან ბევრი (ლამის უმრავლესობა) ამერიკელი ქოხებში, ხუხულებში, ვიქტორიას დროინდელ უშნო, დანგრევის პირას მისულ მრავალბინიან სახლებში ცხოვრობს.

ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატებისა და სხვა კაპიტალისტური ქვეყნების ქალაქებში უამრავი ცარიელი ბინაა კარგ სახლებში, რომლებზეც საშუალო შემოსავლის მქონე მოქალაქეებსაც ვერ მიუწვდებათ ხელი. ასეთი სურათი სუფევს ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში, შვეიცარიაში.

ჩვენს ქვეყანაში კი მხოლოდ XI ხუთწლედში გადაეცა საექსპლოატაციოდ 439,7 მილიონი კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. ეს 30,8 მილიონი კვადრატული მეტრით მეტია ვიდრე 1918-1940 წლებში მიიღეს მშრომელებმა სახელმწიფოსაგან. უკვე დღეს 80 პროცენტამდე ქალაქის მოსახლეობა ცხოვრობს ცალკე ბინებში. აქვე აღვნიშნავთ, რომ საბჭოთა ქვეყანაში ბინის გადასახადი წარმოადგენს (კომუნალური მომსახურების ჩათვლით) მოქალაქის ხელფასის 3 პროცენტს. მაშინ, როდესაც სახელმწიფოს 45 კვ. მ 3 ოთახიანი ბინის მშენებლობა უჯდება 9—10 ათასი მანეთი[96].

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიზანია

---

[96] О правах человека — подлинных и мнимых, М., 1985, с. 27.

2000 წლისათვის უზრუნველყოს ყველა ოჯახი ცალკე ბინით[97].

ახლა ბურჟუაზიული „დემოკრატიის“ შესახებ, კერძოდ საარჩევნო სისტემაზე.

1846 წელს აბრაამ ლინკოლნის მომხრეებმა წარმომადგენლობით პალატაში მის არჩევასთან დაკავშირებით შეკრიბეს 200 დოლარი. ლინკოლნმა მხოლოდ 75 ცენტი დახარჯა კასრი „სიდრისათვის“, რითაც თავის ამომრჩევლებს გაუმასპინძლდა, ხოლო 199 დოლარი და 25 ცენტი უკან დააბრუნა. დღეს კი სენატში არჩევა მილიონ დოლარამდე ჯდება.

1976 წელს აშშ პრეზიდენტის არჩევნების მხოლოდ პირველი ტური თითქმის 30 მილიონი დოლარი დაჯდა. ბურჟუაზიულ ობივატელს უკვე აღარ უკვირს არჩევითი თანამდებობის ყიდვის ფაქტები, რაც ბურჟუაზიული ცხოვრების წესის შემადგენელ ნაწილად იქცა. მაგალითად, გუბერნატორის ადგილი აშშ 14 მილიონი დოლარია. ხოლო პრეზიდენტ რეიგანს სავარძლის „ყიდვა“ 60 მილიონ დოლარზე მეტი დაუჯდა. აქ იყიდება ყველაფერი: თანამდებობა, წოდება, პრესტიჟი, მორალი, კანონი, სახელმწიფო ინსტიტუტები და თვით დემოკრატიაც[98].

აშშ საარჩევნო სისტემის ანტიდემოკრატიულობა ყველაზე დაბალი რგოლიდან იწყება. ამერიკის შეერთებული შტატების კანონმდებლობაში დღემდე არსებობს აშკარად გამოხატული კლასობრივი ხასიათის 50-მდე საცენზო დაბრკოლება, რომლებიც მიმართულია მშრომელთა წინააღმდეგ. ფართოდ გამო-

---

[97] ვ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 87—88.

[98] Обвиняется в бесчеловечности, М., 1984, с. 20, 22.

იყენება ბინადრობის ცენზი, რომელიც არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობას არ აძლევს, უწინარეს ყოვლისა, მოსახლეობის უქონელ ფენებს, რომლებსაც სამუშაოს ძებნაში ხშირად უწევთ საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა. ამერიკის შეერთებული შტატების მთელ რიგ სამხრეთ შტატებში საარჩევნო უფლების მისაღებად კაცს უნდა ჰქონდეს „კარგი რეპუტაცია“ და იყოს „ინდიელთა წინააღმდეგ ომის, ესპანეთ-ამერიკის ომის ან ჩრდილოეთისა და სამხრეთის სამოქალაქო ომის მონაწილეთა შთამომავალი“. ოკლაჰომის შტატში ხმის უფლება ენიჭება „იმ პირთა უშუალო შთამომავლობას, რომლებმაც საარჩევნო უფლება 1866 წლის 1 იანვარს მიიღეს“. რასობრივი ცენზებით კალიფორნიის შტატში არჩევნებში ვერ მონაწილეობენ ჩინელები, აიდაჰოს შტატში კი — ინდიელები. ყველა ამ საშუალებას ჩვეულებრივ იმისათვის იყენებენ, რომ ~~ხმის~~ უფლება წაართვან „ფერადკანიანებს“.

არა მარტო ამერიკის შეერთებულ შტატებში, არამედ სხვა სახელმწიფოებშიც არჩევნების ეს თავისებურება ჯერ კიდევ ვ. ი. ლენინს აქვს აღნიშნული. „ყველაზე დემოკრატიულ ბურჟუაზიულ სახელმწიფოში, წერდა იგი, ჩაგრული მასები ყოველ ნაბიჯზე ხვდებიან აღმაშფოთებელ წინააღმდეგობას ფ ო რ მ ა ლ უ რ თანასწორობასა, რომელსაც აღიარებს კაპიტალისტების „დემოკრატია“, და ათასნაირ ფ ა ქ ტ ი უ რ შეზღუდვასა და ხერხს შორის...“[99].

აი ისინი: ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებული საარჩევნო კანონმდებლობა მჭიდროდ არის დაკავშირებული ორპარტიულ სისტემასთან, რომელიც გაბატონებული კლასის ინტერესებს გამოხატავს. მაგალითად, რესპუბლიკური და დე-

---

[99] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 25, გვ. 296.

მოკრატიული პარტიების კანდიდატები არჩევნების სამზადისის დროს რეგისტრაციას არსებითად ავტომატურად გადიან. „მესამე“ პარტიების კანდიდატებს კი მოეთხოვებათ შესაბამის პეტიციაზე ამომრჩეველთა ხელმოწერის წინასწარი შეგროვება. ამასთან ხშირად საჭიროა ამა თუ იმ შტატის ამომრჩეველთა სულ ცოტა 5 პროცენტის, ანუ ათობით, ის კი არა, ასიათასობით კაცის ხელმოწერა. სულ კი „მესამე“ პარტიის კანდიდატის დასახელებისათვის 50-ვე შტატში საჭიროა დაახლოებით 2,2 მილიონი ხელმოწერა: ამდენი ხელმოწერის მოგროვებას 100 ათას სამუშაო საათზე მეტი დასჭირდებოდა. ხელმოწერების შეგროვება დროით არის შეზღუდული. გარდა ამისა, მათი შეგროვების დროს საჭიროა მოწმეები, მათი სანოტარო დადასტურება, ხელმოწერათა შემგროვებლებისათვის სპეციალური ნებართვის მიღება. ყოველივე ეს სერიოზულად აძნელებს გაბატონებული კლასისათვის არასასურველი პოლიტიკური ძალების მოქმედებას, რომ აღარაფერი ვთქვათ აშკარა შარის მოდებაზე (იმ ხელმოწერების ბათილად ცნობაზე, რომლებშიც სრულიად არ არის აღნიშნული სახელი, კანდიდატების რეგისტრაციაში გაუტარებლობაზე და ა. შ.), რასაც ხშირად მიმართავენ ამერიკის კომპარტიის მიმართ. ორპარტიულობას ითვალისწინებს აგრეთვე კანონმდებლობა საარჩევნო მიზნით მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა გამოყენების შესახებ. ეს არცთუ უმნიშვნელო გარემოებაა, ვინაიდან დღევანდელ ამერიკაში წინასაარჩევნო ბრძოლა ქუჩების გზაჯვარედინებზე კი არა, ამომრჩეველთა სახლებში მიმდინარეობს. „თუ ტელევიზია უარს ამბობს ახალი პარტიის საქმიანობის გაშუქებაზე, — აღიარებს ამერიკელი ისტორიკოსი ჯ. მაკლენანი, — ეს იგივეა, ახალი პარტია საერთოდ რომ არ არსებობდეს“.

„აძვირებს“ რა საწარმომადგენლო მანდატებს, დიდი ბიზ-ნესი მათ პირდაპირ ხელმიუწვდომელს ხდის რიგითი ამერი-კელისათვის. „არავისთვის არ უნდა იყოს გამოცანა, — ნათ-ქვამია ამერიკის კომპარტიის ერთ-ერთ პუბლიკაციაში, — რომ გადაწყვეტილებებს იმის თაობაზე, თუ ვინ იქნება დასა-ხელებული კანდიდატად, და იმის შესახებაც, კი თუ ვინ გაი-მარჯვებს, იღებენ ძალმოსილი კორპორაციების წარმომადგე-ნელთა თამბაქოს კვამლით გაბოლილ ოთახებში, და არა სა-არჩევნო უბნების კაბინებში“.

„ამერიკული დემოკრატიის“ მექანიზმი მხოლოდ მსხვილი კაპიტალისათვის საჭირო ადამიანებს აძლევს საშუალებას, გახდნენ „ხალხის რჩეულნი“. საიდუმლო არ არის, რომ ჯ. კარ-ტერი პრეზიდენტად აირჩიეს საერთო რაოდენობის სულ რა-ღაც 28 პროცენტის, ხოლო რ. რეიგანი (1984 წელს) — 30 პროცენტზე ცოტა მეტის მხარდაჭერით. ბევრ ამერიკელ სე-ნატორს კი ამომრჩეველთა სულ რაღაც 13-15 პროცენტი ირ-ჩევს.

როგორია ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სა-კანონმდებლო ორგანოს — კონგრესის ახლანდელი სოციალ-ური შემადგენლობა? მისი ზედა პალატის — სენატის 100 წევრს შორის არც ერთი მუშა არ არის. პრაქტიკულად ყო-ველ მეხუთე სენატორს მილიონ დოლარზე მეტი ღირებულე-ბის ქონება აქვს. მიუხედავად იმისა, რომ ამერიკის შეერთე-ბული შტატების ფერადკანიანი მოქალაქენი ახლა ქვეყნის მო-სახლეობის დაახლოებით მეხუთედს შეადგენენ, სენატში არც ერთი ზანგი და ესპანურენოვანი ამერიკელი არ არის. კონგრე-სის ქვედა პალატაში — წარმომადგენელთა პალატაში 435 დეპუტატს შორის მუშა მხოლოდ ექვსია. დეპუტატთა დანარ-ჩენი სავარძლები უკავიათ კორპორაციების წარმომადგენ-

ლებს, მონოპოლისტური ფირმების, ბანკების, სადაზვერვო კომპანიების გამგეობათა წევრებს, შეძლებულ ვექილებს.

როგორ გამოიყურება „სახალხო ხელისუფლება“ სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებში?

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-20 მუხლში ნათქვამია: „მთელი სახელმწიფო ძალაუფლება ხალხისაგან მომდინარეობს“. სინამდვილეში კი დასავლეთ გერმანიის პარლამენტის — ბუნდესტაგის 488 დეპუტატიდან მხოლოდ 18-მა (2,6 პროცენტმა) აღნიშნა სოციალური კუთვნილების გრაფაში, რომ მუშები არიან. მაგრამ მათ შორისაც არ არის არც ერთი, რომელიც ნამდვილად მუშაობდეს წარმოებაში. უკვე ეს ფაქტი მოწმობს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კონსტიტუციის უხეშ დარღვევას, ვინაიდან მუშები ქვეყნის თვითმოქმედი მოსახლეობის თითქმის ნახევარს შეადგენენ. ადგილების უმრავლესობა ბუნდესტაგში მოხელეებს უკავიათ. 130-ე სადეპუტატო მანდატი ეკუთვნის მეწარმეებს, მიწათმფლობელებს, მსხვილ კომპანიათა მმართველებს და დირექტორთა საბჭოების წევრებს. დეპუტატთა შორის არიან ბარონები და გრაფები. მაგალითად, ბუნდესტაგის დეპუტატი ქრისტიანულ-დემოკრატიული კავშირისაგან გრაფი ალოის ფონ ვალდბურგ-ცაილი ვრცელ სავარგულებს ფლობს ბავარიასა და ბადენ-ვიურტემბერგში, ხე-ტყის სახერხ და ქაღალდის ქარხნებს, გამომცემლობას მიუნხენში. განა საკითხავია, ვის ინტერესებს და რა „დემოკრატიას“ ქომაგობს ბუნდესტაგში გრაფი?

ბრიტანეთის პარლამენტის ბოლო არჩევნების დროს კონსერვატულმა პარტიამ ხმების აბსოლუტური უმრავლესობა და 114-ით მეტი ადგილი მოიპოვა. მაგრამ ეს გამარჯვება რეგისტრირებულ ამომრჩეველთა საერთო რიცხვის მხოლოდ 30,8

პროცენტის მხარდაჭერამ უზრუნველყო. იმაში, რომ ინგლისელებმა, ლონდონის გაზეთ „სანდი ტაიმსის“ თქმით, „გროტესკამდე არაწარმომადგენლობითი თემთა პალატა მიიღეს“, გადამწყვეტი როლი შეასრულა ერთ ტურად არჩევნების მაჟორიტარულმა სისტემამ, რომელიც იძლევა ამომრჩეველთა ნება-სურვილის დამახინჯების საშუალებას, და მარჯვედ „დაყოფილმა“ საარჩევნო ოლქებმა. ამგვარი „დაყოფის“ წყალობით კონსერვატორებმა დამატებით 58 მანდატი გაინაღდეს, თუმცა ოპოზიციაზე 16 პროცენტით ნაკლები ხმა მოაგროვეს. ბურჟუაზიული პოლიტიკოსები, რომლებიც გულუხვად იძლევიან დაპირებებს, ხელისუფლების სათავეში ჩადგომისთანავე ივიწყებენ მათ.

ამის შედეგად იზრდება აბსენტეიზმი (ამომრჩევლების თავის არიდება არჩევნებში მონაწილეობისაგან), რაც ერთობ ტიპური მოვლენაა ბევრი ბურჟუაზიული სახელმწიფოსათვის. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის არჩევნებში 1972 წელს მონაწილეობდა ამომრჩეველთა 55,4 პროცენტი, 1976 წელს — 54,3 პროცენტი, 1980 და 1984 წლებში — 50 პროცენტზე ცოტა მეტი, ამერიკის კონგრესის „შუალედურ“ არჩევნებში კენჭისყრის დროს 1974 წლიდან მოყოლებული, ამომრჩეველთა რიცხვმა 40 პროცენტსაც კი ვერ მიაღწია.

ასევე თანმიმდევრულად კლებულობს ამომრჩეველთა აქტიურობა სხვა კაპიტალისტურ ქვეყნებშიც. ჰოლანდიაში 1982 წელს პროვინციული შტატების არჩევნებში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა მხოლოდ 67,9 პროცენტი მონაწილეობდა, 1983 წელს დიდ ბრიტანეთში პარლამენტის არჩევნების

პერიოდში ურნებთან არ გამოცხადებულა ამომრჩეველთა 28 პროცენტი[100].

ამერიკის შეერთებულ შტატებში კონგრესმენები თემთა პალატაში ეროვნული უმცირესობიდან თითზე ჩამოსათვლელია, ხოლო სენატში ერთადერთი ზანგია. ამერიკის კონგრესში 535 წევრიდან მხოლოდ 17 ქალია[101].

სოციალისტურ საზოგადოებაში, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ XXVII ყრილობაზე, — განსაკუთრებით თანამედროვე პირობებში, მართვა არ შეიძლება პროფესიონალთა ვიწრო წრის პრივილეგია იყოს. არა მარტო თეორიიდან, არამედ საკუთარი მრავალი წლის პრაქტიკიდან ვიცით, რომ სოციალისტური წყობილება წარმატებით ვითარდება მხოლოდ მაშინ, როცა თვით ხალხი რეალურად მართავს თავის საქმეებს, როცა მილიონობით ადამიანი მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებაში. სწორედ ეს არის მშრომელთა თვითმმართველობა, იგი შეადგენს საბჭოთა ხელისუფლების არსს. თვითმმართველობის საწყისები ვითარდება არა ჩვენი სახელმწიფოებრიობის გარეთ, არამედ მის შიგნით, სულ უფრო ღრმად აღწევს სახელმწიფო და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფორს. ამდიდრებს დემოკრატიული ცენტრალიზმის შინაარსს, განამტკიცებს მის სოციალისტურ ბუნებას[102].

ყოველ არჩევნებში საბჭოების დეპუტატთა თითქმის ნახევარს ირჩევენ პირველად. გამოთვლილია, რომ 18 წლის ზე-

---

100 ე. კოტრიკაძე, როგორ ხდება ეს (კომუნისტი, 1984, 24 თებერვალი).

101 М. Михайлов, Мгновения жизни, М., 1983, с. 73.

102 მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 93.

ვით საბჭოთა კავშირის ყოველი მეოთხე მოქალაქე ამა თუ იმ ფორმით მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფო საქმეთა ყოველდღიურ მართვაში.

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები, მათ შორის სამეურნეო აპარატიც იქმნება მშრომელი კლასებისა და სოციალური ჯგუფებისაგან: სსრკ მინისტრთა საბჭოს, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, ადგილობრივი საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტების ხელმძღვანელების 80 პროცენტზე მეტი გამოსული არიან მუშათა და გლეხთა ოჯახებიდან, ხოლო 70 პროცენტამდე მინისტრმა და კომიტეტის თავმჯდომარემ თავისი მოღვაწეობა დაიწყო როგორც მუშამ და გლეხმა[103].

1986 წლის 4 მარტს სკკპ XXVII ყრილობის პრეს-ცენტრში საბჭოთა და უცხოელ ჟურნალისტებთან შეხვედრისას აშშ კომუნისტური პარტიის გენერალურმა მდივანმა გეს ჰოლმა განაცხადა, რომ მე არასდროს არ დავსწრებივარ ფორუმს, არც შეერთებულ შტატებში და არც რომელიმე კაპიტალისტურ ქვეყანაში, სადაც ყოფილიყოს ქვეყნის განვითარების ყველა მხარის ასეთი პატიოსანი, გულახდილი და კრიტიკული ანალიზი. მე ეს წარმომიდგენია საბჭოთა საზოგადოების დემოკრატიული წყობის შესანიშნავ ილუსტრაციად. მსოფლიოში არ არის მეორე ქვეყანა, სადაც ადამიანების დიდი ნაწილი იღებდეს ასეთ აქტიურ მონაწილეობას გადაწყვეტილებათა მიღებაში... ამ მიმართულებით ვითარდება საბჭოთა დემოკრატია[104].

„დემოკრატია, — აღნიშნა მ. ს. გორბაჩოვმა სკკპ XXVII

---

[103] О правах человека—подлинных и мнимых, М., 1985, с. 28.
[104] Новое время, 1986, № 11, с. 8.

ყრილობაზე, — ჯანსაღი და სუფთა ჰაერია და ᲫᲮᲝᲚᲝᲓ მის პირობებში შეუძლია სრულფასოვნად იცხოვროს სოციალისტურმა საზოგადოებრივმა ორგანიზმმა"[105].

ჩვენი ქვეყნის მშრომელების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ აქტივობაში, ქვეყნის შემდგომ დემოკრატიზაციაში უდიდესი მნიშვნელობა აქვს ეროვნული ურთიერთობის შემდგომ სრულყოფას. ეროვნული საკითხის გადაწყვეტას ჩვენს ქვეყანაში საფუძველი ჩაუყარა დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ. ემყარება რა ვ. ი. ლენინის მოძღვრებას, სოციალიზმის მონაპოვრებს, კომუნისტურმა პარტიამ გიგანტური გარდამქმნელი მუშაობა გასწია ამ დარგში. ერთხელ და სამუდამოდ მოსპო ყველა ფორმისა და გამოვლინების ეროვნული ჩაგვრა და ეროვნული არათანასწორუფლებიანობა. მილიონობით ადამიანის ყოფა-ცხოვრებაში დამკვიდრდა ხალხთა ურღვევი მეგობრობა, ყველა ხალხის ეროვნული კუტურისა და ეროვნული ღირსების პატივისცემა. საბჭოთა ხალხი თვისებრივად ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობაა, რომელიც შედუღაბებულია ეკონომიკური ინტერესების, იდეოლოგიისა და პოლიტიკური მიზნების ერთიანობით[106].

კარგი იქნება, ეროვნული საკითხის საბჭოური გადაწყვეტის შესახებ თუ მოვიგონებთ დიდი მექსიკელი მხატვრის დ. ა. სიკეიროსის სიტყვებს: „ვ. ი. ლენინისა და ბოლშევიკური

---

105 მ. ს. გორბაჩოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოხსენება, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობას, თბ., 1986, გვ. 92.

106 იქვე, გვ. 89.

პარტიის მიერ შემუშავებული სოციალიზმის ეროვნული პროგრამა წარმოადგენს იმ თესლს, რომლისაგანაც გაიზარდა ახალი საზოგადოება — საბჭოთა ხალხი... ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც უარყოფს ლენინის იდეებს ეროვნულ საკითხში, აგრეთვე სსრკ პრაქტიკულ გამოცდილებას, ვერ შეძლებს წარმატებით დაძლიოს ეროვნულ ურთიერთობათა პრობლემები"[107].

მართლაც, ოქტომბრიობის ისტორიაში პირველად საბჭოების ქვეყანაში განხორციელდა ოცნება, უძველესი დროიდან რომ იპყრობდა საუკეთესო და მოწინავე მოაზროვნეთა გონებას, — ოცნება ისეთი საზოგადოების შექმნაზე, რომელიც მიუხედავად თითოეულის კანის ფერის, ენისა და ეროვნების, თავისუფალი იქნებოდა ადამიანის მიერ ადამიანის ყოველგვარი ჩაგვრისა და ექსპლოატაციისაგან; ოცნება საზოგადოებაზე, სადაც ურთიერთდამოკიდებულება ადამიანებს შორის დაფუძნებული იქნებოდა სრულ თანასწორუფლებიანობაზე, ძმურ მეგობრობაზე, თანამშრომლობასა და ურთიერთდახმარებაზე.

ასეთი ოცნების განხორციელების შედეგად ჩვენს ქვეყანაში დღის წესრიგში დადგა მშრომელი კლასებისა და სოციალური ფენების სოციალისტური გარდაქმნა, რაც თავის მხრივ მოასწავებდა საბჭოთა ერებისა და ეროვნებების სოციალური არსის შეცვლას. ისინი სოციალისტური გახდნენ ეკონომიკური საფუძვლით, კლასობრივი სტრუქტურით, კულტურული განვითარებით და სულიერი სახით. განმტკიცდა სოციალისტური ერების ინტერნაციონალური ერთიანობა. ასრულდა კ. მარქსის წინასწარმეტყველება: „ხალხებმა რომ შეძლონ

---

107 Правда, 1973, 1 იანვარი.

ნამდვილი გაერთიანება, მათ საერთო ინტერესები უნდა ჰქონდეთ. მათი ინტერესები საერთო რომ იყოს უნდა მოისპოს საკუთრების არსებული ურთიერთობა, რადგან საკუთრების არსებული ურთიერთობა განაპირობებს ერთი ხალხის ექსპლოატაციას მეორე ხალხის მიერ[108].

ლენინური პარტიის ხელმძღვანელობით, საბჭოთა ადამიანების გმირული მეცადინეობით უკვე 30-იან წლებში. ჩვენს ქვეყანაში ძირითადად აშენდა სოციალიზმი. ჩამოყალიბდა ხალხის მტკიცე მორალურ-პოლიტიკური ერთობა, ყველა ერი და ეროვნება შეკავშირდა ერთსულოვან, ურღვევ ოჯახად. ყოველივე ამან საბჭოთა სახელმწიფოს შესაძლებლობა მისცა გაეძლო და გაემარჯვა უმძიმეს ისტორიულ განსაცდელში. მათგან ყველაზე მკაცრი იყო დიდი სამამულო ომი. პარტიის ხელმძღვანელობით მამაცმა საბჭოთა არმიამ და ხალხმა არა მარტო დაიცვეს ფაშისტ აგრესორთაგან სამკვდრო-სასიცოცხლო ჭიდილში სამშობლოს თავისუფლება, ღირსება და დამოუკიდებლობა, არამედ გადამწყვეტი წვლილი შეიტანეს ნაციზმისაგან კაცობრიობის ხსნაში. ჩვენი სამშობლოს შვილები გმირულად იბრძოდნენ ფრონტებზე და პარტიზანულ რაზმებში, თავდადებით შრომობდნენ ზურგში, ერთად ჭედდნენ დიად გამარჯვებას. საყოველთაო-სახალხო გმირობა იყო უმოკლეს ვადებში მტრის მიერ დანგრეული მეურნეობის აღდგენაც.

უდიდესია საბჭოთა საზოგადოების მიერ ომის შემდგომ ათწლეულებში მიღწეული სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული პროგრესი. ყოველივე ამის შედეგად გაქრა ჩამორ-

---

108 К. Маркс и Ф. Энгельс, Соч., т. 4, с. 371.

ჩენილი ეროვნული მხარეები, სადაც ხშირად ჯერ კიდევ ჭარბობდა ფეოდალურ-პატრიარქალური ურთიერთობაც კი. ყველა რესპუბლიკის დინამიკური, საერთო-სახელმწიფო გეგმით წარმართული ეკონომიკური ზრდის ბაზაზე შეიქმნა ერთიანი საკავშირო სახალხო-სამეურნეო კომპლექსი.

ჩვენს ქვეყანაში ეკონომიკური ცხოვრების ინტერნაციონალიზაციამ სამი ეტაპი განვლო. პირველი ეტაპის არსი მდგომარეობდა იმაში, რომ განხორციელებულიყო ყველა ერისა და ეროვნების ფაქტიური თანასწორობა; მეორე ეტაპი წარმოადგენდა ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის შექმნის პერიოდს, ხოლო მესამე ეტაპზე მიმდინარეობს ეკონომიკური ცხოვრების შემდგომი ინტერნაციონალიზაცია. ჩვენი ქვეყნის ეკონომიკური ძლიერების ყოველმხრივი განვითარება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გავლენა და კომუნისტური პარტიის ინტერნაციონალური პოლიტიკის შედეგია[109]. ერთიანი ცენტრალიზებული სახელმწიფო გეგმა, რომლის მიხედვით ხდება სსრ კავშირის სახალხო-სამეურნეო კომპლექსის, მთელ ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წარმოების, განაწილებისა და გაცვლის ყველა რგოლის რეგულირება, ემყარება ლენინური დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპს, რომლის სრულყოფა მოითხოვს მისი ორივე საწყისის განმტკიცებას და ჰარმონიულ შეხამებას; რაც პროგრესული ეკონომიკის მძლავრი განვითარების საშუალებას გვაძლევს არა მხოლოდ კავშირის მასშტაბით, არამედ ცალკეული რესპუბლიკების მიხედვითაც.

სსრ კავშირის ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის

---

[109] Н. Н. Целищев, Великая сила пролетарского интернационализма, М., 1978, с. 43.

შემადგენელი ნაწილია ყველა მოკავშირე რესპუბლიკის, მათ შორის საქართველოს სსრ, ეკონომიკის კომპლექსური განვითარება. პირველი ეკონომიკისა და სოციალური განვითარების ყოვლისმომცველი დიდი კომპლექსია, მეორე მასზე დაქვემდებარებული, მისი ორგანულად შემავსებელი ნაწილია, რომლის დანიშნულებაა ყოველმხრივ შეუწყოს ხელი ადგილობრივი საწარმოო შესაძლებლობების გამოვლინებას, მათ მაღალ ეფექტურ გამოყენებას, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივის გაშლას, ერთიანი ეკონომიკის შეწონასწორებულ და დინამიკურ განვითარებას.

სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებამ საბჭოთა კავშირში გვიჩვენა, რომ მოკავშირე რესპუბლიკებმა სახალხო მეურნეობისა და კულტურის ნამდვილ გაფურჩქვნას მიაღწია არა ეროვნული კარჩაკეტილობის გზით, არამედ სოციალისტური ერებისა და ეროვნებათა ძმურ ოჯახში ჰარმონიული ურთიერთგამამდიდრებელი განვითარების საფუძველზე, მათი ეკონომიკის ერთიანობით ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსში. ცხოვრება თვალნათლივ ადასტურებს რომ „სულ უფრო მეტად ერწყმის ერთმანეთს რესპუბლიკების ინტერესები, სულ უფრო ნაყოფიერი ხდება ურთიერთდახმარება, ურთიერთკავშირი, რომლებიც ერთიან კალაპოტში წარმართავენ საბჭოთა კავშირის ერებისა და ეროვნებების აღმშენებლობითს მეცადინეობას. ჩვენს ქვეყანაში ყოველი სოციალისტური ერის განვითარება კანონზომიერად იწვევს მათ სულ უფრო მეტ დაახლოებას“[110].

ცნობილია, რომ დიდი სახალხო-სამეურნეო პროგრამების

---

110 ი. ვ. ანდროპოვი, სსრ კავშირის სამოცი წელი, თბ., 1982, გვ. 7.

რეალიზაცია და ცალკეული მძლავრი საწარმოსა და ნაგებობების მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში ხორციელდება ყველა მოკავშირე რესპუბლიკის — როგორც ერთობლივი, მთელი, ერთიანი — ძალებით. ამის მაგალითად უნდა მივიჩნიოთ კამაზის მშენებლობა, ბამისა და ჩრდილო ყირიმის არხის აგება, არაშავმიწანიადაგების ათვისება და სხვ. მეთორმეტე ხუთწლედი — ახალი მნიშვნელოვანი ეტაპია ყველა მოძმე რესპუბლიკის ეკონომიკის განვითარება-დაახლოებისა ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის ჩარჩოებში.

ჩვენი ქვეყნის — სსრ კავშირის ეკონომიკა სულაც არ წარმოადგენს მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკის მექანიკურ შერწყმას. ეს არის ერთგვაროვანი, ჰარმონიულად განვითარებადი ორგანიზმი მეურნეობრივი კავშირების რთული ქსელით. ჩვენი ხალხი ძმური შრომით მოიპოვებს თურქმენეთის ნავთობსა და ყუბანის პურს, ლენინგრადის ჩარხებსა და უზბეკეთის ბამბას, რუსთავის ლითონსა და ივანოვოს ქსოვილებს... ნოვოროსიისკის მარკის ცემენტით არის შედუღაბებული დნეპრის კაშხალისა და ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კორპუსები. ასე იყრის თავს კრასნოდარის რკინიგზის სადგურებზე ბალტიისპირეთის ავტობუსები, სიმინდის ასაღები კომბაინები ხერსონიდან, ჰიდრავლიკა გომელიდან, ელექტროაპარატურა ერევნიდან, რადიოხელსაწყოები რიგიდან, საკისრები სარატოვიდან... ყველაფრის ჩამოთვლა შეუძლებელია! მხოლოდ თურქმენეთის სსრ პროდუქციას იღებს ქვეყნის 3 200 საწარმოდან, იაკუტიის ასსრ — 5 000-დან, ყირგიზეთის სსრ 6 000 საწარმო დაწესებულებიდან და ა. შ.[111].

---

[111] Единство партии и народа в условиях развитого социализма, М., 1981, с. 196.

საბჭოთა ხალხებს შორის ძმური თანამშრომლობისა და მეგობრობის შემდგომი განვითარების თვალსაჩინო მაგალითია ამიერკავკასიის ეკონომიკური რაიონი, რომლის ფარგლებში ხორციელდება აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკების სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარება, წარმოების კოორდინაცია, კოოპერაცია და სპეციალიზაცია. ამიერკავკასიის ეკონომიკური რაიონის მასშტაბით განხორციელდა აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს ენერგეტიკული სისტემების შერგოლვა, აიგო ყარადალ-თბილისი-ერევნის გაზსადენი, ორჯონიკიძე-თბილისის მაგისტრალური გაზსადენი, საერთოდ ერთიან სისტემად გაერთიანდა ჩრდილოეთ კავკასიისა (კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეები) და ამიერკავკასიის გაზსადენები და ა. შ.

თუ რაოდენ მჭიდრო სასიცოცხლო კავშირი აქვს საბჭოთა რესპუბლიკების თითოეულ რეგიონს ერთიან სახალხო-სამეურნეო კომპლექსთან, დასტურდება ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი ქალაქის — ჭიათურის მაგალითზეც. მაღაროებისა და გამამდიდრებელი ფაბრიკების მანქანა-დანადგარებს ჭიათურა ღებულობს კიროვოგრადიდან, დონბასიდან, მოსკოვიდან, ნოვოსიბირსკიდან, ტაშკენტიდან, ოდესიდან, ლენინგრადიდან, დნეპრისპირეთიდან, ურალიდან, ვორონეჟიდან და სხვა პუნქტებიდან. ავტომანქანები შემოდის ბელორუსიიდან, კრასნოიარსკიდან, მოსკოვიდან, გორკიდან, ტოლიატიდან.

მეზობელი სომხეთიდან ჭიათურა მარაგდება ელექტრომოწყობილობით, კაბელით, ავტოსაბურავებით, კალციუმის კარბიდით და სხვ. აზერბაიჯანიდან შემოდის ტრანსფორმატორები, ნავთობპროდუქტები, საცხები ზეთები.

ქალაქის მრეწველობა და მშენებლობა დიდი ოდენობით მოიხმარს ხე-ტყეს, რომელიც შემოდის რუსეთის ფედერაცი-

ის ჩრდილოეთი რაიონებიდან ასტრახანის და ვოლგოგრადის ხე-ტყის მიმწოდებელი ბაზების საშუალებით[112].

ძმობა, მომავლისაკენ სწრაფვა, საკავშირო სახელმწიფოს აყვავებისათვის ზრუნვა ყველა რესპუბლიკის მშრომელთა დამახასიათებელი ნიშანი, საქმიანობის მოტივი გახდა.

საერთო საქმეები და საზრუნავი აკავშირებთ საბჭოთა ადამიანებს. ბაიკალ-ამურის მაგისტრალის მშენებლობისადმი მიძღვნილ თავის დღიურში ლატვიელმა ჭაბუკმა ივარ ლეიმარისმა ჩაწერა: „ბევრს ვმუშაობთ, ვიყინებით, სახლიც გვენატრება, მაგრამ, მთავარი ის არის, რომ ყოველდღე ვხედავთ, როგორ იზრდება ულკანი. ეს კი ნიშნავს ვაკეთებთ ჩვენს საქმეს... ვლაპარაკობთ რვა ენაზე. და ყველანი ერთად ვლაპარაკობთ რუსულად. არც ერთ მათგანს არ ეჩვენება ეს უცნაურად, არავითარი დავა არ გვქონია ჩვენში, სადაც არგუმენტი შეიძლება ყოფილიყო ეროვნება, აქცენტი, თვალის ფორმა... მსიამოვნებს მელოდიური აზერბაიჯანული ენის მოსმენა: ორი ჩემი მეზობელი საღამოობით ბაქოს, კასპიის ზღვას ახსენებს. რა მშვენივრად მღერიან უკრაინელები! ბევრი მომისმენია ეს სიმღერები რადიოთი, მაგრამ მთელი არსებით მხოლოდ აქ შევიგრძენი უკრაინიდან, ლატვიიდან, აზერბაიჯანიდან ათასობით კილომეტრის დაშორებით. აშკარად ვგრძნობ, როგორ შემეკამათებიან: ღირდა კი ასე შორს წასვლა საყოველთაოდ ცნობილ ჭეშმარიტებათა გასაგებად? ვუპასუხებ: ღირდა! რადგან ისინი არა მარტო უნდა გაიგო, არამედ მთელი გულითაც შეიგრძნო[113]. ცნობილმა საბჭოთა მწერალმა ა. ჩაკოვსკიმ ინგლისის რადიოს კითხვებზე სწორედ ამასთან დაკავში-

---

112 ვ. ჯაოშვილი, ჭიათურა, თბ., 1979, გვ. 77.
113 Правда, 1982, 18 ნოემბერი.

რებით აღნიშნა: „შეეკითხეთ ნებისმიერ საბჭოთა ადამიანს, რომელი ეროვნებისაც არ უნდა იყოს, დაასახელოს თავისი სამშობლო, და ის თქვენ გიპასუხებთ: საბჭოთა კავშირი. და ამავე დროს ყოველმა კარგად იცის, თუ რომელ ეროვნებას მიეკუთვნება, და ამაყობს ამით“[114].

აღნიშნული მოვლენები მკაფიოდ ადასტურებს პარტიის ერთ-ერთ მთავარი ამოცანის — ახალი ადამიანის აღზრდის გზაზე მძლავრად წინ გადადგმულ ნაბიჯებს; ადამიანისა, რომელიც თავის თავში უნდა აერთიანებდეს ღრმა იდეურ რწმენას და დიდ ცხოვრებისეულ ენერგიას, სულიერ კულტურასა და ცოდნას. კომუნისტური საზოგადოება იქმნება არა სტიქიურად, არამედ ხალხთა ფართო მასების შემოქმედებითი ინიციატივით. ასეთი სახის შემოქმედება პირდაპირ კავშირშია ადამიანთა მარქსისტულ-ლენინურ მსოფლმხედველობასთან, საზოგადოებრივი მოვალეობის გაგებასთან, მათ ზნეობრივ მოწიფულობასთან, პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის გრძნობასთან, შრომისმოყვარეობასა და დისციპლინასთან, ბურჟუაზიული იდეოლოგიისა და კერძომესაკუთრული მორალისადმი შეურიგებლობასთან. ჩვენ დიდი მატერიალური და სულიერი შესაძლებლობანი გვაქვს იმისათვის, — აღინიშნა სკკპ XXVI ყრილობაზე, — რომ სულ უფრო მეტად განვავითაროთ პიროვნება, და ამ შესაძლებლობებს კვლავაც გავზრდით[115].

ადამიანის აღზრდა, მიუთითებდნენ კ. მარქსი და ფ. ენგელსი, განპირობებულია კონკრეტულ-ისტორიული პირობე-

---

114 А. Чаковский, Литература, политика, жизнь, М., 1980, с. 208.

115 სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 98.

ბით. მისი შეცვლით იცვლება აღზრდის ადგილი და როლი საზოგადოების ცხოვრებაში, რაც უფრო მაღლა მიიწევს თავის განვითარებაში საზოგადოება, უფრო მდიდარი ხდება სოციალურ-ეკონომიკური პრაქტიკა, უფრო მეტად იზრდება აღზრდის როლი, რთულდება მის წინაშე მდგომი ამოცანები.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის მრავალმხრივ აღმზრდელობით მოღვაწეობაში გაიარა ოთხმა ძირითადმა ეტაპმა. პირველი მოიცავს ოქტომბრამდელ პერიოდს (90-იანი წლებიდან — 1917 წ.), როდესაც აღზრდის ამოცანებს განაპირობებდა მშრომელთა ბრძოლა ცარიზმის წინააღმდეგ და მიმართული იყო მუშათა კლასის თვითშეგნების ფორმირებისაკენ.

მეორე ეტაპი დაკავშირებულია სოციალისტური საზოგადოების მშენებლობასთან (1917 წ. — 30-იანი წლების შუა პერიოდი).

მესამე ეტაპზე (30-იანი წლების შუა პერიოდი — 60-იანი წლების დასაწყისი) ჩვენს ქვეყანაში დასრულდა სოციალიზმის მშენებლობა და მშრომელთა ძირითად მასაში ჩამოყალიბდა სოციალისტური პიროვნების თვისებები.

მეოთხე ეტაპისათვის (60-იანი წლებიდან) დამახასიათებელია კომუნისტური აღზრდის ფართოდ გაშლა, რომელსაც პარტია უყურებს, როგორც კომუნიზმის მშენებლობის მეტად მნიშვნელოვან ფრონტს[116].

ჩვენს ქვეყანაში მილიონობით ადამიანია და ყოველი მათგანი მთელი სამყაროა, თავისთავად უნიკალური და განუმეორებელი. და, რა თქმა უნდა, აღზრდის სისტემა რაციონალუ-

---

[116] Теория и практика коммунистического воспитания, М., 1980, с. 99—100.

რად უნდა იქნეს აგებული. ახალი პიროვნების ფორმირება ხდება განსხვავებული ტიპის კოლექტივებში: სკოლაში, არმიაში, წარმოებაში. ყოველი კოლექტივი წარმოადგენს სპეციფიკურ მიკროსამყაროს. ამ სიაში რამდენადმე განსაკუთრებულად დგას ოჯახი, სადაც სათავეს იღებს პიროვნების ზნეობრივი საწყისი. ამავე დროს აღზრდის რეალური პროცესი არ იზღუდება სასკოლო კლასებითა და უმაღლესი სასწავლებლის აუდიტორიებით. ის ხორციელდება ქარხანასა და მინდორში, საზოგადოებრივ ორგანიზაციებში.

აღზრდის პროცესში ადგილი აქვს სოციალურ ურთიერთმოქმედებას სუბიექტსა და ობიექტს შორის. აღზრდის სუბიექტი შეიძლება იყოს, როგორც ინდივიდი (წარმოების, დაწესებულების ხელმძღვანელი, პედაგოგი), ისე ჯგუფი (კოლექტივი, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციები, შრომითი კოლექტივები, სკოლა და ოჯახი).

თავის მხრივ აღზრდის ობიექტი შეიძლება იყოს როგორც ინდივიდი, ასევე კოლექტივი, სოციალური ჯგუფი, კლასი. ამავე დროს აღზრდის პროცესს არ უნდა შევხედოთ, როგორც ცალმხრივ პროცესს, ე. ი. სუბიექტის მოქმედებას ობიექტზე. აღზრდის სუბიექტად არ უნდა ვიგულისხმოთ მხოლოდ სახელმწიფო თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები. ასეთს წარმოადგენს თვითონ ადამიანი. ამიტომ სამართლიანია გამოთქმა, რომ აღზრდა განუყოფელია თვითაღზრდისაგან[117].

რაც შეეხება ინტერნაციონალურ აღზრდას, მართალია, ჩვენს დროში ინტერნაციონალიზმის იდეები მთელი საზოგადოების კუთვნილებაა, მაგრამ ამავე დროს ისიც უდავოა, რომ

---

[117] Теория и практика коммунистического воспитания, М., 1980, с. 35.

მშრომელთა სხვადასხვა სოციალური ფენა ინტერნაციონალური შეგნების სხვადასხვა დონეზე იმყოფება, ამის შესაბამისად მათ ცნობიერებაში ინტერნაციონალიზმის იდეები და დანიშნულება სხვადასხვაგვარად აღიქმება. ამიტომაც დიფერენცირებული მიდგომა სხვადასხვა კატეგორიისა და ჯგუფის მშრომელებთან — ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობის ამაღლებისათვის.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ინტერნაციონალური ერთობა და ძმობა ეროვნული ურთიერთობის სფეროში არ ლახავს რომელიმე მოკავშირე რესპუბლიკის უფლება-მოვალეობას, რადგანაც სსრ კავშირი არის სოციალისტური ფედერალიზმის პრინციპებზე დაფუძნებული ერთიანი მრავალეროვანი სახელმწიფო. საბჭოთა კავშირში შემავალი ყოველი მოკავშირე რესპუბლიკა წარმოადგენს სუვერენულ სახელმწიფოს, რომელიც დამოუკიდებლად ახორციელებს სახელმწიფო ხელისუფლებას თავის ტერიტორიაზე. ყოველ მოკავშირე საბჭოთა რესპუბლიკას აქვს თავისი კონსტიტუცია, რომელიც შექმნილია სსრ კავშირის კონსტიტუციის პრინციპების საფუძველზე და ითვალისწინებს რესპუბლიკის თავისებურებებს, აქვს თავისი ხელისუფლების ორგანოები, მმართველობა, სამართალი, თავისი კანონმდებლობა.

ეროვნული ურთიერთობა ერთა და ეროვნებათა ურთიერთმოქმედების მთელი კომპლექსია. ეს არის მშრომელთა წარმომადგენლობის საკითხიც რესპუბლიკებისა და მთლიანად კავშირის პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებში. ეს არის საბჭოთა ადამიანების აღზრდაც ყველა ერისა და ეროვნების ურთიერთპატივისცემისა და მეგობრობის, თავისი დიადი საბჭოთა სამშობლოსადმი სიყვარულის, ინტერნაციონალიზმის, სხვა ქვეყნების მშრომელებთან სოლიდარობის სულისკვეთე-

ბით. ეს არის სოციალისტური დემოკრატიის შემდგომი გაღრმავებაც და ბევრი სხვა რამ.

კოლექტივიზმისა და ამხანაგობის ატმოსფერო, ყველა ერისა და ეროვნების შეკავშირება, მეგობრობა, საზოგადოების ზნეობრივი სიჯანსაღე, ნამდვილი დემოკრატიზმი და სოციალური ოპტიმიზმი, სოციალისტური მორალისაგან გადახვევებისადმი შეურიგებელი დამოკიდებულება საბჭოური ცხოვრების წესის უმნიშვნელოვანესი მხარეებია.

თანამედროვე პირობებში, როდესაც ქვეყნის მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკებში, ავტონომიურ მხარეებში და ნაციონალურ ოლქებში დამკვიდრდა და განმტკიცდა ერთტიპური სოციალური სტრუქტურა, ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასი გადამწყვეტ როლს თამაშობს საბჭოთა საზოგადოების ინტერნაციონალური ერთობისა და ხალხთა შეგობრობის განმტკიცებაში. ეს ყოველივე განპირობებულია მისი ხვედრითი წილის სიდიდით კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის საქმეში, აგრეთვე რევოლუციური და შრომითი ტრადიციების სიმდიდრით. ამასთანავე ერთად მუშათა კლასი წამყვან როლს თამაშობს ჩვენი ქვეყნის ყველა ერის განვითარებასა და აყვავებაში, რაც პირველ რიგში განპირობებულია კომუნისტური მსოფლმხედველობის გაბატონებით მთელ საზოგადოებაში. მეორე, ის ადუღაბებს ყველა მშრომელის ერთობას, რომელიც დამახასიათებელია ახალი სოციალური და ინტერნაციონალური ერთობისათვის — საბჭოთა ხალხისათვის; მესამე, ყოველი ეროვნების მუშათა კლასი მთავარი ნაწილია ერთიანი საბჭოთა მუშათა კლასისა, რომელიც აქტიურ მებრძოლად გამოდის ხალხთა მთელი ეროვნული განვითარებისა, ის წარმოადგენს სოციალისტური

ინტერნაციონალიზმის მატარებელს, ერთა დაახლოების მთავარ ძალას[118].

სოფლის მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის კვალობაზე ღრმა ცვლილებები ხდება გლეხობის ცხოვრებაში. თანდათან ისპობა განსხვავება მუშისა და გლეხის სოციალურ მდგომარეობას შორის, რაც დაკავშირებულია, უწინარეს ყოვლისა, მათი შრომის თანდათანობით მსგავსებასთან, სოციალისტური საკუთრების ორი ფორმის დაახლოებასთან, სამეურნეობათაშორისო ორგანიზაციების განვითარებასთან, რომელთა შემადგენლობაში შედის კოლმეურნეობებიც და სახელმწიფო საწარმოებიც.

ასევე ფარტო მეცნიერებაში, განათლებასა და კულტურაში, არამედ წარმოებაშიც სულ უფრო მნიშვნელოვან როლს ასრულებს ინტელიგენცია, რომლის რაოდენობა სწრაფად იზრდება.

მეთორმეტე ხუთწლიანი გეგმის შესრულებისათვის თავდადებული შრომა ხელს უწყობს მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის კიდევ უფრო დაახლოების პროცესს, საბჭოთა ხალხის ერთიანობის განმტკიცებას, საბჭოთა საზოგადოების ერთგვაროვნობის ჩამოყალიბებას.

უკანასკნელი წლების მანძილზე ზოგიერთ რესპუბლიკაში მნიშვნელოვნად გაიზარდა არამკვიდრ ეროვნებათა მოქალაქეების რიცხვი. მათ აქვთ თავიანთი სპეციფიკური მოთხოვნილებანი ენის, კულტურისა და ყოფის სფეროში[119]. და თუ ჩანს, რომ ეს ადამიანები მონაწილეობას იღებენ საზოგადოებრივ-

---

118 Национальные отношения в развитом социалистическом обществе, М., 1977, с. 101.

119 სკკპ XXVI ყრილობის მასალები, თბ., 1981, გვ. 87.

პოლიტიკურ ცხოვრებაში, არჩეული არიან საბჭოთა, პროფკავშირულ და სხვა ორგანოებში, რომ ყოველდღიური მჭიდრო ურთიერთობა აქვთ ადგილობრივ მოსახლეობასთან, მაშინ გასაგები ხდება, თუ როგორი დიდი მნიშვნელობა გააჩნია მათთვის ადგილობრივი ენის ცოდნას, განსაკუთრებით სასოფლო რაიონებში. აქვე აღვნიშნავთ რომ სოციოლოგიური გამოკვლევების შედეგებმა, რომელიც ჩატარდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეთნოგრაფიის ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ ი. არუთინიანის ხელმძღვანელობით, გვიჩვენა, რომ რუსების აბსოლუტური უმრავლესობა დაბადებული ან დიდი ხნის მანძილზე მცხოვრები საქართველოში, იღებენ ქართველების ყოველდღიური ქცევის ნორმებს, ფლობენ ქართულ ენას და არ ცდილობენ შეიცვალონ საცხოვრებელი ადგილი[120].

ხალხთა მეგობრობას მტკიცედ ადუღაბებს ტრადიციული შეჯიბრებები მოძმე რესპუბლიკების შრომითს კოლექტივებთან. შეჯიბრების მონაწილეები ერთმანეთს უზიარებენ თავიანთ გამოცდილებას, ეხმარებიან ახალი მიჯნების მიღწევაში.

მშრომელთა ინტერნაციონალური აღზრდის მნიშვნელოვანი საშუალებაა სახალხო დღესასწაულების მოწყობა მშრომელთა ფართო მასების მონაწილეობით, ზეიმები და შეკრებები, დაძმობილებული ქალაქებისა და რაიონების დელეგაციათა გაცვლა კიდევ უფრო განამტკიცებს ჩვენი ხალხის ინტერნაციონალურ თანამეგობრობას.

ეროვნულ ურთიერთობათა გამოვლინების ერთ-ერთი ყვე-

---

[120] Л. М. Дробижева, Формирования культуры межнационального общения—социальная политика и национальные отношения, М., 1982, с. 170—171.

ლაზე შესანიშნავი საშუალებაა კულტურული ურთიერთობა. საყოველთაოდ ცნობილია, რომ არც ერთ ერს არ ძალუძს განვითარდეს სხვა ხალხებთან ურთიერთობის გარეშე. არც ერთ ეროვნულ კულტურას არ შეუძლია განვითარდეს იზოლირებულად, სხვა კულტურებისაგან მოწყვეტით, ისე რომ არ ეზიაროს მსოფლიო კულტურის საგანძურს. ხალხთა გარდუვალი ურთიერთობის პროცესში არც ერთი ხალხი არ არის გავლენის არც მხოლოდ სუბიექტი, არც მხოლოდ ობიექტი, გავლენა ყოველთვის ორმხრივია. ამავე დროს „ერმა, როგორც სოციალურმა ორგანიზმმა, არ შეიძლება იარსებოს თავისი ეროვნული კულტურის გარეშე, დამოუკიდებლად იმისა თუ რამდენად არის „თავისი"[121]. ხალხთა შორის ჯანსაღ, ნამდვილად ინტერნაციონალისტურ ურთიერთობებს სულაც არ უშლის ხელს მათი ფსიქიკური განსხვავებულობანი. პირიქით, მათ შორის ურთიერთობანი სტიმულირდება და უფრო საინტერესო ხდება არა ფსიქიკური და კულტურული თავისებურებების წაშლით, არა მათი აბსოლუტური ნიველირებით, არამედ ამ თავისებურებების შენარჩუნებითა და შემდგომი განვითარებით[122]. თუმცა ეკონომიკური და სოციალური (ვიწრო აზრით) განვითარების მხრივ მთელი პლანეტის მასშტაბით მძლავრად გაიშალა ნიველირების პროცესები, მაგრამ ამ მხრივ უნიფიკაციის მიუხედავად, განსხვავებულობანი სულიერ კულტურაში, ეროვნულ ხასიათსა და საერთოდ ეროვნულ ფსიქოლოგიაში კვლავაც დიდხანს დარჩება[123]. როგორც ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, ეროვნული განსხვავებულობანი კიდევ ძა-

---

[121] Развитие советского народа — новой исторической общности, М., 1980, с. 72.

[122] გ. ყორანაშვილი, ეთნოფსიქოლოგია და ტრადიციები, თბ., 1983, გვ. 5.

[123] იქვე, გვ. 28.

ლიან, ძალიან დიდხანს დარჩება მას შემდეგაც კი, რაც პროლეტარიატის დიქტატურა განხორციელდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით[124].

ხელოვნების ინტერნაციონალური ბუნება მისი სპეციფიკის, მისი ენის ზოგადობაშია. თანამედროვე ადამიანები პლანეტაზე ერთ დროს ცხოვრობენ და მიუხედავად სხვადასხვა კონტინენტისა, ეროვნებისა, სოციალურ-პოლიტიკურ წყობათა სხვაობისა, პროგრესულად მოაზროვნე ადამიანები ბევრ მოვლენას ერთნაირად აღიქვამენ და ერთნაირად ხედავენ, მათ ერთნაირად აღელვებთ სილამაზე და ერთნაირად აღაშფოთებთ სიმახინჯე. ამიტომ არ არის გასაკვირი, თუ გამოსახვის თანამედროვე საშუალებები მათ ნათესაური აღმოაჩნდებათ. საუკუნის ტოტალური ინფორმაცია სწორედ ის ძალაა, რომელიც აჩქარებს ამ ნათესაობას.

საბჭოთა კულტურა, მისი ჩასახვიდან ვითარდებოდა როგორც ინტერნაციონალური, რადგან მას საფუძვლად ედო კომუნიზმის იდეალები. საბჭოთა იდეოლოგიის დედაარსი ერთა ურთიერთობის დარგში ასეთია: „საბჭოთა ადამიანები ფიქრობენ, რომ ყოველ ერს — სულ ერთია — დიდსა თუ მცირეს, თავისი თვისებრივი თავისებურებანი, თავისი სპეციფიკა აქვს, რომელიც მხოლოდ მას ეკუთვნის. და რომელიც სხვა ერებს არ მოეპოვებათ. ეს თავისებურებანი ის წვლილია, რომელიც ყოველ ერს მსოფლიო კულტურის საგანძურში შეაქვს და ავსებს, ამდიდრებს ამ საგანძურს. ამ აზრით ყველა ერი მცირეც და დიდიც — თანაბარ მდგომარეობაშია, და თითოეული ერი ყოველი სხვა ერის თანაბარმნიშვნელოვანია" (ი. ბ. სტალინი).

---

124 ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 31, გვ. 97—98.

საბჭოთა საზოგადოების ისტორიის მთელმა გამოცდილებამ ბრწყინვალედ დაადასტურა ლენინიზმის ის დებულება, რომ სოციალიზმის დროს კი არ ქრებიან ეროვნული განსხვავებანი, ცალკეული ხალხების ეროვნული ენა, კულტურა და ყოფა-ცხოვრება, არამედ ახალ შინაარსს ჰპოვებენ ახალი საზოგადოებრივი წყობილების პირობებში, გიგანტური ძალით ვითარდებიან და, ამრიგად, სრულყოფილი ხდება ყველა ხალხის ეროვნული ინდივიდუალობა.

მრავალეროვანი საბჭოთა ლიტერატურისა და კულტურის ჩამოყალიბების საქმეში დიდი პოლიტიკური მოვლენა იყო სსრ კავშირის შექმნა, რომელმაც თვისებრივად ახალ ურთიერთობას დაუდო სათავე ჩვენი ქვეყნის ხალხებს შორის. შათი ერთიანობა იწრთობოდა და მტკიცდებოდა ინდუსტრიალიზაციის, კოლექტივიზაციისა და კულტურული რევოლუციის დროს, სოციალიზმის აშენებისათვის ბრძოლაში. საბჭოთა ლიტერატურა თვისებრივად ახალი მოვლენაა მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში. ეს არის სრულიად ახალი ტიპის მწერლობა, რომლის მსგავსს არ იცნობს მსოფლიო ლიტერატურის ისტორია. დღეს საბჭოთა მრავალეროვანი ლიტერატურა არსებობს სსრკ 77 ერისა და ეროვნების ენაზე. ასეთი რამ არ ყოფილა. მსოფლიომ არ იცოდა მეორე ლიტერატურა, რომლის საუკეთესო შემოქმედებითი მიღწევები შექმნილიყო ამდენი სხვადასხვა ეროვნების შემოქმედთაგან, საბჭოთა მწერლების კავშირს აქვს ფართო პერიოდიკა. მისი გრიფით გამოდის 86 ჟურნალი მრავალ ენაზე, 16 გაზეთი, ათობით ალმანახი — 11 მილიონ ეგზემპლარზე მეტი ტირაჟით. ჩვენი ლიტერატურული ბეჭდვითი სიტყვა ცხოველმყოფელი დადასტურებაა იმისა, რომ ლენინიზმმა, პარტიამ ჩვენ მოგვცა არა მხოლოდ რევოლუციური ლიტერატურის ახალი პრინციპები,

არამედ, მისი გამოცემის ორგანიზაციულ-მატერიალური ფორმებიც.

საბჭოთა ლიტერატურის საფუძველია თვითონ ცხოვრება, სოციალისტური გარდაქმნის ცოცხალი პრაქტიკა, პარტიის იდეები, კომუნიზმის იდეალები. ლიტერატურის ეს ჩაუქრობელი წყარო იყო და რჩება უდიდეს მამოძრავებელ ძალად, შინაგან ზამბარად მხატვრული შემოქმედების ყველა ჟანრის განვითარებაში, კანონზომიერია რომ სწორედ საბჭოთა ლიტერატურამ შექმნა მწერლის ახალი ტიპი, პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, რომლის ცხოვრება და შემოქმედება, მრავალმხრივი მოღვაწეობა ყოველთვის გამოხატავდა ხალხთა ძმობასა და მეგობრობას. თაობათა ხსოვნაში ასეთ მწერლებად დარჩნენ მაქსიმ გორკი და ვლადიმერ მაიაკოვსკი, ასეთი მწერლები იყვნენ ალექსანდრე ფადეევი, ნიკოლოზ ტიხონოვი, კონსტანტინე ფედინი, მაქსიმ რილსკი და პაბლო ტიჩინა, მუხტარ აუზოვი და მირზო ტურსუნ-ზადე, გაფურ გულიამი და ანდრეი უპიტი, პეტრუს ბროვკა და იუხან სმუული, ბერდი კურბაბაევი და სამედ ვურღუნი, გალაქტიონ ტაბიძე, გიორგი ლეონიძე და დიმიტრი გულია და სხვ.

მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის იდეურ ერთიანობას, ინტერნაციონალური კულტურის ფორმებს კიდევ უფრო ინტენსიური ხასიათი აქვს სოციალიზმის სრულყოფის პირობებში, როდესაც ჩამოყალიბდა ადამიანთა ახალი ისტორიული და ინტერნაციონალური ერთობა. სოციალისტური კულტურა ვითარდება ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის საფუძველზე, ერთა კავშირის, ერთიანი პოლიტიკისა და სახელმწიფოებრიობის პირობებში. ცალმხრივი დახმარების ნაცვლად, რომელიც წინა პერიოდისათვის იყო დამახასიათებელი, ძალაში შევიდა ურთიერთდახმარება, ურთიერთგავლენა და ურთიერთ-

გამდიდრება. ეროვნულ კულტურებს რომ სპეციფიკა არ ახასიათებდეთ, ერთფეროვანი იყვნენ და მათი განვითარების დონეები ემთხვეოდნენ ერთიმეორეს, მაშინ არც დაახლოებას ექნებოდა ადგილი და არც ურთიერთგამდიდრებას, რადგანაც მათ პრაქტიკულად არაფერი ექნებოდათ შესასწავლი და ასათვისებელი ერთიმეორისაგან.

საბჭოთა კულტურის აწმყო და მომავალი შეუძლებელია გავიზიაროთ ეროვნული კულტურის ფესვების გარეშე. ეროვნული კულტურის თავისებურების თითოეული კომპონენტი დაკავშირებულია კონკრეტულ ისტორიულ პირობებთან. მაგალითად, ქართველი ხალხის სულიერი კულტურის განვითარების კანონზომიერებებსა და თავისებურებებზე მსჯელობისას, გარდა სოციალურ-ეკონომიკური მიზეზებისა, აუცილებელია გავითვალისწინოთ წინა საუკუნეების საქართველოს საშინაო და საგარეო პოლიტიკური ფაქტორები. მრავალი სულიერი კატაკლიზმების, სოციალური ძვრების, ჩასახული იმედების ფონზე ხდებოდა ეროვნული ხასიათის ფორმირება. ეს პროცესი ფსიქოლოგიური სიღრმით ასახა ო. ჭილაძემ რომანში „ყოველმან ჩემმან მპოვნელმან“, გეოგრაფიულ-ბუნებრივი პირობები, გამუდმებული ბრძოლები, ქართველი კაცის მეურნეობრივი საქმიანობის ერთგვარ გამძლეობას, სიმტკიცეს მატებდა ქართველ ერს. კრიტიკულ მომენტში სრულად ვლინდებოდა ერის შესაძლებლობანი. ეპოქის აღქმით მოიპოვა წარმატება რეპინის ტილომ, სადაც ივანე მრისხანეს მიერ მისი შვილის მკვლელობის სცენაა ასახული, ქართული სინამდვილიდან მომდინარე ტკივილები გვიჩვენა შერაბ ბერძენიშვილმა ქანდაკებაში „კიდევაც დაიზრდებიან“ და სხვ.

ეროვნულ კულტურათა დაახლოების საქმეში დიდ როლს ასრულებს ლიტერატურული ურთიერთობანი: მთარგმნელო-

ბითი მუშაობის გაფართოება, ლიტერატურული დეკადები, ლიტერატურის დღეებისა და პოეზიის ე. წ. დღესასწაულების მოწყობა და ა. შ.

განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირჩევა ქართულ-რუსული მთარგმნელობითი ურთიერთობა. რუსულ ენაზე ქართული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების თარგმნა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია იმითაც, რომ ეს ნაწარმოებები ხელმისაწვდომი ხდება ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის ძირითადი ნაწილისათვის. რუსული ენიდან ხდება ქართული მწერლობის ნიმუშთა თარგმნა საბჭოთა კავშირისა და საზღვარგარეთის ხალხთა ენებზე. ამრიგად, რუსული ენა გამოდის ქართული ლიტერატურის პროპაგანდისტის როლში. ამიტომ შემთხვევითი არ არის ის დიდი ყურადღება, რასაც საქართველოს კომუნისტური პარტია იჩენს ქართული მხატვრული ლიტერატურის ნიმუშების რუსულ ენაზე თარგმნის მიმართ.

ქართული მხატვრული ლიტერატურის ცალკეულ ნაწარმოებებს რუსულ ენაზე თარგმნიდნენ საბჭოთა მწერლობის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები, როგორებიც არიან: ა. სურკოვი, ბ. პოლევოი, მ. ლუკონინი, ა. მეჟიროვი, ბ. ახმადულინა, ა. ვოზნესენსკი, ე. ევტუშენკო, ბ. რიურიკოვი, ვ. სოლოუხინი, ი. შკლიაროვსკი, ე. ნიკოლაევა, ე. ფეიგინი, ა. სტაროსტინი, ა. გლეზერი, კ. სიმონოვი, ე. ვინოკუროვი, მ. დუდინი, ი. გრინბერგი, ა. ახმატოვა, მ. სვეტლოვი, ა. ტარკოვსკი, ა. მეჟიროვი, ნ. გრებნევი, ნ. ტიხონოვი და სხვები.

ამ შესანიშნავი ოსტატებისადმი ჩვენი ხალხის სიყვარულის ერთ-ერთი გამოვლინება იყო ის, რომ ნიკოლოზ ტიხონოვს, ნიკოლოზ ზაბოლოცკისა და მიკოლა ბაჟანს რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდო — რუსთაველის სახელობის პრემია მიენიჭა.

პროლეტარული ინტერნაციონალიზმისა და საბჭოთა პატ-

რიოტიზმის სულისკვეთებით მშრომელთა აღზრდის ერთ-ერთ ყველაზე მოქმედ ფორმად ჩვენში იქცა საერთო-სახალხო იუბილეები მწერლებისა, მეცნიერებისა და საზოგადო მოღვაწეებისა. ჩვენი დიდი წინაპრების ცხოვრებისა და მოღვაწეობისადმი ცხოველმყოფელი დამოკიდებულება, მათი უკვდავი მემკვიდრეობის ფართო პოპულარიზაცია უკვე თვითონ წარმოადგენს ეროვნულ ურთიერთობათა ეფექტურ მაგალითს. რაც საბოლოო ჯამში ემსახურება საბჭოთა ერებისა და ეროვნებების დაახლოებას.

ერთობლივი სამეცნიერო კონფერენციები, სესიები, სიმპოზიუმები, სემინარები და თათბირები, რომლებსაც აწყობენ სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წამყვანი ინსტიტუტები, სამეცნიერო საბჭოები, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სამეცნიერო დაწესებულებებთან და სამეცნიერო საბჭოების რესპუბლიკურ სექციებთან ერთად, წარმოადგენენ სამეცნიერო კავშირურთიერთობისა და ურთიერთინფორმირების ერთ-ერთ ქმედით ფორმას, რაც აგრეთვე ხელს უწყობს ეროვნულ ურთიერთობათა გამდიდრებას.

საბჭოთა კავშირის ხალხთა მეგობრობის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს ერევნელი სერო ხანდაზიანისა და მოსკოველი იოსებ გრინბერგის წერილები ჟურნალ „პარტიული სიტყვის“ რედაქციისადმი. სერო ხანდაზიანი გულწრფელი სიყვარულით მიმართავს ქართველ ერს: „...ყოველი ქართველი ჩემი ძმაა! ყოველი გოჯი მიწა-წყალი — დიადი ცივილიზაციისა და სინათლის წყარო — ახლობელია ჩემთვის და ჩემი თანამემამულეებისათვის. მოგესალმებით თქვენ, ჩემო ძვირფასო დებო და ძმებო — ვრაცინერებო, მოგილოცავთ და ვეთაყვანები მიწას თქვენსას. დაე, მარად ცოცხლობდეს კლასიკური ქართული ენა, დაე, მარადიული იყოს სიბრძნე მისი!“.

იოსებ გრინბერგი აღნიშნავს „საქართველოს, ქართულ კულტურას დიდმნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩემს სულიერ ცხოვრებაში. კარგა ხანია — ორმოციან-ორმოცდაათიანი წლებიდან საქართველოში ჩამოსვლა ჩემთვის დიდმნიშვნელოვანი, სასიხარულო მოვლენა არის ხოლმე. მე მქონდა ბედნიერება და პატივი შევხვედროდი ჯერ კიდევ უფროსი თაობის ქართული საბჭოთა პოეზიის დიდოსტატებს — ბრწყინვალე გოგლა ლეონიძეს, უბრძნეს სიმონ ჩიქოვანს, ვიცნობდი აგრეთვე შესანიშნავ რომანისტს აკაკი ბელიაშვილს. სამოციან-სამოცდაათიან წლებში კიდევ უფრო მოვუხშირე საქართველოში სტუმრობას. გამიჩნდა სხვადასხვა თაობის ახალი გულითადი მეგობრები — კარლო კალაძე, რევაზ მარგიანი, გრიგოლ აბაშიძე, მორის ფოცხიშვილი. ეს ერთდროულად ლიტერატურული და სულიერი ძმობა-მეგობრობაა.

ჩემზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ქართული ლიტერატურის დღესასწაულებმა, სულის უდიდესი ბუმბერაზების — უკვდავი შოთას, უფაქიზესი ნიკოლოზის, ჩვენი უბადლო თანამედროვის გალაკტიონის იუბილეებმა. ყოველი ასეთი მოგზაურობა ერთდროულად მშვენიერ საქართველოს მიწა-წყალთან შეხვედრაც იყო. და კიდევ დამახსომდა ცხაკაიაში გატარებული დღეები. გამრჯე და ოსტატ მეჩაიეთა გაცნობა, საუბრები მათს სტუმართმოყვარულ სუფრასთან თუ მინდვრად. ყოველივე ეს ჩემს სულში იჭრებოდა, აღავსებდა მას მრავალსაუკუნოვანი განახლებული და მრავალფეროვანი კულტურისადმი ღრმა პატივისცემით. თანამედროვე საქართველოს არა მარტო ლიტერატურა, არამედ თეატრიც, კინოც, აღგვაფრთოვანებენ თავიანთი ნიჭიერებით, თანამედროვეობის მწვავე შეგრძნებით, ღრმა შთაგონებით...“[125].

---

125 პარტიული სიტყვა, № 20, 1980, გვ. 15.

ისტორია აახლოებს ადამიანებს, ამტკიცებს სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენელთა ურთიერთობას. ჟამთასიავით გაყვითლებული ფოლიანტები თუ ეტრატები მოაგონებენ ადამიანებს ხალხთა ურთიერთობის ისტორიას, როცა დუღაბდებოდა რუსი და ქართველი, სომეხი და უკრაინელი ხალხების მეგობრობა. სწორედ ისტორიული წიაღიდან აღმოცენდა ახმეტის რაიონის მშრომელების განსაკუთრებული მეგობრული ურთიერთობა „იმ რაიონის მშრომელებთან, რომელთა ტერიტორიაზეც ციხესიმაგრე გეორგიევსკში იშვა ძმობის ისტორიული დოკუმენტი". 1976 წლიდან ორი რაიონი ერთ ოჯახად შეკავშირდა. ძმად შეიფიცა[126]. დაძმობილებული რაიონების მშრომელთა შვილებმაც ადვილად გამოძებნეს საერთო ენა. ახმეტელი და გეორგიევსკელი მოსწავლეები ყოველ ზაფხულს ერთმანეთის პიონერთა ბანაკებში ატარებენ. რუსი და ქართველი პიონერები ერთად იზრდებიან, ერთად ისვენებენ, ერთად ეზიარებიან მეგობრობისა და ინტერნაციონალიზმის მადლს.

შრომითს მეტოქეობაში ჰედენ მეგობრობას ახმეტისა და გეორგიევსკის ავტოსატრანსპორტო საწარმოების, ბიოქიმიური ქარხნების, ადგილობრივი მრეწველობის კომბინატებისა და სხვა შრომითი კოლექტივები.

კულტურული ურთიერთობისა და ეროვნულ კულტურათა ურთიერთგამდიდრების სფერო სოციალისტური ერების შემდგომი დაახლოების უმნიშვნელოვანესი ფაქტია. ეროვნულ კულტურათა დაახლოება საბჭოთა ხალხების შემდგომი დაახლოების საერთო პროცესის შემადგენელი ნაწილია. იგი საზოგადოებრივი პროგრესის ობიექტური მოთხოვნილებაა.

---

126 კომუნისტი, 1982, 25 თებერვალი.

ერების დაახლოება კულტურის დარგში მით უფრო ძლიერდება, რაც უფრო ვითარდება და სრულყოფილი ხდება საზოგადოებრივი ურთიერთობა. განვითარებული სოციალიზმის კონსტიტუციაში ცალკე თავი ეთმობა „სოციალურ განვითარებას და კულტურას", რაც კიდევ ერთხელ მიუთითებს, რომ კომუნისტური პარტია და მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობენ ეროვნული კულტურების განვითარებას.

ბურჟუაზიული იდეოლოგები, როგორც ზევით აღვნიშნეთ, აკრიტიკებენ ეროვნულ ურთიერთობათა მდგომარეობას სოციალიზმის ქვეყნებში, მაშინ, როდესაც თანამედროვე ცივილიზებული მსოფლიოსათვის ყველაზე სამარცხვინოა რასობრივი დისკრიმინაციის ყველაზე საზიზღარი პოლიტიკა. ზანგებისათვის თეთრკანიანებთან ერთ შენობაში და ქალაქის ერთ ნაწილში ცხოვრების, თეატრში, კინოში, რესტორანსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში ერთად ყოფნის აკრძალვა, რასობრივი მტრობა, ეროვნული სიძულვილი, რასობრივ და ეროვნულ გრძნობებზე სპეკულაცია დიდი ხნის წინათ დამკვიდრებული ბურჟუაზიული ცხოვრების წესის შემადგენელ ნაწილად იქცა.

ინდიელი მწერლის უ. მეიერის მონაცემებით, რეზერვაციებში მყოფი ინდიელების სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობა 43 წელს შეადგენს, ხოლო არიზონაში და ალიასკაზე — მხოლოდ 33. თითქმის 50 მილიონი ამერიკელი წარმოადგენს ეროვნული და რასობრივი ჩაგვრის მსხვერპლს[127].

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გადაწყვეტილებით

---

[127] Джон Питман, США—страна расового и национального угнетения, — о национальном вопросе капиталистических странах, Прага, 1981, с. 4, 11, 14.

1983 წლის 10 დეკემბრიდან დაიწყო რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მეორე ათწლეული. ამ საკითხის თაობაზე მიღებულ რეზოლუციაში ხაზი გაესვა, რომ მილიონობით ადამიანი თანამედროვე მსოფლიოში სულ უფრო ხშირად ეწირება სხვადასხვა ფორმის რასობრივ ჩაგვრას. გენერალურმა ასამბლეამ დაამტკიცა მომავალი ათწლეულის მოქმედების პროგრამა, რომელიც მიღებულ იქნა 1983 წლის აგვისტოში ჟენევაში გამართულ რასიზმისა და რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის მეორე მსოფლიო კონფერენციაზე. და მოუწოდა ყველა სახელმწიფოს ითანამშრომლოს მისი განხორციელებისათვის.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და მისმა მოკავშირეებმა ვერ გაბედეს აშკარად გაელაშქრათ საერთაშორისო გაერთიანების ამ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილების წინააღმდეგ. მაგრამ საიდუმლო აღარ არის, რომ აპარტეიდისა და სიონიზმისათვის ვაშინგტონის მხარდაჭერა, ამერიკის შეერთებული შტატების მმართველი წრეების მიერ საკუთარ ქვეყანაში რასიზმის წაქეზება მთავარ წინააღმდეგობას ქმნის გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ გამოცხადებული მიზნების განხორციელების გზაზე. საგულისხმოა, რომ ჟენევის კონფერენციაზე მთელმა რიგმა იმპერიალისტურმა სახელმწიფოებმა ხმა მისცეს რასიზმთან ბრძოლის პროგრამის მიღების წინააღმდეგ, ხოლო ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საერთოდ უარი თქვა მონაწილეობა მიეღო ამ მნიშვნელოვან საერთაშორისო ფორუმში[128].

საბჭოთა ხალხების ერთიანობა ყველაზე დამაჯერებლად ადასტურებს ჩვენი იდეალების მაღალ ზნეობრივ და პოლი-

---

128 კომუნისტი, 1983, 25 ნოემბერი.

ტიკურ ძალას, რომელმაც შეაკავშირა ადამიანები მათი ეროვნული კუთვნილების მიუხედავად.

ეროვნული საკითხი რთული და დელიკატური საკითხია. იგი განსაკუთრებულ ტაქტს, განსაკუთრებულ სიმტკიცესა და ვანსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს. მაგრამ დელიკატურობა სულაც არ ნიშნავს უპრინციპობას, როცა ამას გარემოება მოითხოვს, იგი არ უნდა გვიშლიდეს ხელს გამოვიჩინოთ გაბედულება, უაღრესად მტკიცედ წინაღუდგეთ შოვინიზმისა და ნაციონალიზმის, ეროვნული შეზღუდულობისა და ეროვნული განსაკუთრებულობის ყოველგვარ გამოვლინებას. ხალხთა მეგობრობისა და ძმობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის დაცვა ჩვენი წმიდათაწმიდა მოვალეობაა.

* * *

დასავლეთის პროპაგანდისტულ რეპერტუარში ფართო ადგილი აქვს დათმობილი ჩვენს რესპუბლიკას. ბურჟუაზიული იდეოლოგიის მიერ საბჭოთა საქართველოს ისტორიის ფალსიფიკაციას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან ჩაეყარა საფუძველი.

მეორე მსოფლიო ომამდე დასავლეთში საბჭოთა საქართველოს ისტორიაზე მუშაობდნენ საზღვარგარეთ გაქცეული ემიგრანტები და მათი ეპიგონები, რომლებიც ძირითადად იმყოფებოდნენ საფრანგეთში და გერმანიაში[129]. მენშევიკებისა

---

[129] А. Атанелишвили, Против буржуазной фальсификации истории Советской Грузии, Тб., 1983, с. 13.

და ბურჟუაზიული ნაციონალისტების შრომებისათვის დამახასიათებელი იყო ანტიმეცნიერულობა, რაც ძირითადად ფაქტების არასწორ შეფასებაში მდგომარეობდა[130]. მიმდინარე ეტაპზე არსებითად არაფერი შეცვლილა. დასავლეთის პრესა ხმაურობს, ანტიკომუნიზმის მედროშეები, „სოვეტოლოგები" ყოველნაირად ცდილობენ გააყალბონ ისტორიული სიმართლე.

არარუსი ხალხების რუსეთთან შეერთების პროცესს ისინი წარმოგვიდგენენ, როგორც ცალმხრივ აქტს, როგორც მხოლოდ და მხოლოდ ცარიზმის დაპყრობითი პოლიტიკის შედეგს. ამავე დროს, გულდაგულ ჩქმალავენ იმ დიდმნიშვნელოვან ფაქტს, რომ არარუს ხალხებში, რომლებიც ახლა ერთიან საბჭოთა ოჯახში შედიან, არსებობდა რუსეთთან დაკავშირების, რუსეთის დიდი სახელმწიფოს მფარველობის ქვეშ შესვლის საუკუნოვანი მისწრაფება, რომ მათი შეერთება რუსეთთან ორმხრივი დაინტერესების შედეგი იყო და მან ობიექტურად პროგრესული როლი შეასრულა ამ ხალხთა ისტორიულ განვითარებაში.

კოლუმბიის უნივერსიტეტში დაიბეჭდა როულენს რაილენდის წიგნი კავკასიის რუსეთთან შეერთების თაობაზე, სადაც მთავარი ყურადღება საქართველოს საკითხს აქვს დათმობილი. ავტორი მიუთითებს ცარიზმის მისწრაფებაზე — განემტკიცებინა პოზიციები მახლობელ აღმოსავლეთში, ეხება რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებს XVII-XVIII საუკუნეებში, მაგრამ იგი გვერდს უვლის, არ ხსნის, თუ რა აუცილებლობით იყო გამოწვეული საქართველოს რუსეთთან

---

130 ამ საკითხებზე ვრცლად იხილეთ: გ. ე ვ ა ნ ი ა, საქართველოს სინამდვილე და ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები, თბ., 1985,

შეერთება. ცხადია, რომ ამ წანამძღვრების უგულვებელყოფა ამახინჯებს გეორგიევსკის ტრაქტატის არსსა და მნიშვნელობას[131]. ცდებიან ისინი, ვინც ფიქრობს თითქოს გეორგიევსკის ტრაქტატის დადებისა და რუსეთთან შეერთების შემდეგ ეროვნული ეკონომიკა მოშლილიყოს. პირიქით, მშვიდობიანობის დამყარებამ ხელი შეუწყო ეროვნული ეკონომიკის აღმავლობას. საქართველოს რუსეთთან შეერთებამ აგრეთვე არამცთუ არ მოუშალა ერს ფსიქიკური წყობის ერთობა, ეროვნული ხასიათი, ეროვნული კულტურა, როგორც ჩვენი იდეური მტრები ამტკიცებდნენ, არამედ, პირიქით, რუს ხალხთან მეგობრობის პერიოდში კიდევ უფრო განამტკიცა ერის ფსიქიკური წყობა, ეროვნული ხასიათი, ეროვნული კულტურა.

რუსეთისა და საქართველოს ხალხების ძმობისა და მეგობრობის დიდი მანიფესტის — გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავის იუბილე აღინიშნა არა მარტო საბჭოთა საქართველოში, რუსეთის საბჭოთა ფედერაციულ სოციალისტურ რესპუბლიკაში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირში, ყველა მოძმე რესპუბლიკაში, რადგან, ჯერ ერთი, სოციალისტური ერის ზეიმი ყველა მოძმე ერის ზეიმიც არის, და მეორეც, რუსეთის სახელმწიფო შემადგენლობაში შესვლამ საქართველოსა და ქართველი ხალხის ისტორიული ბედი დაუკავშირა არა მარტო რუსი ხალხის, არამედ რუსეთის დიდ სახელმწიფოში შემავალი ყველა ხალხის ბედს. ამიტომ ჩვენი ეროვნული დღესასწაული ყველა საბჭოთა ერისა და ეროვნების დღესასწაულიც გახდა.

ხალხთა ლენინური მეგობრობის ინტერნაციონალურ დღე-

---

131 საქართველოს კომუნისტი, 1983, № 10, გვ. 13.

სასწაულად, ქართველი საბჭოთა მეცნირების დღესასწაულად გადაიქცა 1983 წლის 1 ივლისს თბილისში გამართული სსრ კავშირისა და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გაერთიანებული საიუბილეო სამეცნიერო სესია, რომელიც მიეძღვნა გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. სესიაზე მეცნიერული პოზიციებიდან ღრმად დაასაბუთეს რუსი და ქართველი ხალხების მეგობრობის მანიფესტის სასიკეთო გავლენა არა მარტო მათს ბედზე, არამედ ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხის სვე-ბედზეც. სესიის მონაცემებმა გააანალიზეს ქართული მეცნიერების მიღწევები, დასახეს მისი შემდგომი განვითარების კონკრეტული გზები.

ბურჟუაზიულ-რეაქციული ისტორიოგრაფია განსაკუთრებული მონდომებით ცდილობს საქართველოსა და ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ისტორიის ფალსიფიკაციას. იგი უარყოფს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შესაძლებლობასა და კანონზომიერებას საქართველოსა და ამიერკავკასიაში. არა მარტო 1917 წლის ბოლოსა და 1918 წლის დასაწყისისათვის, არამედ თვით 1920—1921 წლებისათვისაც კი. ეს მას სჭირდება არა მეცნიერული ინტერესებისათვის, არამედ ბინძური პოლიტიკური მიზნებისათვის, იმისათვის, რომ „დაასაბუთოს“ ამიერკავკასიაში სოციალისტური რევოლუციის არაკანონზომიერი და შემთხვევითი ხასიათი, როგორც რუსეთიდან რევოლუციის — „ექსპორტის“ შედეგი, რაც, მათი აზრით, ხელ-ფეხს გაუხსნიდა იმპერიალისტურ ინტერვენციას ამიერკავკასიაში, დაგვიხატავდა მათ „გარედან თავს მოხვეული“ პოლიტიკური რეჟიმისაგან ამიერკავკასიის ხალხთა „განმათავისუფლებლად“[132]. აღნიშნულის დამტკიცე-

---

132 ი. კაჭარავა, ქართული ისტორიოგრაფიის საკითხები, თბ., 1962, გვ. 403.

ბას თავგამოდებით ცდილობენ რ. პაიპსი, ლ. შაპირო, ე. გუდბანი, ა. ლოუ, ქართველი თეთრემიგრანტი ხარიტონ შავიშვილი და სხვა მათი მსგავსი ბურჟუაზიული ფალსიფიკატორები.

ვ. ი. ლენინის მითითების საფუძველზე საქართველოს კპ(ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა მიმართვა გაუგზავნა ყველა ქვეყნის კომუნისტურ პარტიებს, მუშათა კლასს. „ინგლისის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და საფრანგეთის მოძალადეები, — ნათქვამია საქართველოს კპ(ბ) ცკ-ის მიმართვაში, — მათი ამყოლი II ინტერნაციონალის რენეგატი და გაკოტრებული ბელადები — კაუცკები, რენოდელები, ვანდერველდები, მაკდონალდები და კომპანია ცდილობენ დაარწმუნონ ევროპისა და ამერიკის პროლეტარიატი, თითქოს გადატრიალება საქართველოში მოახდინა წითელმა არმიამ და მისი ხიშტებით ჩახშობილ იქნა პატარა ქართველი ხალხის თავისუფლება. არ დაუჯეროთ ამ არამზადებს“.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების საყოველთაო-სახალხო ხასიათს ვერ მალავდნენ თვით მტრებიც კი. იტალიის კონსული თავის მთავრობას ატყობინებდა, რომ: „საქართველოში აჯანყებულ მშრომელთა მიერ გამოცხადებული საბჭოთა ხელისუფლება არ იყო ვიწრო შეთქმულთა უწესრიგობის შედეგი, როგორც ამას ევროპაში ხატავენ. გადატრიალება ხალხმა მოახდინა. საქართველოში სრული წესრიგია. იწყება ეკონომიკური ცხოვრების აღორძინება. ახალი ხელისუფლება მთლიანად უზრუნველყოფს თავის და უცხოეთის მოქალაქეების უფლებებსა და ინტერესებს“.

ქართველი ხალხის დიდ შემოქმედებით მოღვაწეობას თავიდანვე დაძაბული ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს მთელ მსოფლიოში. ქართული ემიგრაციის მეცადინეობა — შეცდომაში შეეყვანა ევროპისა და ამერიკის მოქალაქეები სა-

ქართველოს შესახებ ყალბი ცნობების გავრცელებით, — ზედიზედ იფუშებოდა, მაშინ, როდესაც ევროპისა და ამერიკის მშრომელები უშუალოდ ეცნობოდნენ საქართველოში, ამ გლეხურ ქვეყანაში სოციალისტური მშენებლობის თვალწარმტაც პრაქტიკასა და მდიდარ გამოცდილებას.

1924 წელს საქართველოში ჩამოსული ბრიტანეთის ტრედუნიონების დელეგაციის ერთ-ერთი წევრი ამბობდა: „მე მივიღე განსაკუთრებით ძლიერი შთაბეჭდილება დღევანდელი საქართველოსაგან, რომელიც სრულიად განსხვავდება იმ საქართველოსაგან, რომელსაც აღწერს დღემდე ინგლისის ბურჟუაზიული პრესა“[133].

1925 წლის ზაფხულში საქართველოს ესტუმრა საფრანგეთ-ბელგიის მუშების დელეგაცია, რომლებმაც დიდი მონდომებით დაათვალიერეს საქართველო. დელეგაციის წევრმა ფრანგმა მბეჭდავმა სენნიმ განაცხადა, რომ თქვენი ქვეყნის „მშრომელები ჩვენ შეგვხვდნენ თბილი გრძნობით, გაგვიზიარეს თავისი ჭირ-ვარამი და სავსებით დაგვარწმუნეს იმ ცნობების სიყალბეში, რომელსაც ბურჟუაზიული და სოციალდემოკრატიული პრესა ავრცელებდა საბჭოთა კავშირის და კერძოდ საქართველოს მიმართ“[134].

ქვეყნის სოციალისტური ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის განხორციელების შედეგად, საქართველოს მშრომელებმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მეორე ხუთწლედში ახალ მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სახალხო მეურნეობასა და კულტურის ყველა დარგში. აღმავალი გზით მიმავალი საქარ-

---

[133] Рабочая Правда, 1924, 4 დეკემბერი.

[134] მუშა, 1925, 3 ივლისი.

თველო საბჭოთა კავშირის მოწინავე რესპუბლიკების რიგში ჩადგა, ქართველი ხალხის მიერ დიდი და თავდადებული მუშაობით მოპოვებულმა წარმატებებმა საბჭოთა ქვეყნის ხელმძღვანელი ორგანოების მაღალი შეფასება დაიმსახურა — 1935 წლის მარტში სსრ კავშირის ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა საქართველო რიგ სხვა რესპუბლიკებსა და ოლქთან ერთად ლენინის ორდენით დააჯილდოვა „სოფლის მეურნეობაში და აგრეთვე მრეწველობაში თვალსაჩინო მიღწევებისათვის რიგი წლების მანძილზე".

ქართველი ხალხის დიდი წარმატებების ამბავი შორს გასცდა საბჭოთა ქვეყნის საზღვრებს, მან გაამხნევა და გამარჯვების რწმენა ჩაუნერგა კაპიტალის ტყვეობაში მყოფ მილიონობით მშრომელს. „საბჭოთა საქართველოს მუშებო და გლეხებო, — წერდა გერმანიის მუშათა კლასის ხელმძღვანელი ვილჰელმ პიკი — დიდია თქვენი წარმატებანი სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე. დიდია ის დამსახურება, რომელიც თქვენ ჩვენს განმათავისუფლებელ მოძრაობაში მიგიძღვით, მაგრამ კიდევ უფრო გრანდიოზულია თქვენს წინაშე დასახული ამოცანები.

გაბედულად იარეთ წინ სოციალიზმის გზით. ძლევამოსილად გააჩაღეთ სტახანოვური მოძრაობა ფაბრიკებში, სოფლად. მზად იყავით, რათა გამანადგურებელი ლახვარი ჩასცეთ იმპერიალისტურ ყაჩაღებს, რომლებსაც სურთ კიდევ დაგადგათ თქვენ კაპიტალისტური ექსპლოატაციის და ეროვნული ჩაგვრის უღელი"[135].

1933 წელს საქართველოს ესტუმრა საფრანგეთის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი — საერთაშორისო რევო-

---

[135] კომუნისტი, 1936, 25 თებერვალი.

ლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე მარსელ კაშენი. მან თავის გამოსვლებში პარტიული ორგანიზაციებისა და მუშათა კრებებზე განსაკუთრებით აღნიშნა საქართველოსა და სხვა საბჭოთა ხალხების მიღწევების დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა და ახალი წარმატებები უსურვა მათ.

ცოტა უფრო გვიან საქართველოს ესტუმრა ფრანგი გლეხების დელეგაცია. ისინი დიდი ინტერესით გაეცნენ სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციას და კოლმეურნეობების ყოფაცხოვრებას.

განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მსოფლიო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის ბულგარეთის სახელოვანი შვილის გიორგი დიმიტროვის ჩამოსვლას. ფაშისტური ტყვეობიდან განთავისუფლების შემდეგ იგი საბჭოთა კავშირს ეწვია. 1934 წლის 9 იანვარს დიმიტროვი ბათუმში ჩამოვიდა თავის დედასა და ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცნობილი ვეტერანის დიმიტრი ბლაგოევის ქალიშვილთან ერთად. მას შეხვედრები ჰქონდა ბათუმის, ბორჯომისა და სხვა ქალაქების მუშებთან, დიდი ინტერესით სწავლობდა ეროვნულ ურთიერთობას ამიერკავკასიაში, რომელსაც მან ეროვნებათა მოზაიკა უწოდა[136].

საერთო სოციალისტური მშენებლობის პერიოდში, ზემოთ დასახელებულთა გარდა, საქართველოს ეწვია პროგრესული კულტურისა და რევოლუციური მოძრაობის არაერთი გამოჩენილი მოღვაწე, მათ შორის აღსანიშნავია: ანრი ბარბიუსი, სუნ-იატ-სენის მეუღლე სუნ ძინ-ლინი, კლარა ცეტკინი და სხვები. ამავე პერიოდში ქართველი ხალხის შემოქმედებით შრომასა და სოციალისტური მშენებლობის გამოცდილებას

---

136 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, გვ. 668.

დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ევროპისა და ამერიკის მშრომელთა დელეგაციები. თავიანთ სამშობლოში დაბრუნებული უცხოელთა დელეგაციის წევრები აღფრთოვანებით შოუთხრობდნენ მშრომელებს ქართველი ხალხის სოციალური და ეროვნული აღორძინების შესახებ, სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე ბრწყინვალე გამარჯვებათა შესახებ. ქართული ემიგრაციის უკვე აღარავის სჯეროდა. ამანაც განაპირობა ქართული ემიგრანტული „მთავრობის“ დაშლა საფრანგეთში.

დასავლეთის სამყაროსათვის დღესაც გაუგებარი რჩება სხვადასხვა ერის და ეროვნების შემჭიდროების, ურთიერთსიყვარულისა და თავდადების ძალა, რომელმაც სოციალისტური სამშობლოს გაჭირვებისას — დიდი სამამულო ომის დროს იჩინა თავი.

ეროვნულ უმცირესობათა დასაპირისპირებლად მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანიაში იქმნებოდა ოპერატიული ჯგუფები, რომელთა მიზანი იყო საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე, მათ შორის კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში ანტისაბჭოური აგიტაცია-პროპაგანდის გაჩაღება. ამ ჯგუფებში გაერთიანებული იყვნენ თეთრი ემიგრანტები და სამშობლოს გამყიდველები. აბვერი ცდილობდა, — აღნიშნავდა პატრიკ ფონ ცუმ მიულენი, — დივერსიული ღონისძიებები ყველაზე მეტად ჩაეტარებინა საქართველოში, ისინი ამაოდ მოელოდნენ აქ სასურველი მიზნის მიღწევას.

1942 წლის ზაფხულში საქართველოში გადმოსხეს „თამარ-I“ და „თამარ-II“ სახელით ცნობილი დივერსიული ჯგუფები, რომლებიც თითქმის მთლიანად ემიგრანტებისა და სამხედრო ტყვეებისაგან შედგებოდნენ. არც ამ ოპერაციებს მოჰყოლია წარმატება.

ჩვენი ქვეყნის ეროვნულ უმცირესობათა შორის გერმანიის მიერ დივერსიულ ღონისძიებიდან ყველაზე მსხვილი იყო „მაინც-I“, რომელიც მოამზადეს გერმანიაში მყოფმა ქართული ემიგრაციის წევრებმა ალექსანდრე ცომაიამ და მიხეილ კედიამ, აგრეთვე ქართული ემიგრაციის წევრმა, თურქეთში მცხოვრებმა ალექსანდრე მენაღარაშვილმა. მათ მიერ შექმნილ დივერსიულ ჯგუფს აფინანსებდნენ ფაშისტები, რომელსაც ხელმძღვანელობდა დავით ერქომაიშვილი. 1944 წლის გაზაფხულზე მალულად გადმოისროლეს 5 ჯგუფი თბილისსა და ბათუმც შორის. მათ მოქმედებას წარმატება არ მოჰყოლია[137].

საგულისხმოა ერქომაიშვილისა და მენაღარაშვილის მიერ შეკრებილი ცნობები, აქ ნათქვამია, რომ საქართველოში ახალგაზრდა თაობა საბჭოურად არის აღზრდილი და თავის თავს თვლის საბჭოთა მოქალაქედ, და რომ ქართველი ხალხის აბსოლუტური უმრავლესობა თავისი თანამემამულის — სტალინის ერთგული დარჩა, მხარს უჭერდა მას ფრონტზე, იბრძოდა ვაჟკაცურად საბჭოთა ხელისუფლებისათვის[138].

ეროვნული კულტურის განვითარება განუხრელად დაკავშირებულია ენის განვითარებასთან, რაც უფრო მეტად არის ეროვნული ენები განვითარებული, მით უფრო მაღალია ეროვნული კულტურის დონე, რის შედეგადაც ერს უფრო დიდა წვლილი შეაქვს ყველა ხალხის ინტერნაციონალურ განვითარებაში. „ენა და აზროვნება ერთმანეთში განუყოფლადაა გადახლართული და ურთიერთზე ზემოქმედებს[139]. პრაქტიკუ-

---

[137] А. Атанелишвили, Против буржуазной фальсификации истории Советской Грузии, Тб., 1983, с. 298.

[138] იქვე, გვ. 298.

[139] უილიამ გათრი, ბერძენი ფილოსოფოსები, თბ., 1983, გვ. 22.

ლად შეუძლებელია თარგმანმა უცხოელზე იგივე შთაბეჭდილება მოახდინოს, რასაც ორიგინალი აღძრავს მისი შემქმნელი ერის ადამიანზე[140]. ენა აზრის სინამდვილეა, რომ ცნებითი აზროვნება ანუ მეცნიერება ენის ბაზაზე მიმიდინარეობს, ენა და აზროვნება დიალექტიკურად მთლიანი, განუყოფელი პროცესია. საუკუნეების მანძილზე ენა წარმოადგენდა არა მხოლოდ ურთიერთობის საშუალებას, არამედ ბრძოლის საშუალებასაც, მათ შორის ხალხის თავდაცვის საშუალებას[141].

ეროვნული ენების მნიშვნელობა განსაკუთრებით გაიზარდა სოციალიზმის პირობებში, ეროვნული ენების დახმარებით კომუნისტურ პარტიას ყველა ეროვნების მშრომელი მასების გაგებამდე დაჰყავს ხალხთა მეგობრობის, პროლეტარული ინტერნაციონალიზმის, სოციალიზმის იდეები, მსოფლმხედველობრივი და მეცნიერულ-ტექნიკური ცოდნა. ამიტომაც ეროვნული ენების განვითარება და სოციალიზმის მშენებლობა განუყოფლად დაკავშირებული პროცესია[142].

ბურჟუაზიის იდეოლოგებმა კარგად იციან, რომ ჩვენს დროში მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს ენა, ეროვნული თვითშეგნება. ამიტომაც ისინი დიდ „ყურადღებას“ უთმობენ ჩვენს ქვეყანაში ეროვნული ენების განვითარების საკითხს. ბურჟუაზიის იდეოლოგების აზრით, რუსული ენის გავრცელება ხდება ეროვნული ენის შეზღუდვის ბაზაზე. ამ მოსაზრების უსუსურობა საყოველთაოდ ცნობილია, მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოთ რომ საბჭოურ ისტორიოგრაფიაში გამოჩნდა

---

[140] იქვე.

[141] К. Ханазаров, Решение национально-языковой пробле ы в СССР, М., 1982, с. 76.

[142] იქვე, გვ. 23.

ნაშრომი, სადაც ავტორი ცდილობს ეროვნული ენების გაქრობის გარდუვალობის დამტკიცებას. ასეთი მოსაზრებები ჩვენი იდეოლოგიური მოწინააღმდეგეების წისქვილზე ასხამს წყალს, რაც მეცნიერულად გააკრიტიკა საბჭოთა მკვლევარმა ა. ათანელიშვილმა[143];

ამასთან აღსანიშნავია ისიც, რომ ზოგიერთ პოლიტიკურ უმეცარს ჰგონია, თუ მიიღო მთავრობამ დადგენილება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ქართული ენის სწავლების გაუმჯობესების შესახებ, ამით სხვა ენები, კერძოდ, რუსულის ინტერესები შეილახა. ხოლო, როცა ღებულობენ დადგენილებას რუსული ენის შესწავლის გაუმჯობესების შესახებ, ქართული „დაიჩაგრა". ეს სიბეცეა, მშობლიური ენა იყო, არის და იქნება სხვა ენათა შესწავლის საფუძველი, ამ ენათა ცოდნა ისევ მშობლიური ენის გამდიდრებასა და განვითარებას უწყობს ხელს[144]. ეროვნული ენების თავისუფალ განვითარებაზე ზრუნვა არის არა ტაქტიკური სვლა, არამედ კომუნისტური პარტიის სტრატეგიული ხაზი[145]. კომუნისტური პარტიის პოლიტიკის მნიშვნელობას ენის საკითხში აღიარებს ზოგიერთი ბურჟუაზიული იდეოლოგიც კი. მაგალითად, ი. გერტცლერი წერს: „კომუნისტებს მთლიანად ესმით თუ როგორ უდიდეს როლს თამაშობს ენა, როგორც აღზრდის საშუალება, ისინი მთელ მსოფლიოს უჩვენებენ, რომ სიტყვა, განსაკუთრებით მშობლიურ ენაზე ნათქვამი სიტყვა, უფრო მძლავრი იარაღია ვიდრე ბომბი"[146].

---

143 იხ. ა. ათანელიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 246—247.
144 „კომუნისტი", 1983, 25 მაისი.
145 კ. ხანაზაროვი, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.
146 იქვე, გვ. 33—34.

კარაკასში ვენესუელის საბჭოთა კულტურისა და მეცნიერების მეგობართა ცენტრში გამართულ საზეიმო საღამოზე, რომელიც სსრ კავშირის შექმნის 60 წლისთავს მიეძღვნა, ვენესუელის თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწემ, ცენტრის აღმასრულებელი საბჭოს თავმჯდომარემ როდოლფო კინტერომ განაცხადა, რომ მრავალეროვანმა საბჭოთა სახალმწიფომ პრაქტიკულად ხორცი შეასხა სხვადასხვა ენაზე მოლაპარაკე, მაგრამ ერთი მიზნით გაერთიანებული ხალხების მეგობრობისა და თანამშრომლობის მისწრაფებას — იყვნენ თავიანთი ბედის ბატონ-პატრონი, იცხოვრონ ომებისაგან თავისუფალ ქვეყანაში[147].

მასობრივი ინფორმაციის ბურჟუაზიული საშუალებანი ცდილობენ დაარწმუნონ ადამიანები, რომ საბჭოთა კავშირში თრგუნავენ ეროვნულ უმცირესობებს, მაგრამ აქ, საქართველოში, სრულიად საწინააღმდეგოში დავრწმუნდით. გაგვაოცა ქართველი ხალხის ეროვნული სიამაყის მაღალმა გრძნობამ, ხალხისა, რომელიც სათუთად ეკიდება თავის უძველეს თავისთავად კულტურას, — განაცხადა პორტუგალიის დემოკრატიული მოძრაობის პარტიის ეროვნული სამდივნოს წევრმა ბლაშკო უგო ფერნანდესმა, რომელიც შედიოდა ჩვენს რესპუბლიკაში პორტუგალიის დღეებში მონაწილეობისათვის წარმოგზავნილი ოფიციალური დელეგაციის შემადგენლობაში,— თბილისში რომ ჩამოვედით, — თქვა მან, — ჩვენი სასტუმროს წინ მდებარე მოედანზე ამ მზიან დღეს უნებლიეთ მონაწილენი გავხდით ბავშვთა გრანდიოზული დღესასწაულისა, რომლებიც აღნიშნავდნენ პიონერული ორგანიზაციის დაბადების დღეს. ვუცქეროდი ბავშვების მხიარულ სახეებს და იმაზე

147 კომუნისტი, 1982, 23 ნოემბერი.

ვფიქრობდი, რომ ხალხს, რომელიც ასე ზრუნავს მათთვის, არა მარტო ბედნიერი აწმყო, არამედ შესანიშნავი მომავალიც აქვს[148].

არც თუ ისე დიდი ხანია გასული მას შემდეგ, რაც ჩვენს სოფელში მარტო მღვდელმა იცოდა წერა-კითხვა. ახლა მოსკოვისა და ლენინგრადის უმაღლეს სასწავლებლების გარდა ბერლინში, იენაში, ლაიფციგში, პრაღაში, ვარშავაში სწავლობენ ქართველები და სხვა ერების შვილები საქართველოდან. საარბრიუკენთან მეგობრობს თბილისი, ცნობილმა გერმანელმა რეჟისორმა ვედეკინდმა თელავის სახელმწიფო თეატრში დადგა შილერის „ვერაგობა და სიყვარული“.

ამ ცოტა ხნის წინათ საქართველოდან სტუმრად იყვნენ დასავლეთ გერმანიაში. ერთ მასპინძელს უთქვამს: „საქართველოში ძმებივით მეგობრები მყავს, ჩვენ შორის ისეთი ურთიერთობა მინდა იყოს, რომ მათი თვალებში შეხედვისა არ შემრცხვესო!“[149].

ადამიანს არაფერი ისეთ ბედნიერებას არ ანიჭებს, და არაფერი ისე არ ამაღლებს, როგორც ინტერნაციონალისტური გრძნობა: შენი რომ გეამაყება და სხვისი რომ გიხარია! ასეთ მდგომარეობას კი შეიძლება მხოლოდ სოციალისტურ საზოგადოებაში მიაღწიო, რადგანაც „სოციალიზმი — აღნიშნა ამხ. მ. ს. გორბაჩოვმა 1987 წლის იანვრის პლენუმზე — ის წყობილებაა, რომელიც ადამიანის კეთილდღეობას, მის სოციალურ და ეკონომიკურ ინტერესებს, მ-ს სულიერ ამაღლებას ემსახურება“[150].

---

148 იქვე, 1983, 8 ივლისი.
149 იქვე, 17 ივლისი.
150 კომუნისტი, 1987, 28 იანვარი.

ИДЕОЛОГИЧЕСКАЯ БОРЬБА НА СОВРЕМЕННОМ ЭТАПЕ

Резюме

Характер идеологической работы на современном этапе определяется международным положением. На всей планете идет борьба за разум и думы миллиардов людей и будущее человечества во многом зависит от итогов этой идеологической борьбы. В то же время основным средством достижения своей цели империализм, — отмечалось на июньском (1983 г.) Пленуме ЦК КПСС, — считает «психологическую войну». Эту войну Запад ведет на самой высокой, можно сказать, истеричной, антисоветской, антикоммунистической ноте. К подлинному разбою обращаются наши противники в эфире. Мы имеем дело с попытками организовать против нас подлинную информационно-пропагандистскую интервенцию, превратить каналы радио и телевидения в орудие активного вмешательства в государственные дела. И действительно, ни в один из периодов своего существования, — отмечал на XXVII съезде Генеральный секретарь ЦК КПСС М. С. Горбачев, — человечество, вероятно, никогда не испытывало такого влияния фальши и лжи, которые испытывает сейчас. Буржуазная пропаганда во всем мире навязывает людям искаженную, лживую «информацию», реакционные взгляды и

идеи, программирует для правящих кругов подходящую гражданскую и социальную позицию.

Советский Союз, популяризуя социалистические идеи, твердо отрицает «психологическую войну». Идеологическая борьба, — считают советские коммунисты, — не должна перерасти в «психологическую войну», не следует использовать ее для вмешательства во внутренние дела других государств и народов, в целях политической и военной конфронтации.

В условиях обострившейся на международной арене идеологической борьбы Коммунистическая партия неуклонно продолжает линию В. И. Ленина: защита марксизма неотделима от задачи его дальнейшего развития на основе нового исторического опыта.

Такое положение придает сегодня особое значение идеологической работе, последующему улучшению классового воспитания трудящихся, яркой, убедительной пропаганде достижений социализма, усилению политической бдительности для того, чтобы ответить на антикоммунистические и антисоветские идеологические диверсии классового врага. Вместе с тем, следует широко развернуть контрпропаганду против буржуазной идеологии. Все это требует обновления, обогащения, актуализации идейно-воспитательной работы, усиления наступательной пропоганды, преодоления и искоренения политики стояния в стороне и формализма. Нам следует достигнуть убедительной пропаганды достижений социализма и т. д. К этому призывает Центральный Комитет ленинской партии, XXVII съезд партии и его исторические решения.

Сонгулашвили Автандил Вахтангович

ИДЕОЛОГИЧЕСКАЯ БОРЬБА
НА СОВРЕМЕННОМ ЭТАПЕ

(на грузинском языке)

ТБИЛИСИ
«МЕЦНИЕРЕБА»
1987

დაიბეჭდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
სარედაქციო-საგამომცემლო საბჭოს დადგენილებით

*

სგ 3414

გამომცემლობის რედაქტორი ს. ხ ა ნ ჯ ა ლ ა ძ ე
მხატვარი გ. ლ ო მ ი ძ ე
მხატვრული რედაქტორი ი. ს ი ხ ა რ უ ლ ი ძ ე
ტექრედაქტორი ც. ქ ა მ უ შ ა ძ ე
კორექტორი ე. ჩ ი ხ ლ ა ძ ე
გამომშვები ელ. მ ა ი ს უ რ ა ძ ე

გადაეცა წარმოებას 27. 1. 1987; ხელმოწერილია დასაბეჭდად 5. 3. 1987;
ქაღალდის ზომა 70×108 1/32; ქაღალდი № 1; ბეჭდვა მაღალი;
გარნიტურა ვენური; პირობითი საბეჭდი თაბახი 5.3;
პირ. საღ.-გატ. 5.5; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4.6;

უე 00848; ტირაჟი 1200; შეკვეთა № 188;

ფასი 70 კაპ.

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

საქ. სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19